

პ. ი. ლენინი

მოსახლეობისადათ

«რეარკაგავიცა»
და რიცხვაზე შესახებ

რა არის
საბჭოთა ხერისხვლება?



5 Classics of Marxism



Marx

Engels

Lenin

Stalin

Hoxha

**PROLETARIAN OF ALL COUNTRIES, UNITE!
PROLETARIAN, UNITE THE ALL COUNTRIES!**

★ ★ ★

**MARX—ENGELS—LENIN—STALIN' INSTITUTE OF
CENTRAL COMMITTEE OF CPSU(B)**

STALINIST-HOXHAISTS COMMUNIST INTERNATIONAL — COMINTERN (SH)

GEORGIAN SECTION OF COMINTERN (SH)

**© WORLD PROLETARIAT
For Free Use and Distribution**

3. 0. ლენინი

მოსახლეობისადმი

«დემოკრატია»
და დიქტატურის მასახებ

რა არის
საბჭოთა ხელისუფლება?

საჭართველოს სსრ
სახელმწიფო გამომცემლობა

მოსახლეობისადმი

ამხანაგებო — მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო, ყველა მშრომელნო!

მუშათა და გლეხთა რევოლუციამ საბოლოოდ გაიმარჯვა პეტროგრადში, გაფანტა და დაატუსალა კერენსკის მიერ მოტ- ყუებულ მცირერიცხოვან კაზაკთა უკანასკნელი ნაშთები. რე- ვოლუციამ მოსკოვშიც გაიმარჯვა. ვიდრე იქ ჩავიდოდა პეტ- როგრადიდან გასული სამხედრო ძალებით დატვირთული რამ- დენიმე ეშელონი, მოსკოვში იუნკრებმა და სხვა კორნილოვე- ლებმა უკვე მოაწერეს ხელი ზავის პირობებს, აუნკრების გა- ნიარაღებას, ხსნის კომიტეტის დაშლას¹.

ფრონტიდან და სოფლებიდან ყოველდღე და ყოველ საათ- ში მოდის ცნობები, რომ სანგრებში მყოფ ჯარისკაცთა და მაზრების გლეხთა უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს ახალ მთაერობას და მის კანონებს ზავის წინადაღებისა და გლეხე- ბისთვის მიწის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ. მუშათა და გლეხთა რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია, რადგან მას უკვე მიემხრო ხალხის უმრავლესობა.

სავსებით გასაგებია, რომ მემამულეები და კაპიტალისტე- ბი, ბურჟუაზიასთან მჭიდროდ დაკავშირებული უმაღლესი მოსამსახურენი და მოხელენი, ერთი სიტყვით, ყველა მდიდარი და ისინი, ვინც მდიდრებთან მკლავგაყრილი დადის, მტრუ-

ლად ხედებიან ახალ რევოლუციას, ეწინააღმდეგებიან მის გა-
მარჯვებას, იმუქრებიან ბანკების მოქმედების შეწყვეტით,
აფუჭებენ ან აჩერებენ სხვადასხვა დაწესებულების მუშაობას,
ხელს უშლიან მას ყოველნაირად, აფერხებენ ხან პირდაპირ
და ხან არაპირდაპირ. ყოველ შეგნებულ მუშას მშვენივრად
ესმოდა, რომ ასეთ წინააღმდეგობას ჩვენ აუცილებლად შევ-
ხდებით, ბოლშევიკების მთელ პარტიულ პრესას ეს მრავალ-
ჯერ აღუნიშვნავს. მშრომელი კლასები ერთი წუთითაც არ
შეუშინდებიან ამ წინააღმდეგობას, ოდნავაღაც არ შედრებიან
ბურუუაზის მომხრეების მუქარისა და გაფიცვების წინაშე.

ჩვენს მხარეზეა ხალხის უმრავლესობა. ჩვენს მხარეზეა მშრო-
მელთა და ჩაგრულთა უმრავლესობა მთელ მსოფლიოში. ჩვენს-
კენაა სამართლიანობა. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

კაპიტალისტთა და უმაღლეს მოსამსახურეთა წინააღმდე-
გობა შემუსვრილი იქნება. არც ერთ კაცს არ ერთმევა ჩვენს
მიერ ქონება ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაციის
შესახებ საგანგებო სახელმწიფო კანონის გარეშე. ეს კანონი
მზადდება. არც ერთი მშრომელი და მუშაკი არ დაკარგავს
არც ერთ კაპიქს; პირიერით, მას დახმარება აღმოეჩინება. გარ-
და უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლისა, გარდა წინათ
დაწესებული გადასახადის აკრეფისა, მთავრობა არავითარი
სხვა ღონისძიების შემოღებას არ აპირებს.

ამ სამართლიან მოთხოვნათა გულისთვის ხალხის უდიდე-
სი უმრავლესობა დაირაზმა მუშურ-გლეხური დროებითი
გიავრობის გარშემო.

ამხანაგო მშრომელებო! გახსოვდეთ რომ ახლა თვითონ
თქვენ განაგებთ სახელმწიფოს. არავინ არ დაგეხმარებათ, თუ
თვითონვე არ გაერთიანდებით და საკუთარ ხელში არ აი-
ლებთ სახელმწიფოს ყველა საქმეს. თქვენი საბჭოები —
ამიერიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულ-
უფლებიანი, გადამწყვეტი ორგანოები.

შემჭიდროვდით თქვენი საბჭოების გარშემო. განამტკიცეთ
ისინი. თვითონვე მოყიდეთ საქმეს ხელი ქვემოდან, ნურავის
დაელოდებით. დაამყარეთ უსასტიკესი რევოლუციური წესრი-
გი, დაუნდობლად ჩაახშეთ ანარქიის გამოწვევის ცდა ლოთე-

ბის, ხულიგნების, კონტროლერების უციური იუნქრების, კორნილოველებისა და მათ მსგავსთა შხრივ.

შემოილეთ პროდუქტების წარმოებისა და აღრიცხვის უსასტიკესი კონტროლი. დააპატიმრეთ და ხალხის რევოლუციურ სამართალში მიეცით ყველა, ვინც გაძედავს სახალხო საქმისთვის ვნების მიყენებას, როგორი ხასიათისაც უნდა იყოს ეს ვნება — წარმოების საბოტაჟი (გაფუჭება, შეფერხება, ჩაშლა) ან პურისა და პროდუქტების მარავის გადამალვა, ან პურის ტეირითის გაჩერება, ან რეინიგზის, ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის მოქმედების მოშლა და საერთოდ რაიმე წინააღმდეგობის გაწევა ზვის დიადი საქმისთვის, გლეხებისთვის მიწის გადაცემის საქმისთვის, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ მუშათა კონტროლის უზრუნველყოფის საქმისთვის.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო, და ყველა მშრომელნო! აიღეთ მთელი ძალაუფლება თქვენი საბჭოების ხელში. თვალისხინივთ გაუფრთხილდით, მოუარეთ მიწას, პურს, ფაბრიკებს, იარაღებს, პროდუქტებს, ტრანსპორტს — ამიერიდან ყოველივე ეს სავსებით თქვენი, საერთო-სახალხო კუთვნილება იქნება. თანდათანობით, გლეხების უმრავლესობის თანხმობით და მოწონებით, მათი და მუშების პრაქტიკული გამოცდილების მითითებით, მტკიცედ და ურყევად გავწევთ სოციალიზმის გამარჯვებისაკენ, რომელსაც განამტკიცებენ ყველაზე ცივილიზებული ქვეყნების მოწინავე მუშები და რომელიც ხალხებს მიანიჭებს მტკიცებას და იხსნის ყოველგვარი ჩაგვრისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

1917 წლის 5 ნოემბერი.

პეტროგრადი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ულიანოვი (ლენინი)

«პრავდა» № 182, იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხულებათა ტექსტის
1917 წ. 20 (7) ნოემბერი მიხედვით, მე-4 გამოც., ტ. 26, გვ. 346-348.

მოსსენება უკან გაფვევის უფლების შესახებ
სრულიად რუსთის ცაპ-ის სედოვაზე 1917 წ.
21 ნოემბერს (4 დეკემბერს)

გადარჩევების საკითხი —დემოკრატიული საწყისის ნამდვილი განხორციელების საკითხია. ყველა მოწინავე ქვეყანაში აღიარებული და შემოლებულია, რომ მხოლოდ არჩეულებს შეუძლიათ იღაპარაკონ სახელმწიფო საკანონმდებლო ენით. მაგრამ, იძლევა რა მოწვევის უფლებას სახელმწიფოებრივი მანქანის გასაძლოლად, ბურუუზიამ განჩრას არ შემოილო უკან გაწვევის უფლება, — ნამდვილი კონტროლის უფლება.

მაგრამ ყველა ისტორიულ რევოლუციურ ხანაში, კონსტიტუციების ყოველ ცვლილებაში წითელ ზოლად გადის უკან გაწვევის უფლების ნება.

დემოკრატიული წარმომადგენლობა არსებობს და აღიარებულია ყველგან, სადაც პარლამენტური წყობილებაა, მაგრამ წარმომადგენლობის ეს უფლება შეზღუდულია იმით, რომ ხალხს უფლება აქვს ორ წელიწადში ერთხელ მისცეს ხმა, მაგრამ ხშირად ხდება, რომ მისი ხმებით გადიან ისინი, ვინც ხელს უწყობს მისსავე დათრგუნვას, ხოლო გადაყენების დემოკრატიული უფლება, აღკვეთის ქმედითი ზომების მიღების უფლება მას არა აქვს.

იმ ქვეყნებში კი, საღაც შენარჩუნებულია ძველი ტრადი-
ციები რევოლუციური დროისა, როდესაც ისინი ჩამოყალიბ-
დნენ -- როგორც, მაგალითად, შვეიცარიის ზოგიერთ კან-
ტონში და ამერიკის ზოგიერთ შტატში — შენარჩუნებულია
უკან გაწვევის დემოკრატიული უფლებაც.

ყოველი დიდი გადატრიალება ხალხის წინაშე აშკარად
აყენებს არა მარტო არსებულ კანონდებულებათა გამოყენე-
ბას, არამედ ახალ სათანადო კანონდებულებათა შექმნასაც.
ამიტომ, დამფუძნებელი კრების მოწვევის წინ, აუცილებელია
გადაისინჯოს ახალი საარჩევნო დებულებანი.

საბჭოები შექმნილია თვით მშრომელების მიერ, მათი რე-
ვოლუციური ენერგიითა და შემოქმედებით, — მხოლოდ ესაა
იმის საწინდარი, რომ ისინი საესებით მასების ინტერესების
განსახორციელებლად მუშაობენ. საბჭოში ყოველ გლეხს, რომე-
ლიც თავის წარმომადგენელს გზავნის, შეუძლია უკანვე გამო-
იწვიოს ის კიდეც, — ამაშია საბჭოების ნამდგილი სახალხო პრინციპი.

ჩვენში გაბატონებული მდგომარეობა სხვადასხვა პარტიას
ეჭირა; უკანასკნელად გავლენის გადასვლას ერთი პარტიის
ხელიდან მეორის ხელში მოყვა გადატრიალება, საკმაოდ მძაფ-
რი გადატრიალება, მაშინ, როდესაც უკან გაწვევის უფლების
არსებობის პირობებში საკმარისი იქნებოდა უბრალო კენჭის-
ყრა.

ჩვენ ვამბობთ — თავისუფლება. ის, რასაც წინათ თავისუფ-
ლება ეწოდებოდა, ეს იყო ბურჟუაზიის თავისუფლება თავისი
მილიონების საშუალებით მოტყუებისა, თავისუფლება ამ მო-
ტყუების საშუალებით თავისი ძალების გამოყენებისა. ჩვენ სა-
ბოლოოდ გავწყვიტეთ კავშირი ბურჟუაზიასთან და ასეთ
თავისუფლებასთან. სახელმწიფო არის დაწესებულება იძულე-
ბისათვის. წინათ ეს იყო მთელი ხალხის მიმართ ერთი მუჭა
სქელჯიბინათა ძალადობა; ჩვენ კი გვინდა სახელმწიფო გადა-
ვაქციოთ ისეთ დაწესებულებად, რომელიც იძულებით განა-
ხორციელებს ხალხის ნებას. ჩვენ გვინდა მოვაწყოთ ძალადობა
მმრომელთა ინტერესებისათვის.

დამფუძნებელი კრებიდან უკან გაწვევის უფლების მიუნიკებ-
ლობა — ეს არის ხალხის რევოლუციური ნების გამოუმედავნებ-
ლობა და ხალხის უფლებათა უზურპაცია. ჩვენ გვაქვს პრო-

პორციული, ნამდვილად ყველაზე უფრო დემოკრატიული არჩევნები. ასეთი არჩევნების დროს უკან გაწვევის უფლების შემოღება რამდენადმე ძნელია, მაგრამ აქ სიძნელე წმინდა ტექნიკურია და ძალიან ადვილად დასაძლევიც. ყოველ შემთბვევაში, წინააღმდეგობა პროპორციულ არჩევნებსა და უკან გაწვევის უფლებას შორის არ არის.

ხალხი ხმას აძლევს არა პირებს, არამედ პარტიას, რუსეთში პარტიულობა ფრიად დიდია, და ხალხის წინაშე პარტიას ვარკვეული პოლიტიკური სახე აქვს. ამიტომ ყოველმა გათიშვამ პარტიაში ქაოსი უნდა შეიტანოს, თუ უკან გაწვევის უფლება არ არის გათვალისწინებული. დიდი გავლენით სარგებლობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. მაგრამ სიების წარდგენის შემდეგ მოხდა გათიშვა. სიის შეცვლა არ შეიძლება, არც დამფუძნებელი კრების გადადება შეიძლება. ხალხმა კი ფაქტიურად ხმა მისცა იმ პარტიას, რომელიც უკვე აღარ აჩსებობდა. ეს დაამტკიცა გლეხთა მეორე შემარცხენე ყრილობამ. გლეხობა მოტყუებული დარჩა არა პიროვნების მიერ, არამედ პარტიული გათიშვით. ასეთი მდგომარეობა მოითხოვს კორექტივს. საჭიროა პირდაპირი, თანმიმდევრული და დემოკრატიული საწყისის განხორციელება დაუყოვნებლივ — უკან გაწვევის უფლების შემოღება.

უნდა გვეშინოდეს, რომ არასწორი არჩევნების ამარა დაერჩებით. გადარჩევის უფლების შემოღება კი, როცა მასების შეგნებულობა დიდია, რასაც მოწმობს 1905 და 1917 წლების სუვოლუციების მსვლელობის შედარება, — საშიში არაა.

ხალხს ეუბნებოდნენ, საბჭო — უფლებამოსილი ორგანოა, — მას სწამდა და განახორციელა ეს. უნდა განვაგრძოთ დემოკრატიზაციის ხაზი და უკან გაწვევის უფლება სინამდვილედ გადავაქციოთ.

უკან გაწვევის უფლება უნდა მიენიჭოს საბჭოებს, როგორც სახელმწიფო ებრიობითის, იძულების იდეის სრულყოფილ მატარებლებს. და მაშინ ძალაუფლების გადასვლა ერთი პარტიიდან მეორის ხელში მოხდება სისხლდაულვრელად, უბრალო გადარჩევის საშუალებით.

ცაკ-ის «ინჯესტრია» № 233,
1917 წ. 23 ნოემბერი

იძულება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოც.,
ტ. 26, გვ. 395 — 397.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა
დეპუტატების საგვოვების სრულიად რუსეთის
მესამე ურილობა,

1918 წ. 10—18 (23—31) იანვარი

1

მოსსევება სახალხო კომისართა საგვოვების
მესამე 11 (24) იანვარს

ამხანაგებო! სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მე უნდა
წარმოგიდგინოთ მოხსენება მისი მუშაობის შესახებ 2 თვეისა
და 15 დღის განმავლობაში, რაც გავიდა რუსეთში საბჭოთა
ხელისუფლებისა და საბჭოთა მთავრობის შექმნის დღიდან.

2 თვე და 15 დღე — ეს სულ ხუთიოდე დღით მეტია იმ
ვადაზე, რომლის განმავლობაშიც იარსება მუშათა წინანდელ-
მა ხელისუფლებამ მთელი ქვეყნის ანუ ექსპლოატატორებისა
და კაპიტალისტების მიმართ, — პარიზის მუშათა ხელისუფ-
ლებამ პარიზის 1871 წლის კომუნის ეპოქაში.

უწინარეს ყოვლისა მუშების ეს ხელისუფლება უნდა მო-
ვიგონოთ, როცა თვალს ვავლებთ წარსულს და ვადარებთ
მას 25 ოქტომბერს შექმნილ საბჭოთა ხელისუფლებას. და
პროლეტარიატის წინანდელი და ახლანდელი დიქტატურის ამ
შედარებიდან ერთბაშად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა ბუმბე-
რაზული ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში
და რა განუზომლად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში
იმყოფება საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში, მიუხედავად
ომისა და ნგრევის ვითარების გაუგონჩად რთული პირო-
ბებისა.

გაძლეს რა 2 თვე და 10 დღე, პარიზის მუშები, პირვე-
ლად შექმნეს რა კომუნა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა
ხელისუფლების ჩანასახს, დაიღუპნენ საფრანგეთის კადეტე-
ბის, მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერ-კალედინელთა ტყვიით

განგმირულნი. საფრანგეთის მუშებს მოუხდათ წარმოუდგენ-ლად დიდი მსხვერპლის გაღება მუშათა მთავრობის პირეელი ცდისათვის, რომლის აზრი და მიზანი არ იცოდა საფრანგე-თის გლეხების უდიდესმა უმრავლესობაშ.

ჩვენ გაცილებით უფრო ხელსაყრელ გარემოებაში ვიმყოფებით, იმიტომ რომ რუსეთის ჯარისკაცებმა, მუშებმა და გლეხებმა შესძლეს შეექმნათ ისეთი აპარატი, რომელმაც მათი ბრძოლის ფორმები ამცნო მთელ მსოფლიოს, — საბჭოთა მთავრობა. აი უწინარეს ყოვლისა რა ცელის რუსეთის მუშებისა და გლეხების მდგომარეობას პარიზის პროლეტარიატის ხელისუფლებასთან შედარებით. მათ არ ჰქონდათ აპარატი, მათ ვერ გაუგო ქვეყანამ, ჩვენ კი მყისვე დავეყყრდენით საბჭოთა ხელისუფლებას და ამიტომ არასოდეს არ დავეჭვებულვართ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლებას თანაუგრძნობდა და უმხურვალესი, უაღრესი თავდაცებით ეხმარებოდა მასების უზარმაზარი უმრავლესობა და რომ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება უძლეველია.

იმ ადამიანებმა, რამლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ხშირად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყიდდნენ და ღალატობდნენ მას კაპიტალისტებთან და იმპერიალისტებთან შეთანხმების გულისათვის, ამ ადამიანებმა ყური გამოგვიკედეს იმაზე ყვირილით, რომ რუსეთში შეუძლებელია გაძლოს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის ხელისუფლებამო. თითქოს რომელიმე ბოლშევიკ და მათ მომხრეს დავიწყებოდეს თუნდაც ერთი წუთით, რომ რუსეთში შეიძლება ხანგრძლივად იარსებოს მხოლოდ იმ ხელისუფლებამ, რომელიც შესძლებს დარაზმოს მუშათა ქლასი, გლეხების უმრავლესობა, ყველა მმრომელი და ექსპლოატირებული ქლასი ერთ, განუყრელად შეკავშირებულ, მემამულებისა და ბურუუაზის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად.

ჩვენ არასოდეს არ შევგარეთ ეჭვი იმაში, რომ მხოლოდ მუშებისა და უღარიბესი გლეხების, ნახევრადპროლეტარების კავშირს, რაზეც ლაპარაკობს ჩვენი პარტიული პროგრამა, შეუძლია მოიცვას რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა და უზრუნველყოს ხელისუფლებისადმი მტკიცე დახმარება. და

ჩევნ შევძელით, 25 ოქტომბრის შემდეგ, ერთბაშად, რამდენიმე კვირის განმავლობაში, დაგვეძლია ყველა სიძნელე და დაგვემყარებინა ხელისუფლება ასეთი მტკიცე კავშირის საფუძვლზე.

დიახ, ამხანაგებო! თუ ესერების პარტია თავისი ძეელი ფორმით, როდესაც გლეხები ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდნენ, ვინ იყო მასში სოციალიზმის ნამდვილი მომხრე, აყენებდა გათანაბრებითი მიწათსარებლობის ლოზუნგს და არ სურდა გაეგო, ვის უნდა შეესრულებინა ეს ამოცანა, ბურუუაზიასთან კავშირში უნდა მომხდარიყო ეს თუ არა, ჩევნ ვამბობდით, რომ ეს იყო მოტყუება. და ეს ნაწილი, რომელმაც დღეს დაინახა, რომ მას ხალხი არ მისდევს, რომ ის გუდაფშუტა, ჩემულობდა, რომ მას შეუძლია განახორციელოს გათანაბრებითი მიწათსარებლობა ბურუუაზიასთან კავშირში; ამაში მდგომარეობდა ძირითადი მოტყუება. ხოლო როდესაც რუსეთის რევოლუციამ დაგვანახვა ბურუუაზიასთან მშრომელი მასების თანამშრომლობის გამოცდილება, ხალხის ცხოვრების უდიადეს ჟამს, როდესაც ომი ლუპავდა და ლუპავს ხალხს, შიმშილით სიკვდილს უმშადებს რა მილიონებს, და მისმა შედეგებმა პრაქტიკულად დაგვანახვა შემთანხმებლობის გამოცდილება, როდესაც იგი განიცადეს და იგრძნეს თვით საბჭოებმა, რომლებმაც განვლეს შემთანხმებლობის სკოლა, მაშინ აშეარა გახდა, რომ ჯანსალი, ცხოველმყოფელი, დიადი სოციალისტური თესლია იმათ მოძღვრებაში, ვისაც უნდოდა გლეხობა, მისი მშრომელი ნაწილი, შეეერთებინა მთელი მსოფლიოს მუშათა დიად სოციალისტურ მოძრაობასთან.

და როგორც კი დადგა ეს საკითხი პრაქტიკულად ნათლად და მკაფიოდ გლეხობის წინაშე, მოხდა ის, რაშიაც არავის არ შექონდა ეჭვი, როგორც ეს დაგვანახვა დღეს გლეხთა საბჭოებმა და ყრილობებმა: როდესაც დადგა დრო სოციალიზმის საქმით განხორციელებისა, გლეხებს საშუალება მიეცათ ნათლად დაენახათ ეს ორი ძირითადი პოლიტიკური ხაზი — კავშირი ბურუუაზიასთან თუ მშრომელ მასებთან; მაშინ მათ გაიგეს, რომ პარტია, რომელიც გლეხობის ნამდვილ მისწრაფებებსა და ინტერესებს გამოხატავს, — ეს არის მემარცხენე

ესერების პარტია. და როდესაც ჩვენმა მთავრობამ ამ პარტიასთან შეკრა კავშირი, ჩვენ თავიდანვე საქმე იმგვარად დაეძყენეთ, რომ იგი უალრესად გასაგებ და ნათელ საფუძველზე ყოფილიყო დაყრდნობილი. თუ რუსეთის გლეხებს უნდათ განახორციელონ მიწის სოციალიზაცია მუშებთან კავშირში, რომელიც განახორციელებენ ბანკების ნაციონალიზაციას და შექმნიან მუშათა კონტროლს, — ისინი ჩვენი ერთგული თანამშრომლები, უერთგულესი და უძვირფასესი მოქავშირები არიან. არ არის არც ერთი სოციალისტი, ამხანაგებო, რომელიც არ აღიარებდეს იმ აშკარა კეშმარიტებას, რომ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შუა ძევს პროლეტარიატის დიქტატურის ხანგრძლივი, მეტნაკლებად ძნელი გარდამავალი პერიოდი, და რომ ეს პერიოდი თავისი ფორმებით ბევრ რამეში იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა სჭარბობს: წვრილი თუ მსხვილი საკუთრება, წვრილი თუ მსხვილი კულტურა. ცხადია, სოციალიზმზე გადასვლა ესტლანდიაში, ამ პატარა, სულ ერთიანად წერა-კითხვის მცოდნე ქვეყანაში, რომელიც მსხვილ სოფლის მეურნეობათაგან შედგება, არ შეიძლება ემსგავსებოდეს სოციალიზმზე გადასვლას ისეთ, უპირატესად წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ყოველი შეგნებული სოციალისტი ამბობს, რომ არ შეიძლება სოციალიზმი გლეხებს ძალით მოვახვიოთ თავს და მხოლოდ მაგალითის ძალაზე და გლეხთა მასის მიერ ცხოვრების პრაქტიკის შეთვისებაზე უნდა ვამყარებდეთ იმედს. როგორ უფრო ეხერხება გლეხობას სოციალიზმზე გადასვლა? აი ის ამოცანა, რომელიც დღეს პრაქტიკულად არის დაყენებული რუსეთის გლეხობის წინაშე. როგორ შეუძლია თვით მას დაუჭიროს მხარი სოციალისტურ პროლეტარიატს და დაიწყოს სოციალიზმზე გადასვლა? და გლეხებმაც დაიწყეს უკვე ეს გადასვლა, და ჩვენ მათ სრული ნდობით ვუყურებთ.

ის კავშირი, რომელიც ჩვენ მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებთან შევკარით, შექმნილია მტკიცე ბაზაზე და მტკიცდება არა დღეობით, არამედ საათობით. თუ პირველ ხანებში სახალხო კომისართა საბჭოში ჩვენ შეგვეძლო

შიში გვქონდა, რომ ფრაქციული ბრძოლა შეაფერხებდა მუშაობას, ერთად მუშაობის ორი თვის გამოცდილების საფუძველზე გარკვევით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენთან უმეტეს საკითხებში ერთხმივი გადაწყვეტილება მუშავდება.

ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ მაშინ, როცა გამოცდილება უჩვენებს გლეხებს, როგორი უნდა იყოს, მაგალითად, გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, ისინი თვითონ ქვევიდან, საკუთარი გამოცდილების მიხედვით, ამყარებენ თავიანთ კაეშირს. მეორე მხრივ, სამოქალაქო ომის გამოცდილება თვალნათლივ უჩვენებს გლეხების წარმომადგენლებს, რომ სოციალიზმისაკენ არ არსებობს სხვა გზა, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა და ექსპლოატატორების ბატონიბის შეუბრალებელი დათრგუნვისა. (ტაში.)

ამხანაგებო! ყოველთვის, როცა კი ვეხებით ამ თემას, ამ კრებაზე თუ ცაკ-ში, ხანგამოშვებით მესმის ხოლმე კრების მარჯვენა მხრიდან წამოძახილი: «დიქტატორი». დიახ, «როდესაც ჩვენ სოციალისტები ვიყავით», მაშინ ყველანი ვაღიარებდით პროლეტარიატის დიქტატურას; ისინი კიდევაც წერდნენ მის შესახებ თავიანთ პროგრამებში, ისინი აღშფოთებული იყვნენ იმ გავრცელებული ცრურწმენით, თითქოს შეიძლება გადაჯერო მოსახლეობა, დაუმტკიცო მას, რომ არ უნდა ხდებოდეს მშრომელი მასის ექსპლოატაცია, რომ ეს ცოდვა და სირცხვილია, და რომ მაშინ დამყარდება სამოთხე ქვეყნად. არა, ეს უტობიური ცრურწმენა დიდი ხანია დამსხერეულია თეორიაში, და ჩვენი ამოცანაა — დავამსხვრიოთ იგი პრაქტიკაში.

სოციალიზმის წარმოდგენა ისე, რომ ჩვენ ბატონი სოციალისტები მას თევზით, მზამზარეულად მოგვართმევენ, არ შეიძლება, — ეს არ იქნება. ჯერ კლასობრივი ბრძოლის არც ერთი საკითხი არ გადაჭრილა ისტორიაში ძალდატანების გარეშე. ძალდატანება, როდესაც მას მშრომელი, ექსპლოატირებული მასები მიმართავენ ექსპლოატატორების წინააღმდეგ, — დიახ, ჩვენ ასეთი ძალდატანების მომხრენი ვართ! (მქუ-ხარე ტაში.) და ჩვენ სულაც არ გვაშფოთებს იმ ადამიანთა გოდება, რომლებიც, შეგნებულად თუ შეუგნებლად,

ბურუუაზიის მხარეზე დგანან, ან ისე შეშინებულან, ისე და-
ცემულან სულით მისი ბატონობით, რომ, როცა ახლა ეს
კლასობრივი, წარმოუდგენლად გამწევებული ბრძოლა დაი-
ნახეს, დაიბნენ, ატირდნენ, დაივიწყეს ყველა თავიანთი წანა-
მძღვარი და ჩვენგან მოითხოვენ შეუძლებელს, რომ ჩენ, სო-
ციალისტებმა, ექსპლოატატორების წინააღმდეგ, უბრძოლევ-
ლად, მათი წინააღმდეგობის ჩაუხშობლად მივაღწიოთ სრულ
გამარჯვებას.

ბატონი ექსპლოატატორები ჯერ კიდევ 1917 წლის ზაფ-
ხულში მიხედნენ, რომ საქმე ეხება «უკანასკნელ და გადამწ-
ყვეტ ბრძოლებს», რომ ბურუუაზიის უკანასკნელ სიმაგრეს,
მის მიერ მშრომელი მასების დათრგუნვის ამ მოავარ და ძი-
რითად წყაროს, მათ ხელიდან გამოგლეჯენ, თუ საპონები
აიღებენ ხელისუფლებას.

აი ამიტომ დაიწყო ოქტომბრის რევოლუციამ ეს სისტე-
მატური შეუდრეველი ბრძოლა იმისთვის, რომ ექსპლოა-
ტატორებმა შეწყვიტონ თავიანთი წინააღმდეგობა, და რომ,
თუმცა მეტად ძნელია ეს თვით საუკეთესოებისთვისაც კი მათ
შორის, ისინი იძულებული იქნებიან შეურიგდნენ იმ აზრს.
რომ მეტი ალარ იქნება ექსპლოატატორული კლასების ბა-
ტონობა, ამიერიდან უბრალო გლეხი იქნება მბრძანებელი და
ისინი იძულებული იქნებიან დაემორჩილონ მას, — თუმცა
ეს დიდად არასასიამოვნო იქნება მათთვის, მაგრამ რას გა-
აწყობენ.

ეს ბევრი სიძნელის, ბევრი მსხვერპლისა და შეცდომის
ფასად დაჯდება; ეს ახალი საქმეა, ისტორიაში გაუგონარი,
რომელსაც წიგნებში ვერ წაიკითხავ. თავისთავად იგულისხ-
მება, რომ ეს უდიდესი, უძნელესი გადასვლაა ისტორიაში,
მაგრამ სხვანაირად ვერასგზით ვერ მოვახდენდით ამ უდიდეს
გადასვლას. და იმ გარემოებამ, რომ რუსეთში შეიქმნა საბ-
ჭოთა ხელისუფლება, ცხადყო, რომ რევოლუციური გამოცდი-
ლებით ყველაზე მდიდარია თვით რევოლუციური მასა, —
როდესაც რამდენიმე ათეული პარტიული ადამიანის დასახმა-
რებლად ჩნდებიან მილიონები, — რომელიც თვითონ პრაქტი-
კულად სწვდება ყელში თავის ექსპლოატატორებს.

აი რატომ მოიპოვა ამჟამად რუსეთში უპირატესობა სა-
მოქალაქო ომია. ჩვენს წინააღმდეგ აყენებენ ლოზუნგს: «და
მოისპოს სამოქალაქო ომი». ეს მე გავიგონე ეგრეთწოდებული
დამჯუძნებელი კრების მემარჯვენე ნაწილის წარმომადგენ-
ლებისაგან. და მოისპოს სამოქალაქო ომი... რას ნიშნავს ეს?
ვისთან სამოქალაქო ომი? კორნილოვთან, კერენსკისთან, რია-
ბუშინსკისთან, რომლებიც მილიონებს ხარჯავენ მაწანწალებისა
და მოხელეების მოსახყიდად? იმ მესაბოტავებთან, რომლე-
ბიც, სულ ერთია, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ამ მოსყიდ-
ვაზე მიდიან? უეჭველია, რომ უკანასკნელთა შორის, შეუგ-
ნებელთა შორის, არიან ისეთები, რომლებიც ამას შეუგნებ-
ლად სჩადიან, იმიტომ რომ მათ წარმოდგენაც კი არ შეუძ-
ლიათ, რომ შეიძლება და ძირფესვიანად უნდა დაინგრეს კი-
დევაც წინანდელი ბურუუაზიული წყობილება და მის ნანგ-
რევებზე უნდა დაიწყოს სრულიად ახალი სოციალისტური
საზოგადოების შენება. უეჭველია, რომ არიან ასეთი ადამია-
ნები, — მაგრამ განა ეს ცვლის მდგომარეობას?

აი ამიტომაა, რომ შეძლებული კლასების წარმომადგენ-
ლები აღარაფერს ზოგავენ, აი ამიტომაა ეს მათთვის უკანასკ-
ნელი და გადამწყვეტი ბრძოლები, და ისინიც არავითარ და-
ნაშაულობას არ დაერიდებიან, ოლონდ კი საბჭოთა ხელის-
უფლება მოსტეხონ. განა სოციალიზმის მთელი ისტორია,
განსაკუთრებით საფრანგეთისა, რომელიც ასე მდიდარია რე-
ვოლუციური მისწრაფებებით, არ გვიჩვენებს, რომ როდე-
საც თვით მშრომელი მასები იღებენ ხელისუფლებას, მმართ-
ველი კლასები სჩადიან გაუგონარ დანაშაულს, არ ერიდებიან
დახვრეტას, როდესაც საქმე ეხება მათი საკუთარი ფულის
ქისის დაცვას. და როდესაც ეს ადამიანები გველაპარაკე-
ბიან სამოქალაქო ომზე, ჩვენ მათ ღიმილით ვუპასუხებთ,
ხოლო როდესაც ისინი თავიანთ ლოზუნგს მოსწავლე ახალ-
გაზრდობაში ისვრიან, ჩვენ მათ ვეუბნებით — თქვენ ატყუებთ
მათ!

კლასობრივ ბრძოლას შემთხვევით როდი მიუღია თავისი
უკანასკნელი ფორმა, როდესაც ექსპლოატირებულთა კლასი
ეუფლება ხელისუფლების ყველა საშუალებას, რათა სა-

ბოლოოდ მოსპოს თავისი კლასობრივი მტერი — ბურუუაზია, აღგავოს ჩუსეთის მიწის პირიდან არა მარტო მოხელეები, არამედ მემამულეებიც, როგორც აღგავეს ისინი ზოგიერთ გუბერნიაში რუსმა გლეხებმა.

ჩეენ გვეუბნებიან, საბოტაჟი, რომლითაც სახალხო კომისართა საბჭოს შეხვდნენ მოხელეები და მემამულეები, ამტკიცებს, რომ სოციალიზმისაკენ წასვლა არ სურთო. თითქოს ცხადი არ იყო, რომ კაპიტალისტებისა და გაიძევერების, მაწანწალებისა და მესაბოტაჟეების მთელი ეს ბანდა წარმოადგენს ბურუუაზიის მიერ მოსყიდულ ერთ ბრძოს, რომელიც ეწინააღმდეგება მშრომელთა ხელისუფლებას. რა თქმა უნდა, ვინც ფიქრობდა, რომ შეიძლება ერთბაშად გადახტე კაპიტალიზმიდან სოციალიზმში, ან ვისაც შესაძლებლად მიაჩნდა დაერწმუნებინა მოსახლეობის უმრავლესობა იმაში, რომ ამის მიღწევა შეიძლება დამფუძნებელი კრების საშუალებით, ვისაც სწამდა ეს ბურუუაზიულ-დემოკრატიული ზღაპარი — მას შეუძლია მშვიდად განაგრძოს ამ ზღაპრის დაჯერება, მაგრამ დაეის ნულარ დააყვედრის ცხოვრებას, თუ იგი ამ ზღაპარს დაამსხვრევს.

ვინც გაიგო, რა არის კლასობრივი ბრძოლა, რას ნიშნავს საბოტაჟი, რომელიც მოხელეებმა მოაწყვეს, მან იცის, რომ ერთბაშად სოციალიზმში გადახტომა ჩეენ არ შეგვიძლია. დარჩენ ბურუუები, კაპიტალისტები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ დაიბრუნებენ ბატონობას და იცავენ თავიანთ ფულის ქისას, დარჩა მაწანწალობა, მოსყიდულ, კაპიტალიზმის მიერ სრულიად გასრესილ ადამიანთა ფენა, რომელთაც არ შეუძლიათ ამაღლდნენ პროლეტარული ბრძოლის იდეამდე. დარჩენ მოსამსახურენი, მოხელენი, რომელთაც ჰგონიათ, რომ ძველი წესწყობილების დაცვა საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ სოციალიზმის გამარჯვება სხვაგვარად, თუ არა ამ ფენების სრული განადგურებით, სხვაგვარად, თუ არა როგორც რუსეთის, ისე ევროპის ბურუუაზიის სრული დალუპვით? ხომ არა გვგონია ჩეენ, რომ ბბ. რიაბუშინსკებს არ ესმით თავიანთი კლასობრივი ინტერესები? ისინი არიან, მესაბოტაჟეებს რომ ქრთამა-

ვენ, რათა მათ არ იმუშაონ. ან იქნებ ისინი ცალ-ცალკე მოქმედებენ? განა ისინი საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის კაპიტალისტებთან ერთად არ მოქმედებენ, როცა ფასიან ქალალდებს ყიდულობენ? ვნახოთ მხოლოდ, ბევრს თუ უშესლის მათ ეს შესყიდვა. და იმ ფასიანი ქალალდების გროვა, ასელა რომ ისინი იღებენ, ხომ არ გადაიქცევა სულ უბრალო, ყოფლად გამოუსადევარ, ძველ ქალალდად?

აი ამიტომ არის, ამხანაგებო, როდესაც გვისაყველურებენ და გვაბრალებენ ტერორს, დიქტატურას, სამოქალაქო ომის გაჩალებას, თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ შორისა ვართ ნამდვილი ტერორისაგან, იმიტომ რომ ჩვენ შათზე ძლიერი ვართ, — ჩვენ გვაქვს საბჭოები, ჩვენთვის საქმარისია ბანკების ნაციონალიზაცია და ქონების კონფისკაცია, რომ დავიმორჩილოთ ისინი, — სამოქალაქო ომის გაჩალების მთელ ამ ბრალდებაზე ჩვენ ვუპასუხებთ: დიახ, ჩვენ აშკარად გამოვაცხადეთ ის, რასაც ვერც ერთი მთავრობა ვერ გამოაცხადებდა. მსოფლიოში პირველი მთავრობა, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო ომზე აშკარად ილაპარაკოს, არის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასების მთავრობა. დიახ, ჩვენ დავიწყეთ და ვაწარმოებთ ამს ექსპლოტატორების წინააღმდეგ. რაც უფრო პირდაპირ ვიტყვით ამას, მით უფრო მაღლ დამთავრდება ეს ომი, მით უფრო ჩქარა მიგვიხდებიან მთელი მმრომელი და ექსპლოტირებული მასები, მიხედებიან, რომ საბჭოთა ხელისუფლება აკეთებს კველა მშრომელის ნამდვილ, საარსებო საქმეს.

მე არ ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ მაღლ გავიმარჯვებთ ამ ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ მეტად მდიდარი ვართ გამოცდილებით: ორი თვის განმავლობაში ჩვენ ბევრ რამეს მიგაღწიეთ. ჩვენ განვიცადეთ კერძენსკის შემოტევის ცდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ ცდის სრული კრახი; ჩვენ განვიცადეთ უკრაინელი კერძენსკების ხელისუფლების ორგანიზაცია, — იქ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ ყველასთვის, ვინც მას თვალს აღევნებს, ვისაც მოუსმენია თუნდაც რამდენიმე მართალი მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, აშკარაა, რომ უკრაინის რადის ზღურუუაზიული ელემენტები უკანასკნელ დღეებს ითვლიან.

(ტაში.) არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს უკრაინის ბურუუაზიულ რადაზე.

ხოლო ბრძოლა კალედინთან, — აქ მართლაც ყველაფერი დამყარებულია მშრომელთა ექსპლოატაციის საფუძველზე, ბურუუაზიული დიქტატურის საფუძველზე, — თუკი არსებობს რაიმე სოციალური საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გლეხთა ყრილობამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ კალედინის საქმე — უიმედო საქმეა, მშრომელი მასები მისი წინააღმდეგი არიან. საბჭოთა ხელისუფლების გამოცდილება, საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ გაწეული პროპაგანდა საქმით, მაგალითით, თავისას შერება, და კალედინის შინაგანი დასაყრდენი დონზე ასლა იმდენად გარედან არ ინგრევა, რამჟენადაც შიგნიდან.

აი ამიტომ არის, რომ, როცა რუსეთში სამოქალაქო ომის ფრონტს უყუფრებთ, ჩეენ შეგვიძლია სრული რწმენით ვთქვათ: აქ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სრული და საესებით უზრუნველყოფილია. და ამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, ამხანაგებო, მიღწეულია იმით, რომ ის თავიდანვე ახორციელებს სოციალიზმის ძველთაძველ ანდერძებს, თანმიმდევრულად და გადაჭრით ეყრდნობა მასებს, თავის ამოცანად თვლის სახოგალოების უცელაზე დაჩაგრული, დაბეჩავებული ფენები გამოალვიძოს ცოცხალი ცხოვრებისათვის, ააშალლოს სოციალისტური შემოქმედებისათვის. აი ამიტომაც ძეელი არმია, ყაზარმული წვრთნის და ჯარისკაცთა წამების არმია — წარსულს ჩაბარდა. იგი დამსხერეულია და მისგან ქვა-ქვაზე აღარ დარჩენილა. (ტაში.) არმიის სრული დემოკრატიზაცია განხორციელებულია.

ჩემს თავს ნებას მიუცემ მოგიყვეთ ერთი ამბავი, რომელიც მე შემემთხვევა. ეს იყო ფინეთის რკინიგზის ვაგონში, საღაც გავიგონე ლაპარაკი რამდენიმე ფინელსა და ერთ მოხუც დედაქაცს მორის. მე არ შემეძლო მონაწილეობა მიმედო ლაპარაკში, რადგან არ ვიცოდი ფინური ენა, მაგრამ მე მომშართა ერთმა ფინელმა და მითარა: «იცით, რა ორიგინალურ ამბავს მოყვა ეს დედაბერი? მან თქვა: ახლა თოფიანი კაცის

აღარ უნდა გვეშინოდეს. ერთხელ ტყეში ვიყავი, შემხედა თოფიანი კაცი, და იმის ნაცვლად, რომ წაერთმია ჩემთვის ფიჩი, მან კიდევ დამიმატაო.

როდესაც მე ეს გავიგონე, გულში ვთქვი: და ასობით გაჟეთმა, რა სახელიც უნდა ერქვას მათ — სოციალისტური, თითქმის-სოციალისტური და სხვ., და ასობით უაღრესად მაღალმა ხმამ გვიყვიროს: «დიქტატორები», «მოძალადეები» და სხვა ამგვარი სიტყვები. ჩენ ვიცით, რომ ხალხის მასებში ახლა სხვა ხმა ისმის; ისინი თავიანთ გულში ამბობენ: დღეს აღარ უნდა გვეშინოდეს თოფიანი კაცისა, იმიტომ რომ ის იცავს მშრომელებს და ულმობელი იქნება ექსპლოატატორთა ბატონობის დაორგუნვაში. (ტაში.) აი რა იგრძნო ხალხმა, და აი რატომ არის ის აგიტაცია, რომელსაც ეწევიან უბრალო, გაუნათლებელი ადამიანები, როდესაც ლაპარაკობენ იმაზე, რომ წითელგვარდიელები მთელ ძლიერებას ექსპლოატატორების წინააღმდეგ მიმართავენ, — ეს აგიტაცია უძლეველია. ეს აგიტაცია მოიცავს მილიონებს და ათეულ მილიონებს და მტკიცედ შექმნის იმას, რის შექმნაც დაიწყო საფრანგეთის XIX საუკუნის კომუნამ, მაგრამ შექმნა მხოლოდ მოკლე ხნით, იმიტომ რომ იგი გაანადგურა ბურუუზიამ, — შექმნის სოციალისტურ წითელ არმიას, რასაც ყველა სოციალისტი ესწრაფოდა — ხალხის საყოველთაო შეიარაღებას. იგი შექმნის წითელი გვარდიის ახალ კადრებს, რომლებიც შესაძლებლობას მოგეცემენ აღვზარდოთ მშრომელი მასები შეიარაღებული ბრძოლისათვის.

თუ რუსეთის შესახებ ამბობდნენ: მას არ შეუძლია იომოს, იმიტომ რომ ოფიცრები არ ეყოლებაო, ჩენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რასაც ამბობდნენ თვით ეს ბურუუზიული ოფიცრები, როცა ხედავდნენ კერძნსკისა და კალედინის წინააღმდეგ მებრძოლ მუშებს: «დიახ, ეს წითელგვარდიელები ტექნიკურად არაფრად ვარგან, მაგრამ ამ ადამიანებს რომ ცოტა რამ ესწავლათ, მათ უძლეველი არმია ეყოლებოდათო. ვინაიდან პირველად მსოფლიო ბრძოლის ისტორიაში არმიის რიგებში შევიდნენ ის ელემენტები, რომლებიც აღჭურვილი არ არიან კაზიონური ცოდნით, მაგრამ რომლებიც გამსჭვა-

ლული არიან ექსპლოატირებულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებით. და როდესაც ჩვენს მიერ დაწყებული მუშაობა დამთავრდება, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა უძლეველი იქნება. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო, ეს გზა, რომელიც განვლო საბჭოთა ხელი-სუფლებამ სოციალისტური არმიის მიმართ, მან განვლო აგრეთვე გაბატონებული კლასების მეორე, კიდევ უფრო მოქნილი, კიდევ უფრო რთული იარაღის — ბურუუაზიული სასამართლოს მიმართ, რომელიც ვითომ წესრიგის დაცვას წარმოადგენდა, ნამდვილად კი ექსპლოატირებულთა ულმობელი დათრგუნვის, ფულის ქისის ინტერესების დაცვის პრინციპი იარაღი იყო. საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც გვიანდერდა ყველა პროლეტარულმა რევოლუციამ, — მან იგი ერთბაშად გადასცა დასამსხვრევად. დაე იყვირონ, რომ ჩვენ ძველი სასამართლო რეფორმის მოუხდენლად ერთბაშად გადავეცით დასამსხვრევად. ამით ჩვენ გზა გავუკაფეთ ნამდვილ სახალხო სასამართლოს და იმდენად არა რეპრესიების ძალით, რამდენადაც მასების მაგალითით, მშრომელთა ავტორიტეტით, ფორმალობის გარეშე. სასამართლოდან, როგორც ექსპლოატაციის იარაღიდან, შევქმენით აღზრდის იარაღი სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საფუძველზე. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ერთბაშად ასეთ საზოგადოებას ჩვენ ვერ მივიღებთ.

აი ის მთავარი ნაბიჯები, რომლებიც გადადგა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც მიდიოდა მთელ მსოფლიოში უდიდესი სახალხო რევოლუციების მთელი გამოცდილებით ნაჩვენები გზით. არ ყოფილია არც ერთი რევოლუცია, სადაც მშრომელ მასებს არ დაეწყოთ ნაბიჯების გადადგმა ამ გზით ახალი სახელმწიფო ხელისუფლების შესაქმნელად. სამწუხაროდ. ისინი მხოლოდ იწყებდნენ, მაგრამ ვერ მიყავდათ საქმე ბოლომდე, ვერ მოხერხდა ასალი ტიპის სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა. ჩვენ იგი შევქმენით, — ჩვენში უკვე განხორციელებულია საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა.

მე არ ვიტყუებ თავს ილუზიებით, რომ ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ სოციალიზმისკენ გარდამაცალი პერიოდი,

რომ ჩვენ ჯერ სოციალიზმამდე არ მივსულვართ. მაგრამ თქვენ სწორად მოიქცევით, თუ იტყვით, რომ ჩვენი სახელმწიფო საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკაა. თქვენ ისევე სწორად მოიქცევით, როგორც ისინი, ვინც დასავლეთის მრავალ ბურჟუაზიულ რესპუბლიკას დემოკრატიულს უწოდებს, თუმცა უველამ და თვითეულმა იცის, რომ არ არის არც ერთი თვით ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკათა შორის, რომელიც სავსებით დემოკრატიული იყოს. ისინი დემოკრატიზმის ნამცეცებს იძლევიან, წვრილმანებში კვეცენ ექსპლოატატორების უფლებებს, მაგრამ მმრომელი მასები იქ ისევე დაჩაგრული არიან, როგორც ყველგან. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვამბობთ, რომ ბურჟუაზიულ წყობილებას წარმოადგენს ძველი მონარქიებიც და კონსტიტუციური რესპუბლიკებიც.

ჩვენც ასე ვართ ახლა. ჩვენ შორის ვართ იმისაგან, რომ დავამთავროთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდიც კი. ჩვენ არასოდეს არ ვიტყუებდით თავს იმ იმედით, რომ შევძლებთ მის დამთავრებას საერთაშორისო პროცეტარიატის დაუხმარებლად. ჩვენ არასოდეს არ ვცდებოდით ამ მხრივ და ვიცით, რა ინელია ის გზა. რომელსაც კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ მივყავართ, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ ვთქვათ, რომ საბჭოების ჩვენი რესპუბლიკა სოციალისტურია, იმიტომ რომ ჩვენ ამ გზას დავადექით, და ეს სიტყვები არ იქნება ლიტონი სიტყვები.

ჩვენ მრავალი ლონისძიების განხორციელება დავიწყეთ, რომლებიც ძირს უთხრიან კაპიტალისტების ბატონობას. ჩვენ ვიცით, რომ ყველა დაწესებულების მუშაობა ჩვენს ხელისუფლებას უნდა გაეერთიანებინა ერთი საწყისით, და ამ საწყისის ჩვენ გამოვხატავთ სიტყვებით: «რუსეთი ცხადდება საბჭოების სოციალისტურ რესპუბლიკად». ეს იქნება ის სიმართლე, რომელიც ემყარება იმას, რაც ჩვენ უნდა ვაკეთოთ და რისი გაკეთებაც უკვე დავიწყეთ; ეს იქნება მთელი ჩვენი მოქმედების საუკეთესო გაერთიანება, მისი პროგრამის გამოცხადება, მოწოდება ყველა ქვეყნის მშრომელთა და ექსპლოატირებულთადმი, რომლებმაც ან სულ არ იციან, რა არას სოციალიზმი, ან — კიდევ უარესი — სოციალიზმი ესმით ბურჟუაზი-

ული რეფორმების იმ ჩერნოვ-წერეთლისებური დომხალის სახით, რომელიც ჩვენ ვიგემეთ, გამოვცადეთ რევოლუციის ათი თვის განმავლობაში და დავრწმუნდით იმაში, რომ ეს არის ნაყალბევი და არა სოციალიზმი.

აი ამიტომ იყო, რომ «თავისუფალი» ინგლისი და საფრანგეთი ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ, რათა ჩვენი რევოლუციის ათი თვის განმავლობაში არ გაეშვათ ბოლშევიკების და მემარცხენე ესერების გაზეთების არც ერთი ნომერი. ისინი ასეც უნდა მოქცეულიყვნენ, იმიტომ რომ თვალწინ ხედავდნენ ყველა ქვეყანაში უამრავ მუშასა და გლეხს. რომლებიც ინსტინქტურად ითვისებდნენ ყველაფერს, რასაც კი რუსეთის მუშები აკეთებდნენ. ვინაიდან არ ყოფილა არც ერთი კრება, სადაც ტაშის გრიალით არ შეხვედროდნენ რუსეთის რევოლუციის ამბებს და საბჭოთა ხელისუფლების ლობუნგს. მშრომელი და ექსპლოატირებული მასები უკვე ყველგან ეწინააღმდეგებიან თავიანთ პარტიულ ზედაფენებს. ეს ძველი ზედაფენური სოციალიზმი ჯერ კიდევ არ არის დამარხული, როგორც ჩვენში, რუსეთში, ჩხეიძე და წერეთელი, მაგრამ ის უკვე მოკლულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ის უკვე მკვდარია.

და ამ ძველი ბურუუაზიული შეკვეთების წინააღმდეგ დგას უკვე ახალი სახელმწიფო — რესპუბლიკა საბჭოებისა, რესპუბლიკა მშრომელი, ექსპლოატირებული ქლასებისა, რომლებიც ამსხვრევენ ძველ ბურუუაზიულ ტიხრებს. შექმნილია სახელმწიფოს ახალი ფორმები, როდესაც შესაძლებელი გახდა ექსპლოატატორების, გუშინდელი ფულის ქისით, გუშინდელი ცოდნის მარაგით ძლიერი, უმნიშვნელო ჯგუფის წინააღმდეგობის დათრგუნვა. თავიანთ ცოდნას ისინი — პროფესორები, მასწავლებლები, ინჟინრები — აქცევენ მშრომელთა ექსპლოატაციის იარაღად, როცა ამბობენ: მე მინდა ჩემი ცოდნა ბურუუაზიას ემსახურებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვიმუშავებო. მაგრამ მათი ხელისუფლება დაანგრია მუშარგლებურმა რევოლუციამ, და მათ წინააღმდეგ იქმნება სახელმწიფო, რომელშიც თვითონ მასები თავისუფლად ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს.

სწორედ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინამდეილეში ჩენ გვაქვს ხელისუფლების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ყოველგვარი ხელისუფლების, ყოველგვარი სახელმწიფოს სრულ გაუქმებაზე გადასვლას. ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც აღარ იქნება არავითარი კვალი ექსპლოატაციისა, ესე იგი სოციალისტურ საზოგადოებაში.

მე ახლა მოკლედ შევეხები იმ ლონისძიებებს, რომელთა განხორციელებას შეუდგა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური მთავრობა. ერთ-ერთი პირველი ლონისძიება, რომელიც მიმართულია იქითქენ, რომ არათუ გაქრნენ რუსეთის მიწის პირიდან მემამულებები, არამედ აგრეთვე ძირი გამოეთხაროს ბურჯუაზის ბატონობას და მრავალი მილიონი და ათეული მილიონი მშრომელის შიგნით კაპიტალის ჩაგვრის შესაძლებლობას, — იყო ბანკების ნაციონალიზაციაზე გადასვლა. ბანკები — თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის მსხვილი ცენტრებია. აქ გროვდება გაუგონარი სიმდიდრე და ნაწილება მთელ უზარმაზარ ქვეყანაში, აქ არის მთელი კაპიტალისტური ცხოვრების ნერვი. ეს დახვეწილი და რთული ორგანოებია, ისინი საუკუნეებით გაიზარდნენ, და პირველად მათ აგემა დარტყმები საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც პირველად გააფიქრესულ წინააღმდეგობას წააწყდა სახელმწიფო ბანკში. მაგრამ ამ წინააღმდეგობამ ვერ შეაჩერა საბჭოთა ხელისუფლება. ჩენ მოვაგვარეთ ძირითადი საქმე სახელმწიფო ბანკის ორგანიზაციაში, ეს ძირითადი მუშებისა და გლეხების ხელშია, და ამ ძირითადი ზომებიდან, რომელთა დაშუავება ჯერ კიდევ დიდხანს მოვიხდება, ჩენი გადავიდით კერძო ბანკების ხელში ჩაგდებაზე.

ჩენ ისე არ მოვიქეცით, როგორც ეს შეიძლებოდა ერჩიათ შემთანხმებლებს: ჯერ დაგვეცადა დამფუძნებელი კრებისათვის, შემდეგ, შეიძლება, შეგვემუშავებინა კანონპროექტი, შეგვეტანა იგი დამფუძნებელ კრებაში და ამით გვეცნობებინა ბატონ ბურჯუებისთვის ჩენი განხრახვა, რომ მათ გასაძრომი მოენახათ, როგორ დაელწიათ თავი ამ არა! ასიამოვნო ამბისთვის; შესაძლოა, ჩაგვება. ისინი კრიპანიაში.

მაშინ თქვენ შექმნიდით სახელმწიფო კანონებს, — ეს იქნებოდა «სახელმწიფო აქტი».

ეს იქნებოდა სოციალიზმის გაუქმება. ჩვენ უბრალოდ მოვიქეცით: არ მოვერიდეთ «განათლებულ» ადამიანთა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბურუჟაზიის იმ გაუნათლებელი მომხრეების კიცხვას, რომლებიც თავიანთი ცოდნის ნაშთებით ვაჭრობენ, და ვთქვით: — ჩვენ გვყავს შეიარაღებული მუშები და გლეხები. მათ ამ დილით უნდა დაიკავონ ყველა კერძო ბანკი. (ტაში.) და როცა ისინი ამას იზამენ, როცა რალაუფლება უკვე ჩვენს ხელში იქნება, მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილავთ, თუ რა ზომები მავიღოთ. და დალით ბანკები დაიკავეს, სალამოს კი ცაკ-მა გამოიტანა დადგენილება: «ბანკები ცხადდება ნაციონალურ საკუთრებად», — მოხდა საბანკო საქმის გასახელმწიფოებრივება. განსაზოგადება, მისი გადაცემა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

არ იყო ჩვენს შორის არც ერთი აღაშიანი. რომელსაც შეეძლო წარმოედგინა, რომ საბანკო საქმის ასეთი დასხელოვნებული, მოქნილი აპარატი, რომელიც მეურნეობის კაპიტალისტური სისტემიდან მთელი საუკუნოებით ვითარდებოდა, შეიძლება დამსხვრეულ ან გადაკეთებულ იქნეს რამდენიმე ლერში. ეს ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს. და როდესაც სწავლული ანუ ვითომ-სწავლული ადამიანები თავს იქნევდნენ და წინასწარმეტყველებდნენ, ჩვენ ვამბობდით: თქვენ შეგიძლიათ რაც გნებავთ ის იწინასწარმეტყველოთ. ჩვენ ვიცით პროლეტარული რევოლუციის მხოლოდ ერთი გზა: მტრის პოზიციის დაცყრობა — ხელისუფლების მომარჯვების სწავლა! გამოცდილებით, საკუთარი შეცდომებით. ჩვენ სრულებითაც არ ვამცირებთ ჩვენი გზის სიძნელეს, მაგრამ ძირითადი ჩვენ უკვე გავაკეთეთ. კაპიტალისტური სიმდიდრის წყაროს მათი განაწილება უკვე ჩაუკუთრებით. სახელმწიფო სესხთა გაუქმება, ფინანსური უდლის დამხობა, — ეს სულ ადვილი ნაბიჯი იყო ამის შემდეგ. აგრეთვე სულ იოლი იყო ქარხნების კონფისკაციაზე გადასვლა მუშათა კონტროლის შემდეგ. როდესაც გვაძრალებდნენ, მუშათა კონტროლის შემოღებით თქვენ წარმოებას ცალქე საამქროებად აქცუცმაცებ-

თო, ჩვენ უარვყოფდით ამ სისულეელეს. როცა მუშათა კონტროლი შემოვიდეთ, ჩვენ ვიცოდით, რომ დიდი დრო იყო საჭირო, ვიდრე ის მთელ რუსეთში გავრცელდებოდა, მაგრამ ჩვენ გვინდოდა დაგვენახვებინა, რომ ვცნობთ მხოლოდ ერთ გზას — გარდაქმნებს ქვემოდან, რათა მუშებმა თვითონ გამოიმუშაონ ქვემოდან ეკონომიური პირობების ახალი საფუძვლები. ამის გამომუშავებას ცოტა დრო როდი დასჭირდება.

მუშათა კონტროლიდან ჩვენ გადავედით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნაზე. მხოლოდ ეს ლონისძიება, ბანკების და რკინიგზების ნაციონალიზაციასთან ერთად, რომელიც უახლოეს დღეებში განხორციელდება, მოგვცემს სამუალებას შევუდგეთ ახალი სოციალისტური მეურნეობის შენებას. ჩვენ მშვენივრად ვიცით ჩვენი საქმის სიძნელე, მაგრამ ვამტკიცებთ, რომ ნამდვილი სოციალისტი მხოლოდ ის არის, ვინც ხელს კიდებს ამ ამოცანას და იმედს ამყარებს მშრომელი მასების გამოცდილებასა და ინსტინქტზე. ისინი ბევრ ჰეცდომას დაუშევებენ, მაგრამ ძირითადი გაერთებულია. მათ იციან, რომ როცა საბჭოთა ხელისუფლებას მიმართავენ, მხოლოდ დახმარებას მიიღებენ ექსპლოატატორების წინააღმდეგ. არ არსებობს მათი მუშაობის შემამსუბუქებელი არც ერთი ისეთი ლონისძიება, რომელსაც მთლიანად და სავსებით მხარს არ უჭირდეს საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი არ იცის, მას არ მუშადლია ყველაფერს დროზე მიეშველოს, და ხშირად მას უხდება ძნელი ამოცანების წინაშე დგომა. ძალიან ხშირად მთავრობას უგზავნიან მუშათა და გლეხთა დელეგაციებს, რომლებიც გვიკითხებან, როგორ მოქმედნენ, მაგალითად, ამა და ამ მიწას და თვითონ მეც ხშირად ვევრდებოდი ძნელ მდგომარეობაში, როცა ვხედავდი არცთუ სავსებით გარევულ შეხედულებას მათი მხრივ. და ვეუბნებოდი მათ: თქვენ ხელისუფლება ხართ, გააქეთეთ ყველაფერი, რისი გაქეთებაც გინდათ, წაიღეთ ყველაფერი, რაც გესაჭიროებათ, ჩვენ მხარს დაგიჭირთ, მაგრამ იზრუნეთ წარმოებაზე, იზრუნეთ იმაზე, რომ წარმოება სასარგებლო იყოს. გადადით სასარგებლო სამუშაოებზე, თქვენ

შეცდომები გექნებათ, მაგრამ ისწავლით. და მუშებმა უკვე დიოწყეს სწავლა, მათ უკვე დაიწყეს პრძოლა მესაბოტაჟებთან. ადამიანებმა განათლებიდან აღმართეს ლობე, რომელიც მშრომელებს ხელს უშლის წინ წავიდეს; ეს ლობე აღგვილი იქნება.

ეჭვი არ არის, რომ ომი რყენის ხალხს ზურგშიც და ფრონტზეც, ყოველგვარ ნორმაზე ზევით უხდის ომისთვის მომუშავეთ, იზიდავს ყველას, ვინც თავი აარიდა ოშეს, მაწანწალურ და ნახევრადმაწანწალურ ელემენტებს, რომლებიც გამსჭვალული არიან ერთი სურვილით — «წაგლივონ» და წავიდნენ. მაგრამ ეს ელემენტები, — ყველაზე უარესი, რაც ძველმა კაპიტალისტურმა წყობილებამ დაგვიტოვა, — რომლებსაც გადმოაქვთ ყველა მისი ძეელი მანქი, ჩვენ უნდა გავაძეოთ, განვდევნოთ, საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებში ჩავაბათ ყველა საუკეთესო პროლეტარული ელემენტი და მათგან შევქმნათ მომავალი სოციალისტური რუსეთის უჯრედები. ეს ადვილი ღონისძიება როდია, ამას თან სდევს ბევრი კონფლიქტი, უთანხმოება, შეხლა-შემოხლა. ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭოს, და პირადად მეც მომისმენია მათი საჩივარი და მუქარა, მაგრამ ჩვენ მათ ვექცეოდით გულდამშვიდებით, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენ ახლა გვყაბს მსაჯული, რომელსაც მიემართავთ. ეს მსაჯულია — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. (ტაში.) ამ მსაჯულის სიტყვა უდავოა, ჩვენ მას ყოველთვის ვენდობით.

კაპიტალიზმი განგებ ანაწილებს ფენებად მუშებს, რომ ბურჟუაზიას დაუკავშიროს მუშათა კლასის ზედაცენების უმნიშვნელო ჯგუფი, — მათთან შეტაკება აუცილებელი იქნება. უბრძოლველად ჩვენ სოციალიზმს ვერ მივაღწევთ. მაგრამ ჩვენ მზადა ვართ ბრძოლისათვის, ჩვენ იგი დავიწყეთ და კიდევაც მივიყვანთ ბოლომდე იმ აპარატის დახმარებით, რომელსაც საბჭოები ეწოდება. თუ შექმნილ კონფლიქტებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამსჯავროს წინაშე გამოვიტანთ, ყოველი საკითხი ადვილად გადაწყდება. ვინაიდან, რაც უნდა ძლიერი იყოს პრივილეგიური მუშების ჯგუფი, როცა მათ ყველა მუშის წარმომადგენლობის წინაშე

აყენებენ, ასეთი სამსჯავრო, ვიმეორებ, მათთვის უდავო იქნება. ასეთი რეგულირება ეს-არის ახლა იწყება. მუშებსა და გლეხებს ჯერ კიდევ საკმაოდ არა სწამო თავიანთი ძალა, ისინი, საუკუნეობრივი ტრადიციის ძალით, მეტისმეტად მიერგვნენ ზევიდან ბრძანების ლოდინს. ისინი სავსებით ჯერ კიდევ ვერ შეჩევევიან იმ აზრს, რომ პროლეტარიატი გაბატონებული კლასია, მათ შორის კიდევ არიან დაშინებული, დაბეჩავებული ელემენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ უნდა განვლონ ბურჟუაზიის საზიზლარი სკოლა. ეს უსაზიშლრესი ბურჟუაზიული ცრუტმენი ყველაზე დიდხანს ცოცხლობდა, მაგრამ ის იღუპება და დაიღუპება კიდეც საბოლოოდ. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯთან ერთად თანდათან უფრო მეტი რაოდენობით გამოიყოფიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საბოლოოდ განთავისუფლდნენ ძეგლი ბურჟუაზიული ცრუტმენისაგან, თითქოს უბრალო მუშასა და გლეხს არ შეეძლოს სახელმწიფოს მართვა. შეიძლება ისწავლოს კიდეც, თუ ხელს მოკიდებს მართვას! (ტაში.)

ორგანიზაციული ამოცანა იქნება სწორედ ხალხის მასიდან ხელმძღვანელებისა და ორგანიზატორების გამოყოფის ამოცანა. ეს უდიდესი, ბუმბერაზული სამუშაო დგას ახლა დღის წესრიგში. მის შესრულებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლება, გამცხრილავი აპარატი, რომელსაც შეუძლია ადამიანების წამოყენება.

ჩვენ გვაქვს არა მარტო სახელმწიფო კანონი კონტროლის-შესახებ, ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო საგულისხმო რამ — პროლეტარიატის ცდა მეფაბრივეთა კავშირებთან ხელშეკრულებათა დადებისა, რათა მუშებს უზრუნველყოფილი ექნეთ მრეწველობის მთელი დარგების მმართველობა. ასეთი ხელშეკრულების გამომუშავება უკვე დაიწყეს დაღეს კიდეც მეტყავეებმა ტყავის წარმოების მეფაბრივებისა და მექარხნეების სრულიად რუსეთის საზოგადოებასთან; ამ ხელშეკრულებებს მეგანსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვაძლევ⁴. ისინი ცხადყოფენ, რომ მუშებში იზრდება საკუთარი ძალის შეგნება.

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში მე არ შევხებივარ გახსა-კუთრებით მტკიცნეულ და ინელ საკითხებს — ზავის, სასურ-სათო საკითხებს, იმიტომ რომ ეს საკითხები განსაკუთრებულ მუხლებადაა შეტანილი დღის წესრიგში, და ისინი სპეცია-ლურად იქნება განხილული.

ჩემს მოკლე მოხსენებაში მე მინდოდა მეჩვენებინა, როგორ გვაქვს წარმოდგენილი მე და მთელ სახალხო კომისართა საბჭოს საერთოდ იმის ისტორია, რაც ჩვენ ამ ორთვენახევ-რის განმავლობაში განვიცადეთ, როგორ ჩამოყალიბდა რუ-სეთის რევოლუციის ამ ახალ პერიოდში კლასობრივ ძალთა თანაფარდობა, როგორ ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო ხელისუფლება, რა სპეციალური ამოცანები დგას მის წინაშე.

სოციალიზმის განსახორციელებლად რუსეთი დაადგა სწორ გზას — მიაღწიოს ამას ბანქების ნაციონალიზაციით და მთელი მიწის სავსებით მშრომელი მასებისათვის გადაცემით. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა სიძნელეები ვევლობება წინ, მაგ-რამ დარწმუნებული ვართ, წარსულ რევოლუციებთან შედა-რების მიხედვით, რომ უდიდეს წარმატებებს მივაღწევთ და რომ ჩვენ ვდგავართ ისეთ გზაზე, რომელიც სრულ გამარჯვე-ბას უზრუნველყოფს.

და ჩვენთან ერთად იქნებიან მასები უფრო მოწინავე, მძარცველური ომით დაქუცმაცებული ქვეყნებისა, რომელთა მუშებს დემოკრატიზაციის უფრო ხანგრძლივი სკოლა აქვთ განვლილი. როდესაც გვისურათებენ ჩვენი საქმის სიინელეს, როდესაც გვეუბნებიან, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესა-ძლებელია მაოლოდ მსოფლიო მასმტაბითო, ამაზი ვხედავთ მხოლოდ ბურჟუაზიის და მის ნებითს და უნებლიერ მომხრეთა განსაკუთრებით უიმედო ცდას — დაამახინჯონ სრულიად უტყუარი ჰეშმარიტება. რა თქმა უნდა, სოციალიზმის საბო-ლოო გამარჯვება ერთ ქვეყანაში შეუძლებელია. მუშათა და გლეხთა ჩვენი რაზმი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას უპერს მხარს, ერთ-ერთი რაზმია იმ მსოფლიო არმიისა, რომელიც დღეს დაქუცმაცებულია მსოფლიო ომით, მაგრამ იგი ისწრაფვის გაერთიანებისაკენ, და ყოველ ამბავს, ჩვენი რევოლუციის შესახებ მოხსენების ყოველ ნაწყვეტს, ყოველ

სახელს პროლეტარიატი თანაგრძნობის ტაშის გრიალით ხედება, რადგან მათ იციან, რომ რუსეთში კეთდება მათი საერთო საქმე — პროლეტარიატის აჯანყების, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის საქმე. ყოველგვარ პროკლამაციასა და კონფერენციაზე მეტად მოქმედებს ცოცხალი მაგალითი, საქმის დაწყება სადმე ერთ ქვეყანაში, აი რა ანთებს ციცხლს ყველა ქვეყნის მმრომელი მასების გულში.

თუ 1905 წლის ოქტომბრის გაფიცვა, — ძლევამოსილი რევოლუციის ეს პირველი ნაბიჯი, — ერთბაშად მოედო და-სავლეთ ევროპას და გამოიწვია მაშინ, 1905 წელს, ავგტომის მუშების მოძრაობა, თუ უკვი მაშინ ვხედავდით პრაქტიკულად, რა ფასი აქვს რევოლუციის მაგალითს, მუშების გამოსვლას ერთ ქვეყანაში, — აქლა ჩვენ ვხედავთ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სოციალისტური რევოლუცია დღეობით კი არა, საათობით მწიფდება.

თუ ჩვენ შეცდომებს ჩავდივართ, გაუფრთხილებლობას ვიჩენთ, თუ ჩვენს გზაზე ვხვდებით შეხლა-შემოხლას, მათთვის ეს კი არ არის მნიშვნელოვანი, მათთვის მნიშვნელოვანია ჩვენი მაგალითი, აი რა აერთიანებს მათ; ისინი ამბობენ: რაც უნდა მოხდეს, ჩვენ ერთად წავალთ და გავიმარჯვებთო. (ტაში.)

სოციალიზმის ღიდი ფუძემდებელნი მარქსი და ერგელსი, რომლებიც მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში უკვირდებოდნენ მუშათა მოძრაობის განვითარებას და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდას, ნათლად ხედავდნენ. რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმი გადასვლა მოითხოვს მშობიარობის ხანგრძლივ ტანჯვას, პროლეტარიატის დიქტატურის ხანგრძლივ პერიოდს, ყოველივე ძველის მსხვრევას, კაპიტალიზმის ყველა ფორმის ულმობელ მოსპობას, თანამშრომლობას ყველა ქვეყნის მუშებისას, რომლებმაც უნდა შეაერთონ მთელი თავიანთი ძალა საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად. და ისინი ამბობდნენ, რომ XIX საუკუნის დამლევს ისე მოხდება, რომ «ფრანგი დაიწყებს, ხოლო გერმანელი დასრულებსონ», — ფრანგი დაიწყებს იმიტომ, რომ რევოლუციის ათეული წლების განმავლობაში მან შეიმუშავა

რევოლუციური მოქმედების ის თავდადებული თაოსნობა, რომელმაც ის გადაქცია სოციალისტური რევოლუციის ავან-გარდად.

ახლა ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო სოციალიზმის ძალთა სხვანაირ შეხამებას. ჩვენ ვამბობთ, რომ მოძრაობა უფრო ადვილად იმ ქვეყნებში იწყება, რომლებიც არ ეკუთვნიან ექსპლოატატორი ქვეყნების რიცხვს, რომლებსაც საშუალება აქვთ ადვილად ძარცვონ და შეუძლიათ მოქრთამონ თავიანთი მუშების ზედაფენები. დასავლეთ ევროპის ეს, ვითომდა სოციალისტური, თითქმის ყველა მინისტერიაბელური, ჩერნოვ-წერეთლის პარტიები არაფერს არ ახორციელებენ და მოკლე-ბული არიან მტკიცე საფუძვლებს. ჩვენ ვიზიტეთ იტალიის მაგალითი, ჩვენ ამ დღეებში ვხედავდით ავსტრიის მუშების გმირულ ბრძოლას მტაცებელ-იმპერიალისტების წინააღმდეგ⁶. და მტაცებლებმა კიდევაც მოახერხონ ღროებით მოძრაობის შეჩერება, მაგრამ მისი სავსებით შეწყვეტა შეუძლებელია, — იგი უძლეველია.

საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი დიდხანს იქნება მათ თვალშინ. ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა მტკიცედ იღომება, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირალდანი და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე. იქ — ჩხუბი, ომი, სისხლისღრა, მილიონობით ადამიანის მსხვერპლი, კაპიტალის ექსპლოატაცია, აქ — მშვიდობის ნამდვილი პოლიტიკა და საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა.

საქმე სხვანაირად მოწყო, ვიდრე მარქსი და ენგელსი მოელოდნენ, საქმეთა ვითარებამ მოგვანიჭა ჩვენ, რუსეთის მშრომელ და ექსპლოატირებულ კლასებს, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის ავანგარდის საპატიო როლი, და ჩვენ ახლა ნათლად ვხედავთ, რა შორს წავა რევოლუციის განვითარება; რუსმა დაიწყო — გერმანელი, ფრანგი, ინგლი-სელი დაასრულებს, და სოციალიზმი გაიმარჯვებს. (ტაში.)

საბოლოო სიტყვა სახალხო კომისართა საბჭოს მოსენიების გამო 12 (25) იანვარს

მოვუსმინე დღეს .მემარჯვენე ორატორებს, რომლებიც შექმანათნენ ჩემი მოხსენების გამო და მიკვირს, როგორ მოხდა, რომ აქამდე მათ ვერაფერი უსწავლიათ და ყოველივე ისიც კი დავიწყნიათ, რასაც ამაოდ «მარქსიზმს» უწოდებენ. ერთ-ერთმა მოკამათე ორატორმა განაცხადა, ჩეენ ვემხრობოდით დემოკრატიის დიქტატურას, ჩეენ ვალიარებდით დემოკრატიის ძალაუფლებასო. ეს განცხადება იმდენად სულელური, იმდენად შეუსაბამო და უაზროა, რომ მხოლოდ სიტუაციების რახარუხს წარმოადგენს. ეს იგივეა, რომ თქვა—ჩვინის თოვლი, ან რაიმე ამის მსგავსი. (სიცილი.) დემოკრატია ბურჟუაზიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ემხრობა ჭეშმარიტი სოციალიზმის ყველა მოლადატე, რომლებიც დღეს ოფიციალური სოციალიზმის სათავეში აღმოჩნდნენ და ამტკიცებენ, რომ დემოკრატია ეწინააღმდეგება პროლეტარიატის დიქტატურასო. ვიდრე ჩევოლუცია არ სცილდებოდა ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებს,— ჩეენ ვემხრობოდით დემოკრატიას, მაგრამ, როგორც კი სოციალიზმის პირველი ნაპერწერალი დავინახეთ ჩევოლუციის მთელ მსვლელობაში, — იმ პოზიციაზე დავდექით, რომელიც მტკიცედ და გადაჭრით იცავს პროლეტარიატის დიქტატურას.

და უცნაურია, რომ ის ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ სურთ გაიგონ ეს უბრალო ჭეშმარიტება სიტყვების—დემოკრატია» და «პროლეტარიატის დიქტატურა» აზრის განსაზღვრის შესახებ, ბედავენ და ასეთი მრავალრიცხოვანი კრების წინაშე გამოდიან ამგვარი ძევლი, ყოვლად უვარებისი აბდაუბდით, რომლითაც იჭრელებულია ბატონ მოწინააღმდევთა მთელი სიტყვები. დემოკრატია — ფორმალური პარლამენტარიზმია, ნამდვილად კი — ბურჟუაზიის მხრივ მშრომელი ხალხის განუწყვეტელი სასტიკი დაცინვაა, უსულგულო, აუტანელი ჩავრადა. და ამის წინააღმდევ გალაშქრება შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვინც მუშათა კლასის ჭეშმარიტი წარმომადგენლები კი არ არიან, არამედ უბადრუები ფუტლარის კაცუნები. რომლებიც ყოველთვის ძალიან დაშორებული იყვნენ და განჩეი იდგნენ ცხოვრებისაგან, რომელთაც ეძინათ და მარინარეთ სასთუმალს ქვეშ ფრთხილად ედოთ ძევლი, დაფლეთილი. სრულიად უსარგებლო წიგნაკი. რომელიც მათვის წარმოდგენს გრისმაჩვენებელს და სახელმძღვანელოს ოფიციალური სოციალიზმის დანერგვის საქმეში. ზაგრამ ათეული მილიონბით შეცოქმედის გონება ქმნის რაღაც განუზომლად უფრო მაღალს, ვიღრე ყველაზე დიალი და გენიალური წინასწარხედვა. ჭეშმარიტი, რევოლუციური სოციალიზმი გაითიშა არა მარტო დღეს, არამედ ომის დაწყებიდანვე. არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, არც ერთი სახელმწიფო, სადაც არ იყოს ეს ფრიად მნიშვნელოვანი გათიშვა, ეს ნაპრალი სოციალიზმის მოძღვრებაში. და ჩინებულიცაა, რომ ის გაითიშა!

იმ ბრალდებაზე საპასუხოდ, რომ ჩვენ ვებრძეით «სოციალისტებს», მხოლოდ ის შევვიძლია ვთქვათ, რომ პარლამენტარიზმის ეპოქაში უკანასკნელის ამ მომხრეებს უკვე არაფერი აქვთ საერთო სოციალიზმთან, ისინი დალპნენ, დამყაყდნენ, ჩამორჩნენ და, ბოლოს და ბოლოს, გადაბარედნენ ბურჟუაზიის მხარეზე. «სოციალისტები», რომლებიც საერთოშორისო მარცველების იმპერიალისტური ზრახვებით გამოწვეული ომის დროს «სამშობლოს დაცვაზე» გაჰკიოდნენ — სოციალისტები კი არა, ბურჟუაზიის მაჩანჩალები, დამქაშები არიან.

ისინი, ვინც ასე ბევრს ლაპარაკობს დემოკრატიის დიქტა-

ტურაზე, — ისინი მხოლოდ უაზრო, შეუსაბამო ფრაზებს ის-ვრიან, რომლებშიც არ არის არც ეკონომიური ცოდნა და არც პოლიტიკური გავება.

ერთ-ერთი მოქამათე ამბობდა აქ, პარიზის კომუნას შეუძლია იამაყოს იმით, რომ პარიზის მუშების აჯანყების დროს მათ შორის არ იყო ძალმომრეობა და თვითნებობაო, — მაგრამ ეჭვი არ არის, კომუნა მხოლოდ იმიტომ დაეცა, რომ საჭიროების დროს საკმარისად ვერ გამოიყენა შეიარაღებული ძალა, თუმცა უკედავი დარჩა ისტორიაში, რადგან საქმით პირველი ახორციელებდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას.

მოკლედ ეხება რა ბურჯუაზიის, მემამულებისა და კაპიტალისტების წარმომადგენლებთან ბრძოლას, ორატორი ტაშის გრიალში მტკიცედ და გადაჭრით აცხადებს: — რაც უნდა თქვან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რევოლუციური ხალხის ნებით ბურჯუაზია იძულებული იქნება ან კაპიტულაცია მოახდინოს, ან დაიიღოს.

ლენინი პარალელს ავლებს ანარქიზმსა და ბოლშევიკების შეხედულებას შორის და აცხადებს, რომ ახლა, ბურჯუაზიული წყობილების ძირითადი მსხვრევის ხანაში, ანარქიზმის ცნება, ბოლოს, ცოცხალ გამოსახულებას იღებს. მაგრამ ვიდრე ბურჯუაზიული წყობილების ჩაგრას დაგამხობდეთ, საჭიროა მმრომელი კლასების მტკიცე რევოლუციური ხელისუფლება — რევოლუციური სახელმწიფოს ხელისუფლება. ეს არის კომუნიზმის დედაარსი. ახლა, როდესაც თვითონ მასა იღებს ხელთ იარაღს და იწყებს დაუნდობელ ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ, როდესაც მოქმედებს ხალხის ახალი ხელისუფლება, რომელსაც საერთო არაფერი აქვს პარლამენტულ ხელისუფლებასთან, — ამ დროს ჩვენს წინაშე ძველი, თავისი ტრადიციებითა და ფორმებით უკვე დროშოკმული სახელმწიფო კი არ არის, არამედ რაღაც ახალი. დაყარებული დაბალი ფენების შემოქმედებითს ძალაზე. და იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ანარქისტი შიშით ლაპარაკობს საბჭოებზე და ჯერ კიდევ მოდველებული შეხედულების გავლენის ქვეშ იმყოფება, ანარქიზმის ახალი, ნორჩი მიმდი-

ნარეობა მტკიცედ ემხრობა საბჭოებს, რომლებშიც ხედავს ცხოველმყოფელობას და უნარს — გამოიწვიონ მასებში თანა-გრძნობა და შემოქმედებითი ძალა.

თქვენი შეცდომა და სიბეცე ის არის, — აცხადებს ორა-ტორი, მიმართავს ჩა «შემკამათებლებს», — რომ თქვენ ვერა-ფერი ისწავლეთ რევოლუციისაგან. ჯერ კიდევ 4 აპრილს ამ დარბაზში მე ვამტკიცებდი, რომ საბჭოები არის დემოკრატი-ზმის უმაღლესი ფორმა*. საბჭოები ან დაილუპებიან — და მაშინ საბოლოოდ დაილუპა რევოლუცია, — ან საბჭოები იცოცხლებენ — და მაშინ სასაცილოა ლაპარაკი რალაც ბურ-უაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაზე იმ დროს, როდესაც მწიფოდება სოციალისტური წყობილების სრული აყვავება და კაპიტალიზმის კრახი. ბურუუაზიულ-დემოკრატიულ რევო-ლუციაზე ბოლშევიკები ლაპარაკობდნენ 1905 წელს, მაგრამ დღეს, როდესაც საბჭოები ხელისუფლებას ჩაუდგნენ სათა-ვეში, როდესაც მუშებმა, ჯარისეაცებმა და გლეხებმა ომის გაუგონჩად გაჭირვებულ და საშინელ ვითარებაში, ნგრევის ატმოსფეროში, შიმშილით სიკედილის აჩრდილის წინაშე, თქვეს — ჩვენ ავიღებთ მთელ ძალაუფლებას და თვითონვე შევუდგებით ახალი ცხოვრების მმენებლობასო, — ამ დროს ლაპარაკიც კი შეუძლებელია ბურუუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაზე. ამის შესახებ ბოლშევიკების მიერ ყრილობებსა, კრებებსა და კონფერენციებზე, რეზოლუციებითა და დადგე-ნილებებით ნათქვამი იყო ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში.

და იმათ, ვინც ამბობს, რომ ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია, რომ ჩვენ სულ უმოქმედოდ ვიყავით, რომ საბჭოთა ხელისუფ-ლების ბატონობას არავითარი ნაყოფი არ მოუტანია, ამაზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვუპასუხოთ: ჩაიხედეთ მშრომელი ხალხის წიაღში, მასების შუაგულში, იქ დუღს ორგანიზაციუ-ლი, შემოქმედებითი მუშაობა, იქ წყაროსავით გადმოქუსხს განახლებული, რევოლუციით დაკანონებული სიცოცხლე. სოფ-ლად გლეხები იღებენ მიწას, მუშები ხელთ იგდებენ ქარხნებ-

* ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, ყვ-3—9. რედ.

სა და ფაბრიკებს, ყველგან ჩნდებიან ყოველგვარი ორგანიზაციები.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს ბოლო მოუღოს ომს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი უფრო მაღე მიაღწევს ამას, ვიდრე კერძნების მთავრობის წარმომადგენლები გვპირდებოდნენ. ვინაიდან ომის დამთავრების საქმეში შევიდა რევოლუციური ფაქტორი, რომელმაც გააუქმა ხელშეკრულებები და სესხები. ომი დამთავრდება საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით.

დასასრულ, ორატორი რამდენიმე სიტყვით ეხება კონტრრევოლუციონერ მესაბოტაჟებს: ეს არის ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული რაზმები, ბურჟუაზიისა, რომელიც უხვად ასაჩუქრებს იმ მესაბოტაჟე მოხელეებს, რომლებმაც, რეაქციის გამარჯვების გულისათვის, ომი გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას. ის მოვლენა, რომ ხალხი გლეხური და მუშური ნაჯახით პირდაპირ ჩეხს ბურჟუაზიას, ეს მოვლენა მათ ნამდვილ მეორედ მოსვლად და ყველაფრის საბოლოო დალუბვად ეჩვენებათ. თუ ჩვენ რამეში დამნაშავე ვართ, მხოლოდ იმაში, რომ ჩვენ მეტად ჰუმანური, მეტად გულეთილი ვიყავით ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური წყობილების, თავიანთი გამცემლობით შესაზარი, წარმომადგენლების მიმართ.

ამ დღეებში ჩემთან მოვიდნენ «ნოვაია უიზნელი»⁷ მწერლები და განაცხადეს, მოვედით ბანკების მოსამსახურეთა სახელით, რომლებსაც სურთ იმსახურონ, შეწყვიტონ საბოტაჟის პოლიტიკა და სავსებით დაემორჩილონ საბჭოთა ხელისუფლებასო. მე მათ ვუპასუხე: დროუა-მეთქი*. მაგრამ, ჩვენს შორის რომ ვთქვათ, თუ მათ ჰვინიათ, რომ ამ მოლაპარაკების დაწყებით ოდნავ მაინც გადავუხვევთ ჩვენს რევოლუციურ პოზიციას, ისინი სასტიკად ცდებიან.

მსოფლიოს იმის მსგავსი არაფერი უნახავს, რაც ამჟამად ხდება ჩვენში, რუსეთში, ამ უზარმაზარ, მთელ რიგ ცალკე სახელმწიფოებად დაყოფილ ქვეყანაში, რომელიც მრავალი სხვადასხვა ეროვნებისა და ხალხისაგან შესდგება: კოლოსა-

* ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 26, გვ. 587. რედ.

ლური ორგანიზაციული მუშაობა ყველა მაზრასა და ოლქში, ქვედაფენების ორგანიზაცია, მასების უშუალო, შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც დაბრკოლება ელობება იმპერიალიზმის სხვადასხვა ბურჟუაზიული წარმომადგენლების მხრივ. მათ, ამ მუშებმა და გლეხებმა, დაიწყეს თავისი ტიტანური მიზნებით გაუგონარი მუშაობა და ისინი საბჭოებთან ერთად ბოლომდე დაამსხვრევენ კაპიტალიზმის ექსპლოატაციას, და, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ დაამხობენ ბურჟუაზიის, ულელს.

**საბოლოო სიტყვა ურილობის დაცურების შინ
18 /31/ იანვარს**

ამხანაგებო, საბჭოების მესამე ყრილობის დახურვის შინ სრული მიუღომლობით უნდა დავადგინოთ ის ისტორიული როლი, რომელიც ამ ყრილობამ შეასრულა საერთაშორისო რევოლუციის ისტორიაში, კაცობრიობის ისტორიაში. უდა- ვოდ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოების მესამე ყრილობამ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ხანა, და დღეს, მსოფ- ლიო რევოლუციის პირობებში, ამ ყრილობის მთელ მნიშვ- ნელობას უფრო და უფრო მეტად იგებენ. ამ ყრილობამ, რომელმაც განამტკიცა ოქტომბრის რევოლუციის მიერ შექმ- ნილი ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, და- სახა მომავალი სოციალისტური მშენებლობის გეზი მთელი მსოფლიოსათვის, ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.

ჩვენში, რუსეთში, საშინაო პოლიტიკის სფეროში ამჟამად საბოლოოდ აღიარებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბ- ლიკის ახალი სახელმწიფოებრივი წყობილება, როგორც რუ- სეთში მოსახლე სხვადასხვა ერის თავისუფალ რესპუბლიკათა ფედერაცია. და ახლა ყველანი, დარწმუნებული ვართ, ჩვენი მტრებიც კი ხედავენ, რომ ახალი წყობილება, საბჭოების ხელისუფლება, გამონაგონი, პარტიული ხერხი კი არ არის, არამედ თვით ცხოვრების განვითარების შედეგია, სტიქიუ-

რაღ განვითარებადი მსოფლიო რევოლუციის შედეგია. მოი-
გონეთ, რომ ყველა დიდი რევოლუცია ყოველთვის ისწრა-
ფვოდა ძირფესვიანად აღეგავა ძველი კაპიტალისტური წყო-
ბილება, ისწრაფვოდა არათუ მოქმოვებინა პოლიტიკური
უფლებები, არამედ თვით სახელმწიფოს მართვა-გამგეობა
გამოეგლიჯა გაბატონებული კლასების, მშრომელთა ყოველ-
გვარი ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების ხელიდან, რომ
ერთხელ და სამუდამოდ მოლებოდა ბოლო ყოველგვარ ექს-
პლოატაციას და ყოველგვარ ჩაგრას. დიდი რევოლუციები
სწორედ ისწრაფვოდნენ დაემსხვრიათ ეს ძველი ექსპლოა-
ტატორული სახელმწიფო აპარატი, მაგრამ დღემდე ამის
შესრულება ბოლომდე არ ხერხდებოდა. და აი რუსეთმა, თა-
ვისი სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობის თავისებუ-
რებათა გამო, დღეს პირველმა მიაღწია სახელმწიფო მარ-
თვა-გამგეობის ამ გადასვლას თვით მშრომელების ხელში.
ახლა ჩვენ, ისტორიული ხლამისაგან გაწმენდილ გზაზე, ავა-
შენებთ სოციალისტური საზოგადოების მძლავრ, ნათელ შე-
ნობას, იქმნება ახალი, ისტორიაში არნახული, სახელმწიფო
ხელისუფლების ტიპი, რომელიც რევოლუციის ნებით მოწო-
დებულია გასწმინდოს დედამიწა ყოველგვარი ექსპლოატაცი-
ის, ძალმომრეობისა და მონობისაგან.

ახლა ვნახოთ, რა მოვცა სახელმწიფოს მართვა-გამგე-
ობის ახალმა სოციალისტურმა პრინციპმა ჩვენი საშინაო
პოლიტიკის სფეროში. ამხანაგებო, თქვენ გახსოვთ, ჯერ კი-
დევ ცოტა ხნის წინათ როგორ შეუჩერებლივ გაკიოდა ბურ-
უაზიული პრესა, რომ ჩვენ ვანგრევთ რუსეთის სახელმწიფოს,
რომ ჩვენ არ ვიცით მართვა, რის გამოც გვშორდება ყველა
ეროვნება—ფინეთი, უკრაინა და სხვ.. ბოროტი სიხარულით
აღსავსე ბურუაზიული პრესა თითქმის ყოველდღე იტყობი-
ნებოდა ასეთი «ჩამოშორების» შესახებ. ჩვენ, ამხანაგებო,
მათზე უკეთ გვესმოდა ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები,
რომელთა საფუძველია მშრომელი მასების უნდობლობა
ბბ. კერენსკებისა და მათი კომპანიის შემთანხმებელ-იმპერია-
ლისტური მთავრობისადმი. ჩვენ ვდუმდით, რადგან მტკიცედ
გვწამდა, რომ ჩვენი სამართლიანი პრინციპები, ჩვენი საკუ-

თარი მართვა-გამგეობა სიტყვებზე უკეთ დაუმტკიცებს ყველა მშრომელს ჩეენს ჰეშარიტ მიზნებსა და ნისწრაფებებს.

და ჩეენ მართალი ვიყავით. ახლა ჩეენ ვხედავთ, რომ ჩეენმა იღებმა გაიმარჯვა ფინეთში, უკრაინაში და იმარჯვებს ღონზე, ალეიძებს მშრომელთა კლასობრივ შეგნებას და მტკიცე კავშირით რაზმავს მათ. ჩეენ ვმოქმედებდით უდიპლო-მატებოდ, არ მივმართავდით ძველ ხერხებს, რომლებსაც იყენებენ იმპერიალისტები, მაგრამ უდიდესი შედეგი თვალ-წინ გვაქვს — რევოლუციის გამარჯვება და გამარჯვებულთა შემორტყება ჩეენთან ერთ მძლავრ რევოლუციურ ფედე-რაციად. ჩეენ ვმართავთ არა იმგვარად, როგორც ძველი რომის სასტიკი კანონი მოითხოვდა — დაყოფის გზით, არამედ იმით, რომ ვაერთიანებთ ყველა მშრომელს ცოცხალი ინტერესების, კლასობრივი შეგნების განუწყვეტელი ჯაჭვით. და ჩეენი კავშირი, ჩეენი ახალი სახელმწიფო უფრო მტკიცეა ძალმომრეობითს ხელისუფლებაზე, რომელიც სიცრუუით და მახვილით აერთიანებს იმპერიალისტებისთვის საკირო ხელოვ-ნურად შექმნილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს. მაგალითად: როგორც კი აიღეს ხელისუფლება ფინეთის მუშებმა და გლეხებმა, მაშინვე მოგვმართეს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისადმი ერთგულების გრძნობის გამოთქმით, მოსალ-მების სიტყვებით, რომლებშიც ჩანს მათი ურყევი გადაწყვე-ტილება, რომ ჩეენთან ერთად ივლიან ინტერნაციონალის გზით. აი ჩეენი ფედერაციის საფუძველი, და მე ლრმად ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. ეს ფედერაცია გაიზრდება სრული ნებაყოფლობით, სიცრუუისა და მახვილის გამოყე-ნებლად, და იგი უძლეველია. მისი უძლეველობის საუკეთესო საწინდარია ის კანონები, ის სახელმწიფო წყობილება, რო-მელსაც ვქმნით ჩეენს ქვეყანაში. ეს-ეს არის თქვენ მოისმი-ნეთ კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ. განა ეს კანონი იმის თავდები არ არის, რომ მუშებისა და გლეხების ერთიანობა დღეს განუყრელია, რომ ჩეენ ასეთი ერთიანობის პირობებში დავძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებას სოციალიზმის გზაზე?

ეს დაბრკოლებები კი, მე არ ვმალავ, მეტად დიდია. ბურუუაზია ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, ყველაფერს სასწორზე დადებს, რომ შემუსროს ჩვენი ერთიანობა. მონახებიან მატყუარები, პროვოკატორები, გამცემლები, შესაძლოა, მოინახონ შეუგნებელი ადამიანები, მაგრამ ჩვენ ამიერილან ვერაფერი შეგვაშინებს, რადგან ჩვენ შევქმენით საკუთარი ახალი სახელმწიფო ხელისუფლება, ვინაიდან ჩვენს ხელთაა სახელმწიფოს თვითმმართველობა. ჩვენი ძლიერების მთელი სიმძიმით დავატყდებით თავს ყოველგვარ კონტროლერუციურ ცდას. მაგრამ ახალი წყობილების სიმტკიცის მთავარი საფუძველია ის ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთაც ჩვენ განვახორციელებთ სოციალიზმის გულისათვის. ამ მხრივ ჩვენ უზარმაზარი სამუშაო მოგველის. მოიგონეთ, ამხანაგებო, რომ მსოფლიო ყაჩარმა-იმპერიალისტებმა, რომლებმაც ომში ჩაითრიეს ერები, ძირფესვიანად მოშალეს მსოფლიოს მთელი სამეურნეო ცხოვრება. ჩვენ დაგვრჩა მძიმე მემკვიდრეობა -- მათ მიერ დანგრეულის აღსაღვენი სამუშაოები.

რა თქმა უნდა, მშრომელებს მართვა-გამგეობის გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. გამარჯვებული პროლეტარიატის წინაშე გადაიშალა ქვეყანა, რომელიც დღეს საერთო-სახალხო კუთვნილება ვახდა, და იგი შესძლებს მოაწყოს ახალი წარმოება და მოხმარება სოციალისტური პრინციპების ნიადაგზე. წინათ ადამიანის მთელი გონიერა, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისთვის კი მოესპო უსაჭიროესი რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაცოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილება, და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონიერა და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად. ჩვენ ეს ვიცით, — და განა ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის გულისთვის არ ლირს მუშაობა, არ ლირს მთელი ძალის შეწირვა? და მშრომელები შეასრულებენ ამ ტიტანურ ისტორიულ სამუშაოს, რადგან მათში დამარხულია

რევოლუციის, აღმოჩნდისა და განახლების მთვლემარე დიადი ძალები.

ჩვენ უკვე მარტონი აღარა ვართ. უკანასკნელ დღეებში მოხდა ლირსშესანიშნავი ამბები არა მარტო უკრაინაში და დონზე, არა მარტო ჩვენი კალედინების და კერენსკების სამეფოში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც. თქვენ უკვე იცით დეპეშები გერმანიაში რევოლუციის მდგომარეობის შესახებ. რევოლუციური სტიქიონის ცეცხლის ალი სულ უფრო დაუფრო ძლიერ ედება მთელ ძველ დამპალ მსოფლიო წყობილებას. ეს არ იყო ცხოვრებას მოწყვეტილი თეორია, არ იყო კაბინეტის ადამიანთა ფანტაზია, რომ ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების შექმნით, სული ჩავუდგით ასეთივე ცდას სხვა ქვეყნებშიც. ვინაიდან, ვიმეორებ, სხვა გამოსავალი ამ სისხლის-მლერელი ხოცვა-ულეტიდან მშრომელებს არ ჰქონდათ. დღეს ეს ცდა უკვე ხორციელდება საერთაშორისო რევოლუციის მტკიცე მონაპოვართა სახით. და ჩვენ ვხურავთ საბჭოების ისტორიულ ყრილობას სულ უფრო მზარდი მსოფლიო რევოლუციის ნიშნით და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ყველა ქვეყნის მშრომელები შეერთდებიან ერთ საკაცობრიო სახელმწიფოდ, რომ შეერთებული ძალით ააგონ ახალი სოციალისტური შენობა. ამ მშენებლობის გზა არის საბჭოები, როგორც დაწყებული მსოფლიო რევოლუციის ერთ-ერთი ფორმა.

მოგესალმებით და მოგიწოდებთ ამ ახალი შენობის მშენებლობისაკენ. თქვენ დაბრუნდებით ადგილებზე და მთელ ძალას მოახმართ ჩვენი უდიდესი გამარჯვების ორგანიზაციასა და განმტკიცებას. (დელეგატები ფეხზე დგებიან და მქუჩარე ტაშით მიესალმებიან ამხანაგ ლენინს).

დაიბჭდა 1918 წ. 12, 13, 14 და 20 იანვარს ცაკ-ის გაზეთში „იზგეს-ტია“ №№ 8, 9, 10 და 15.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტექსტის მიხედვით. მე-4 გა- მოც., ტ. 26, გვ. 529—564.

«დემოქრატიის», და დიჭთატურის შესახებ

ბერლინის «წითელი დროშისა»⁸ და გერმანული ავსტრიის კომუნისტური ორგანოს, ვენის «მოწოდების» (Weckruf)⁹ რამდენიმე ნომერი, რამაც მოსკოვამდე მოაღწია, გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის გამცემლებს, რომლებიც მხარს უჭერენ მტაცებელ-იმპერიალისტთა ომს, ყველა ამ შეიდემანებს და ებერტებს, აუსტერლიცებსა და რენერებს, ლირსეულ წინა-ალმდეგობას უწევენ გერმანიისა და ავსტრიის რევოლუციური პროლეტარების ჭეშმარიტი წარმომადგენლები. ჩვენ მხურ-ვალედ მივესალმებით ორივე ორგანოს, რომლებიც III ინტერ-ნაციონალის სიცოცხლისუნარიანობასა და ზრდას მოასწავე-ბენ.

როგორც ჩანს, რევოლუციის მთავარ საკითხს გერმანია-შიც და ავსტრიაშიც ახლა წარმოადგენს საკითხი: დამფუძ-ნებელი კრება თუ საბჭოების ძალაუფლება? გაკოტრებული II ინტერნაციონალის წარმომადგენლები, ყველანი შეიდემა-ნიდან კაუციკამდე, პირველს უჭერენ მხარს და თავიანთ თვალ-საზრისს უწოდებენ «დემოკრატიის» დაცვას (კაუციკი «წმინ-და დემოკრატიაზეც» კი ლაპარაკობს) დიქტატურის საპი-რისპიროდ. კაუცის შეხედულებანი მე დაწვრილებით გავარ-ჩიე ბროშურაში: პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუციკია, რომელიც ახლახან გამოვიდა მოსკოვსა და პეტრო-

გრადში. შევეცდები მოკლედ გადმოვცე იმ სადაც საკითხის არსი, რომელიც ახლა პრაქტიკულად დადგა დღის წესრიგში ყველა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნისათვის.

შეიდემანები და კაუცკები «წმინდა დემოკრატიაზე» ან «დემოკრატიაზე» საერთოდ ლაპარაკობენ იმიტომ, რომ მოატყონ მასები და დაუმალონ მათ თანამედროვე დემოკრატიის ბურჟუაზიული ხასიათი. დევი ბურჟუაზიამ განაგრძოს სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აპარატის შენარჩუნება თავის ხელში, დევი ერთმა მუჭა ექსპლოატატორებმა განაგრძონ წინანდელი, ბურჟუაზიული, სახელმწიფო მანქანით სარგებლობა! ბურჟუაზიას, თავისთავიდ ცხადია, უყვარს ასეთ პირობებში ჩატარებულ არჩევნებს უწოდოს «თავისუფალი», «თანასწორი», «დემოკრატიული», «საკოველთაო-სახალხო» არჩევნები, რადგან ეს სიტყვები ემსახურება სიმართლის დამალვას, იმის დამალვას, რომ საკუთრება წარმოების საშუალებებზე და პოლიტიკური ძალაუფლება ექსპლოატატორთა ხელში ჩემი, რომ ამიტომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ექსპლოატირებულების, ე. ი. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, ნამდვილ თავისუფლებაზე, ნამდვილ თანასწორობაზე. ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი და აუცილებელია დაუმალოს ხალხს თანამედროვე დემოკრატიის ბურჟუაზიული იული ხასიათი, დასახოს იგი დემოკრატიად საერთოდ ან წმინდა დემოკრატიად, და შეიდემანები, აგრეთვე კაუცკები, ამას რომ იმეორებენ, სინამდვილეში სტოკებენ პროლეტარიატის თვალსაზრისს და ბურჟუაზიის მხარეზე გადადიან.

მარქსი და ენგელსი, როდესაც ისინი უკანასკნელად ერთად აწერდნენ ხელს «კომუნისტური მანიფესტის», წინასიტყვაობას (ეს იყო 1872 წელს), აუცილებლად თვლილნენ განსაკუთრებით მიექციათ მუშების ყურადღება იმისათვის, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია უბრალოდ დაეუფლოს მზამზარეულ (ე. ი. ბურჟუაზიულ) სახელმწიფო მანქანას და აამუშაოს იგი თავისი მიზნებისათვის, რომ მან უნდა დაამსხვრიოს, დაამტკრიოს ეს მანქანა¹⁰. რენგვატმა კაუცკიმ, დაწერა რა მთელი ბროშურა «პროლეტარიატის დიქტატურის» შესახებ, დაუმალა მუშებს ეს უმნიშვნელოვანესი მარქსისტუ-

ლი კეშმარიტება, სრულიად დაამახინჯა მარქსიზმი, და გასაგებია, რომ ის ქება, რომლითაც ბატონი შეიღემანები და მათი კომპანია ამკობდნენ ამ ბროშურას, სავსებით დამსახურებული იყო, როგორც ბურუუაზიის აგენტების მიერ იმის შექება, ვინც ბურუუაზიის მხარეზე გადადის.

ლაპარაკი წმინდა დემოკრატიაზე, დემოკრატიაზე საერთოდ, თანასწორობაზე, თავისუფლებაზე, საყოველთაო-სახალხობაზე, როდესაც მუშები და ყველა მშრომელნი მმიერნი, შიშველ-ტიტველნი, გაჩანაგებულნი, განაწამებნი არიან არა მარტო კაპიტალისტური დაქირავებული მონობით, არამედ 4 წლის მძარცველური ომითაც, ხოლო კაპიტალისტები და სპეკულანტები კვლავ ფლობენ თავიანთ ნაძარცე «საკუთრებას» და სახელმწიფო ხელისუფლების «მზამზარეულ», აპარატს, — ეს ნიშნავს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა აბუჩად აგდებას. ეს ნიშნავს იმას, რომ პირდაპირ გაილაშქრო მარქსიზმის ძირითად კეშმარიტებათა წინააღმდეგ, რომელიც ასწავლიდა მუშებს: თქვენ უნდა გამოიყენოთ ბურუუაზიული დემოკრატია, როგორც უდიდესი ისტორიული პროგრესი ფეოდალიზმთან შედარებით, მაგრამ ერთი წუთითაც ნუ დაივიწყებთ ამ «დემოკრატიის» ბურუუაზიულ ხასიათს, მის ისტორიულ პირობითობას და შეზღუდულობას, ნუ გაიზიარებთ «ცრუტემენას» «სახელმწიფოსადმი», ნუ დაივიწყებთ, რომ სახელმწიფო თვით ყველაზე დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც, და არა მარტო მონარქიის დროს, სხვა არა არის რა, თუ არა ერთი კლასის მიერ მეორის დათრგუნვის შანქანა.

ბურუუაზია იძულებულია ითვალმაქცოს და «საერთო-სახალხო ხელისუფლება» ან საერთოდ დემოკრატია ან წმინდა დემოკრატია უწოდოს (ბურუუაზიულ) დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ბურუუაზიის დიქტატურას, ექსპლოატატორთა დიქტატურას მშრომელ მასებზე. შეიდემანები და კაუციები, აუსტერლიცები და რენერები (ახლა, სამწუხაროდ, ფრიდრიხ ადლერის დახმარებით) მხარს უჭერენ ამ სიცრუუსა და ამ თვალთმაქცობას. ხოლო მარქსისტები, კომუნისტები, ამხელენ მას და პირდა-

პირსა და აშკარა სიმართლეს ეუბნებიან მუშებსა და მშრომელ მასებს: დემოკრატიული რესპუბლიკა, დამფუძნებელი კრება, საყველთაო-სახალხო არჩევნები და სხვა ნამდგილად არის ბურუუაზიის დიქტატურა, და კაპიტალისაგან შრომის გასათავისუფლებლად არ არსებობს სხვა გზა, თუ არა ამ დიქტატურის შეცვლა პროლეტარიატის დიქტატურას ძალუძს გაათავისუფლოს კაცობრიობა კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან, ბურუუაზიული დემოკრატიის, მდიდრების ამ დემოკრატიის, სიცრუის, სიყალბისა და თვალთმაქცობისაგან, მხოლოდ მას ძალუძს დაამყაროს დემოკრატია ღარიბთათვის, ე. ი. დემოკრატიის სიკეთენი ფაქტიურად მისაწვდომი გახადოს მუშებისა და ულარიბესი გლეხებისათვის, მაშინ როდესაც ახლა (თვით კველაზე დემოკრატიული — ბურუუაზიული — რესპუბლიკის დროს) დემოკრატიის ეს სიკეთენი ფაქტიურად მიუწვდომელია შშრომელთა უდიდესი უმრავლესობისათვის.

ავიღოთ, მაგალითად, კრებების თავისუფლება და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. შეიღებანები და კაუცკები, აუსტერლიცები და რენერები არწმუნებენ მუშებს, დამფუძნებელი კრების ახლანდელი არჩევნები გერმანიასა და ავსტრიაში «დემოკრატიულად» ხდებაო. ეს სიცრუეა, რადგან სინამდვილეში კაპიტალისტებს, ექსპლოატატორებს, მემამულეებს, სპეცუალისტებს ხელთ უპყრიათ კრებებისათვის გამოსადეგ, საუკეთესო შენობათა $\frac{9}{10}$ და ქაღალდის მარაგის, სტამბების და სხვათა $\frac{9}{10}$. მუშა ქაღაქად, მოჯამაგირე და დღიური მუშა სოფლად სინამდვილეში ჩამოცილებული არიან დემოკრატიისაგან როგორც ამ «საკუთრების წმიდათა წმიდა უფლების» წყალობით (რომელსაც იცავენ ბატონები კაუცკები და რენერები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ფრიდრიხი ადლერიც მიემხრო), ისე სახელმწიფო ხელისუფლების ბურუუაზიული აპარატის, ე. ი. ბურუუაზიული მოხელეების, ბურუუაზიული მოსამართლეების და სხვათა მიერ. ახლანდელი «კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» გერმანიის «დემოკრატიულ» (ბურუუაზიულ-დემოკრატიულ) რესპუბლიკაში სიცრუე და თვალთმაქცობა, რადგან სინამდვილე

ში ეს არის თავისუფლება მდიდრებისათვის — იყიდონ და მოისყიდონ პრესა, არის თავისუფლება მდიდრებისა — გააბრუონ ხალხი ბურუუაზიული საგაზეთო სიცრუის რახით, თავისუფლება მდიდრებისა — თავიანთ «საკუთრებად» იქონიონ მემამულეთა სახლები, საუკეთესო შენობები და სხვ.. პროლეტარიატის ღიქტატურა ჩამოართ მევს კაპიტალისტებს მშრომელთა სასარგებლოდ მემამულეთა სახლებს, საუკეთესო შენობებს, სტამბებს, ქალალდის საწყობებს.

ეს იქნება «საყოველთაო-სახალხო», «წმინდა» დემოკრატიის შეცვლა, «ერთი კლასის ღიქტატურითო», — გოდებენ შეიძემანები და კაუციკები, აუსტერლიცები და რენერები (თავიანთ საზღვარგარეთელ თანამოაზრებთან, ჰომერსებთან, ჰენდერსონებთან, რენოდელებთან, ვანდერველდეებთან და შათ კომპანიასთან ერთად).

მართალი არ არის — ეუპასუხებთ ჩვენ. ეს იქნება ბურუუაზიის ფაქტიური ღიქტატურის (რა ღიქტატურასაც თვალთმაქცურად ფარავს დემოკრატიული ბურუუაზიული რესპუბლიკის ფორმები) შეცვლა პროლეტარიატის ღიქტატურით. ეს იქნება შეცვლა დემოკრატიისა მდიდრებისათვის დემოკრატიით ღარიბთათვის. ეს იქნება შეცვლა კრებებისა და პრესის თავისუფლებისა უმცირესობისათვის, ექსპლოატატორებისათვის, კრებებისა და პრესის თავისუფლებით მოსახლეობის უმრავლესობისათვის, მშრომელებისათვის. ეს იქნება დემოკრატიის უზარმაზარი, მსოფლიო-ისტორიული გაფართოება, მისი გადაქცევა სიცრუიდან სიმართლედ, კაცობრიობის განთავისუფლება კაპიტალის ბორკილებისაგან, რომელიც ამახინჯებს და კვეცავს ყოველგვარ, თვით ყველაზე «დემოკრატიულ» და რესპუბლიკურ, ბურუუაზიულ დემოკრატიას. ეს იქნება ბურუუაზიული სახელმწიფოს შეცვლა პროლეტარული სახელმწიფოთი, რაც ერთადერთი გზაა საერთოდ სახელმწიფოს კვდომისაკენ.

რატომ არ შეიძლება ასეთი მიზნის მიღწევა ერთი კლასის ღიქტატურის გარეშე? რატომ არ შეიძლება «წმინდა» დემოკრატიაზე პირდაპირ გადასცლა? გვეკითხებიან ბურუუა-

ჭის თვალთმაქცი მეგობრები ან მის მიერ გაბრიყვებული გულუბრყვილო კლაინბიურგერები და ფილისტერები.

ჩვენ ვკაპასუხებთ: იმიტომ, რომ ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ან ბურეუაზიას, ან პროლეტარიატს, ხოლო წვრილი მეპატრონენი გარდუვალად რჩებიან მერყევნი, უძლურნი, ბრიყვი მეოცნებენი «წმინდა», ე. ი. გარეკლასობრივ ან ზეკლასობრივ დემოკრატიაზე. იმიტომ, რომ იმ საზოგადოებიდან, სადაც ერთი კლასი მეორეს ჩაგრავს, არ შეიძლება სხვანაირად გამოსვლა, თუ არა ჩაგრული კლასის დიქტატურის საშუალებით. იმიტომ, რომ ბურეუაზიაზე გამარჯვება, მისი დამხობა ძალუდს მხოლოდ პროლეტარიატს, რადგან ის არის ერთადერთი კლასი, რომელიც გაერთიანებული და ფაწვრთნილია კაპიტალიზმის მიერ და რომელსაც ძალუდს თან გაიყოლიოს წვრილბურეუაზიულად მცხოვრებ მშრომელთა მერყევი მასა, — თან გაიყოლიოს ან ყოველ შემთხვევაში «გაანეიტრალოს» იგი. იმიტომ, რომ მხოლოდ ენატკბილ მეშჩანებსა და ფილისტერებს შეუძლიათ იოცნებონ კაპიტალის უღლის დამხობაზე ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ხანგრძლივი და ძნელი დათრგუნვის გარეშე და ამ ოცნებით ატყუონ თავიანთი თავიც და მუშებიც. გერმანიასა და ავსტრიაში ეს წინააღმდეგობა ჯერ კიდევ აშერად არ გაშლილა, რადგან ჯერ კიდევ არ დაწყებულა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. ეს წინააღმდეგობა გააფთრებული, გაშმაგებული იქნება, როცა ასეთი ექსპროპრიაცია დაიწყება. როდესაც შეიდემანები და კაუცკები, აუსტერლიცები და რენერები ამას უმაღლეს თავიანთ თავსა და მუშებს, ამით ისინი ღალატობენ პროლეტარიატის ინტერესებს, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში გადადიან კლასობრივი ბრძოლისა და ბურეუაზიის უღლის დამხობის პოზიციიდან ბურეუაზიასთან პროლეტარიატის შეთანხმების პოზიციაზე, „სოციალური ზავის“ ანუ ექსპლოატირებულებთან ექსპლოატორების შერიგების პოზიციაზე.

რევოლუციები ისტორიის ლოკომოტივებიაო, — ამბობდა შარქსი¹¹. რევოლუციები სწრაფად გვასწავლიან. გერმანიისა

და აესტრიის ქალაქის მუშები, სოფლის მოჯამაგირენი მაღვ
შიხვდებიან, რომ შეიდემანებმა და კაუცკებმა, აუსტრერლი-
ცებმა და რენერებმა ულალატეს სოციალიზმის საქმეს. პრო-
ლეტარიატი შორს გადაისვრის ამ „სოციალ-გამცემლებს“,
სიტყვით სოციალისტებს, საქმით კი სოციალიზმის მოღალა-
ტებს, როგორც გადაისროლა მან რუსეთში ასეთივე წვრილი
ბურუჟები და ფილისტერები, მენშევიკები და «სოციალისტ-
რევოლუციონერები». პროლეტარიატი დაინახავს, — მით უფ-
რო მაღვე, რაც უფრო სრული იქნება ხსენებული «ბელადების»
ბატონობა, — რომ მხოლოდ ბურუჟაზიული სახელმწიფოს,
თვით ყველაზე დემოკრატიული ბურუჟაზიული რესპუბლიკაც
რომ იყოს იგი, — პარიზის კომუნის ტიპის სახელმწიფოთი
(რაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობდა მარქსი, რომელიც დაამა-
ხინჯეს და გასცეს შეიდემანებმა და კაუცკებმა), ან საბჭოების
ტიპის სახელმწიფოთი შეცვლას ძალუძს გაუხსნას გზა სოცი-
ალიზმს. პროლეტარიატის დიქტატურა იხსნის კაცობრიობას
კაპიტალის უღლისაგან და ომებისაგან.

მოსკოვი, 23. XII 1918.

„პრავდა“ № 2, 1919 წ. 3 იანვარი
ცელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულე-
ბათა ტექსტის მიხედვით, მე-4
გამოც., ტ. 28. გვ. 458—464.

კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი¹²

1919 წ. 2—6 მარტი

1

სიტყვა კონგრესის გახსნისას გ მარტს

რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ვხსნი პირველ საერთაშორისო კომუნისტურ კონგრესს. უწინარეს ყოვლისა ვთხოვ ყველა დამსწრეს ფეხზე ადგომით პატივი სცეს III ინტერნაციონალის საუკეთესო წარმომადგენლების — კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ხსოვნას¹³. (ყველანი ფეხზე დგებიან.)

ამხანაგებო! ჩევნს კრებას დიდი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი ამტკიცებს ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა ილუზიის კრახს. სამოქალაქო ომი ხომ ფაქტი გახდა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, როგორც, მაგალითად, გერმანიაში.

ბურჟუაზია ველურ შიშს განიცდის პროლეტარიატის მზარდი რევოლუციური მოძრაობის წინაშე. ეს გასაჭები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ მოვლენათა მსვლელობა გარდუგალად უწყობს ხელს პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას, რომ საერთაშორისო, მსოფლიო რევოლუცია ყველა ქვეყანაში. იწყება და ძლიერდება.

ხალხს შეგნებული აქვს იმ ბრძოლის სიდიადე და მნიშვნელობა, რომელიც ახლა ჩაღდება. საჭიროა მხოლოდ მოვნახოთ ის პრაქტიკული ფორმა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პროლეტარიატს განახორციელოს თავისი ბატონობა. ასეთ ფორმას წარმოადგენს საბჭოთა სისტემა პროლეტარიატის დიქტატურითურთ. პროლეტარიატის დიქტატურა! — დღემდე ეს სიტყვები მასებისათვის გაუგებარი რამ იყო. მთელ ქვეყნის ერებაზე საბჭოების სისტემის გავრცელების წყალობით, ეს გაუგებარი რამ ცველა თანამედროვე ენაზე გადათარგმნილი; მუშათა მასებმა იპოვნენ დიქტატურის პრაქტიკული ფორმა. ეს ფორმა გასაგები გახდა მუშათა ფართო მასებისათვის რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, გერმანიის სპარტაკელების და სხვა ქვეყნებში არსებული ანალოგიური ორგანიზაციების მეოხებით, როგორიცაა, მაგალითად, Shop Stewards Committees ინგლისში¹⁴. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ პროლეტარული დიქტატურის ჩევოლუციური ფორმა ნაპოვნია, რომ პროლეტარიატს ახლა შეუძლია პრაქტიკულად გამოიყენოს თავისი ბატონობა.

ამხანაგებო! ვფიქრობ, რომ რუსეთში მომხდარი ამბების შემდეგ, გერმანიაში იანვრის ბრძოლის შემდეგ — განსაკუთრებით საგულისხმოა ალინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებშიც იყაფავს გზას და ბატონობას აღწევს პროლეტარიატის მოძრაობის უახლესი ფორმა. მაგალითად, დღეს, ერთ ანტისოციალისტურ განხეთში წავიკითხე ტელეგრაფის ცნობა, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო ბირმინგამის მუშათა დეპუტატების საბჭო და განაცხადა, მზად ვარ ვიცნო საბჭოები, როგორც ეკონომიური ორგანიზაციებით. საბჭოთა სისტემამ გაიმარჯვა არა მარტო ჩამორჩენილ რუსეთში, არამედ ევროპის ყველაზე განვითარებულ ქვეყანაშიც — გერმანიაში, აგრეთვე ყველაზე ძველ კაპიტალისტურ ქვეყანაშიც — ინგლისში.

დევ ბურჟუაზია ჯერ კიდევ მძვინვარებდეს, დევ იგი ჯერ კიდევ ხოცავდეს ათასობით მუშას, — გამარჯვება ჩვენია, მსოფლიო კომუნისტური ჩევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ამხანაგებო! გულითადად მოგესალმებით რა რუსეთის
კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით,
წინადაღებას ვიძლევი შევუდგეთ პრეზიდიუმის არჩევნებს.
გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები.

პირველად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე
1920 წელს წიგნში: «Der I. Kongress
der Kommunistischen Internationale.
Protokoll». Petrograd

იბეჭდება ვ. ი. ლენინის
თახულებათა ტექსტის
მიხედვით, მე-4 გმოც.,
ტ. 28, გვ. 571—601.

რუსულ ენაზე პირველად
დაიბეჭდა 1921 წელს წიგნში:
«კომუნისტური ინტერნაციონალის პირველი
კონგრესი. ოქმები». პეტროგრადი

ოთხისები და მოხსენება ბურჟუაზიული
 დემოკრატიისა
 და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ
 4 მარტს

1. პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ზრდაში ყველა ქვეყანაში გამოიწვია ბურჟუაზიისა და მუშათა ორგანიზაციებში მყოფი მისი აგენტების გააფირებული ჭაპან-წყვეტა — მონახონ იღეურ-პოლიტიკური საბუთები ექსპლოატატორთა ბატონობის დასაცავად. ამ საბუთებს შორის განსაკუთრებით გამოიჩინა დიქტატურის დაგმობა და დემოკრატიის დაცვა. სიყალბე და თვალთმაქცობა ასეთი საბუთისა, რომელსაც ათასგვარ ყაიდაზე იმეორებენ კაპიტალისტურ პრესაში და ყვითელი ინტერნაციონალის ბერნის 1919 წლის თებერვლის კონფერენციაზე, აშკარაა ყველასათვის, ვისაც არ სურს უდალატოს სოციალიზმის ძირითად დებულებებს.

2. უწინარეს ყოვლისა, ეს საბუთი ცნებებს «დემოკრატია საერთოდა» და «დიქტატურა საერთოდ» ისე ხმარობს, რომ არ აყენებს საკითხს, თუ რომელ კლასზეა ლაპარაკი. საკითხის ასეთი გარეულასობრივი ან ზეკლასობრივი, ვითომდა საერთო-სახალხო, დასმა არის პირდაპირ აბუჩად აგდება სოციალიზმის ძირითადი მოძღვრებისა, სახელდობრ კლასობრივი ბრძოლის მოძღვრებისა, რომელსაც სიტყვით ცნობენ, საქმით კი ივიწყებენ ბურჟუაზიის მხარეზე გადასული სოციალისტები. ვინაიდან არც ერთ ცივილიზებულ კაპიტალისტურ

ქვეყანაში არ არსებობს «დემოკრატია საერთოდ», არამედ არსებობს მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატია, და ლაპარაკია არა «დიქტატურაზე საერთოდ», არამედ ჩაგრული კლასის, ე. ი. პროლეტარიატის, დიქტატურაზე მხაგვრელთა და ექსპლოატატორთა, ე. ი. ბურჟუაზიის მიმართ იმ წინააღმდეგობის დასაძლევად, რომელსაც გვიწევენ ექსპლოატატორები თავიანთი ბატონობისათვის ბრძოლაში.

3. ისტორია გვასწავლის, რომ არც ერთი ჩაგრული კლასი არასოდეს არ გაბატონებულა და ვერც გაბატონდებოდა ისე, რომ მას არ გამოველო დიქტატურის პერიოდი, ე. ი. პერიოდი პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისა და იმ უაღრესად გააფთრებული, უაღრესად გაშმაგებული წინააღმდეგობის ძალდატანებით დათრგუნვისა, რომელიც არავითარ დანაშაულს არ ერიდება და რომელსაც მუდამ ეწეოდნენ ექსპლოატატორები. ბურჟუაზია, რომლის ბატონობასაც ახლა იცავენ სოციალისტები, რომლებიც ლაპარაკობენ «საერთოდ დიქტატურის» წინააღმდეგ და თავს იდებენ «დემოკრატიისათვის საერთოდ», მოწინავე ქვეყნებში ძალაუფლებას იპყრობდა მთელი რიგი აჯანყებების, სამოქალაქო ომების, მეფების, ფეოდალების, მონათმფლობელების და მათი რესტავრაციის ცდების ძალდატანებით დათრგუნვის გზით. ყველა ქვეყნის სოციალისტებს ათასჯერ და მილიონჯერ განუმარტავთ ხალხისათვის ამ ბურჟუაზიული რევოლუციების, ამ ბურჟუაზიული დიქტატურის კლასობრივი ხასიათი თავიანთ წიგნებსა და ბროშურებში, თავიანთ ყრილობათა რეზოლუციებში, თავიანთ სააგიტაციო სიტყვებში. ამიტომ ბურჟუაზიული დემოკრატიის ახლანდელი დაცვა «საერთოდ დემოკრატიის» შესახებ ლაპარაკით და ახლანდელი კოდება და ყვირილი პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ «საერთოდ დიქტატურაზე» ყვირილის სახით არის სოციალიზმის პირდაპირი დალატი, ფაქტიური გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე, უარყოფა პროლეტარიატის უფლებისა — მოახდინოს თავისი, პროლეტარული, რევოლუცია, არის ბურჟუაზიული რეფორმიზმის დაცვა სწორედ ისეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც ბურჟუაზიულმა რეფორმიზმა მთელ მსოფლიოში

კრახი განიცადა და როდესაც ომმა რევოლუციური სიტუაცია შექმნა.

4. ყველა სოციალისტი, განმარტავდა რა ბურჯუაზიული ცივილიზაციის, ბურჯუაზიული დემოკრატიის, ბურჯუაზიული პარლამენტარიზმის კლასობრივ ხასიათს, იმ აზრს გამოთქვამდა, რომელიც უდიდესი მეცნიერული სიზუსტით გამოთქვეს მარქსმა და ენგელსმა სიტყვებით, რომ ყველაზე დემოკრატიული ბურჯუაზიული რესპუბლიკა სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა ბურჯუაზიის მიერ მუშათა კლასის, ერთი მუჭა კაპიტალისტების მიერ მშრომელთა მასის დათრგუნებისა¹⁵. არ არის არც ერთი რევოლუციონერი, არც ერთი მარქსისტი იმათ შორის, ვინც ახლა გაყვირის დიქტატურის წინააღმდეგ და დემოკრატიის სასარგებლოდ, რომელსაც არ დაეფიცოს მუშების წინაშე, რომ ის აღიარებს სოციალიზმის ამ ძირითად ჭეშმარიტებას; ახლა კი, როდესაც რევოლუციური პროლეტარიატი იწყებს მღელვარებასა და მოძრაობას, რომელიც მიმართულია ჩაგვრის ამ მანქანის დამსხვრევისაკენ და პროლეტარული დიქტატურის მოპოვებისაკენ, სოციალიზმის ეს მოღალატენი საქმეს ისე გვიხატავენ, თითქოს ბურჯუაზიამ მშრომელებს უბოძა «წმინდა დემოკრატია», თითქოს ბურჯუაზიამ ხელი აიღო წინააღმდეგობის გაწევაზე და მზადაა დაემორჩილოს მშრომელთა უმრავლესობას, თითქოს არავითარი სახელმწიფო მანქანა კაპიტალის მიერ შრომის დასათრგუნავად დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ ყოფილა და არც არის.

5. პარიზის კომუნამ, რომელსაც სიტყვრერად აღიდებენ ყველანი, ვისაც სურს სოციალისტად იწოდებოდეს, ვინაიდან მათ იციან, რომ მუშათა მასები მხურვალედ და გულწრფელად თანაუგრძნობენ კომუნას, — განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადყო ისტორიული პირობითობა და შეზღუდული ლირებულება ბურჯუაზიული პარლამენტარიზმისა და ბურჯუაზიული დემოკრატიისა — დაწესებულებებისა, რომლებიც უაღრესად პროგრესულნი არიან შუასაუკუნეობრიობასთან შედარებით, მაგრამ რომლებიც აუცილებლად მოითხოვენ ძირეულ ცელილებას პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში.

სწორედ მარქსმა, რომელმაც ყველაზე უკეთ შეაფასა კომუნის ისტორიული მნიშვნელობა, მისი ანალიზის ღროს ცხადყო ბურჟუაზიული დემოკრატიისა და ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ექსპლოატატორული ხასიათი, როდესაც ჩაგრულ კლასებს უფლება ენიჭებათ რამდენიმე წელიწადში ერთხელ გადაწყვიტონ, თუ მქონებელი კლასების რომელი წარმომადგენელი იქნება ხალხის «წარმომადგენელი და დამთრგუნველი» (ver- und zertreten) პარლამენტში¹⁶. სწორედ ახლა, როდესაც საბჭოთა მოძრაობა, ედება რა მთელ მსოფლიოს, ყველას თვალშინ განაგრძობს კომუნის საქმეს, სოციალიზმის მოლალატენი ივიწყებენ პარიზის კომუნის კონკრეტულ გამოცდილებას და კონკრეტულ გაკვეთილებს, იმეორებენ რა ძელ ბურჟუაზიულ აბდაუბდას «დემოკრატიაზე საერთოდ». კომუნა პარლამენტური დაწესებულება არ იყო.

6. შემდეგ, კომუნის მნიშვნელობა ის არის, რომ მან სკადა ძირითადი და სახელმწიფო აპარატი, მოხელური, სამოსამართლო, სამხედრო, პოლიციური აპარატი, შეცვალა რა იგი მუშათა თვითმმართველი მასობრივი ორგანიზაციით, რომლისათვის უცხო იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დანაწილება. ყველა თანამედროვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, მათ შორის გერმანიის რესპუბლიკაც, რომელსაც სოციალიზმის მოლალატენი, დასკინიან რა ჰეშმარიტებას, პროლეტარულს უწოდებენ, ინარჩუნებს ამ სახელმწიფო აპარატს. ამრიგად, კიდევ და კიდევ სავსებით ნათლად დასტურდება, რომ ყვირილი «საერთოდ დემოკრატიის» დასკავად ნამდვილად წარმოადგენს ბურჟუაზიისა და მისი ექსპლოატატორული პრივილეგიების დაცვას.

7. «კრებების თავისუფლება» შეიძლება ავილოთ «წმინდა დემოკრატიის» მოთხოვნების ნიმუშად. ყოველი შეგნებული მუშა, რომელსაც თავის კლასთან კავშირი არ გაუწყვეტია, ერთბაშად მიხვდება, რომ უაზრო იქნებოდა კრებების თავისუფლებას დაეპირებოდით ექსპლოატატორებს იმ პერიოდში და იმ ვითარებაში, როდესაც ექსპლოატატორები წინააღმდეგობას უწევენ თავიანთ დამხობას და იცავენ თავიანთ

პრივილეგიებს. ბურჟუაზია, როდესაც იგი ჩევოლუციური იყო, არც ინგლისში 1649 წელს, არც საფრანგეთში 1793 წელს, არ აძლევდა «კრებების თავისუფლებას» მონარქისტებსა და თავადაზნაურებს, რომლებიც მოუხმობდნენ უცხოეთის ჯარებს და «იკრიბებოდნენ», რესტავრაციის ცდების მოსაწყობად. თუ ახლანდელი, დიდი ხანია რეაქციულად ქცეული, ბურჟუაზია მოითხოვს პროლეტარიატისაგან, რომ მან წინასწარ უზრუნველყოს «კრებების თავისუფლება» ექსპლოატატორებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა წინააღმდეგობას გაუწევენ კაპიტალისტები თავიანთ ექსპროპრიაციას, მაშინ მუშები მხოლოდ სიცილს დააყრიან ბურჟუაზიის თვალთმაქტობას.

მეორე მხრივ, მუშებმა ჩინებულად იციან, რომ «კრებების თავისუფლება» თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაშიც ცარიელი ფრაზაა, ვინაიდან მდიდრების განკარგულებაშია ყველა საუკეთესო საზოგადოებრივი და კერძო შენობა, აგრეთვე მათ საქმაო თავისუფალი დრო აქვთ კრებებისთვის და მათ იცავს ხელისუფლების ბურჟუაზიული აპარატი. ქალაქისა და სოფლის პროლეტარებს და წვრილ გლეხებს, ე. ი. მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, არა აქვთ არც პირველი, არც მეორე, არც მესამე. ვიდრე ასეთი მდგომარეობაა, «თანასწორობა», ე. ი. «წმინდა დემოკრატია», მატყუარობას წარმოადგენს. ნამდვილი თანასწორობა რომ მოიპოვო, ნამდვილად რომ განახორციელო დემოკრატია მშრომელთათვის, საჭიროა ჯერ წართვა ექსპლოატატორებს კველა საზოგადოებრივი და საუცხოო კერძო შენობა, საჭიროა ჯერ მისცე თავისუფალი დრო მშრომელებს, საჭიროა, რომ მათი კრებების თავისუფლებას იცავდნენ შეიარაღებული მუშები და არა თავადაზნაურები ან კაპიტალისტ-ოფიცირები დაბეჭივებული ჯარისკაცებითურთ.

მხოლოდ ასეთი ცვლილების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი კრებების თავისუფლებაზე, თანასწორობაზე ისე, რომ სასაცილოდ არ აიგდო მუშები, მშრომელები, ლარიბები. ასეთი ცვლილების მოხდენა კი შეუძლია მხოლოდ მშრომელთა

ავანგარდს, პროლეტარიატს, რომელიც ამხობს ექსპლოატატორებს, ბურჟუაზიას.

8. «ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაც» «წმინდა დემოკრატიის» ერთ-ერთი მთავარი ლოგუნგია. მუშებმა ისევ და ისევ იციან, და ყველა ქვეყნის სოციალისტებს მილიონჯერ უღიარებიათ, რომ ეს თავისუფლება მატყუარობაა, ვიდრე საუკეთესო სტამბები და ქალალდის უდიდესი მარაგი ხელში ჩადებული აქვთ კაპიტალისტებს და ვიდრე პრესის მიმართ რჩება კაპიტალის ძალაუფლება, რომელიც მით უფრო მკაფიოდ, მით უფრო მკეთრად, მით უფრო ცინიკურად იჩენს თავს მთელ მსოფლიოში, რაც უფრო განვითარებულია დემოკრატიზმი და რესპუბლიკური წყობილება, როგორც, მაგალითად, ამერიკაში. ნამდვილი თანასწორობა და ნამდვილი დემოკრატია რომ მოიპოვო მშრომელებისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის, ჯერ საჭიროა წაართვა კაპიტალის შესაძლებლობა დაიქირავოს მწერლები, იყიდოს გამომცემლობანი და მოისყიდოს გაზეთები, ამისათვის კი აუცილებელია კაპიტალის უდლის დამხობა, ექსპლატატორების დამხობა, მათი წინააღმდეგობის დათრგუნვა. კაპიტალისტები «თავისუფლებას» ყოველთვის უწოდებდნენ გამდიდრების თავისუფლებას მდიდრებისათვის, შიმშილით სიკედილის თავისუფლებას მუშებისათვის. კაპიტალისტები ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას უწოდებენ მდიდრების მიერ ბეჭდვითი სიტყვის მოსყიდვის თავისუფლებას, იმის თავისუფლებას, რომ სიმდიდრე გამოყენებულ იქნეს ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი აზრის საფაბრიკაციოდ და გასაყალბებლად. «წმინდა დემოკრატიის» დამცველები ნამდვილად ისევ და ისევ გვევლინებიან მასების განათლების საშუალებებზე მდიდრების ბატონობის უაღრესად ბინძური, გათახსირებული სისტემის დამცველებად, გვევლინებიან ხალხის მატყუარებად, რომლებიც მას კეთილსახიერი, ლამაზი და მთლად ყალბი ფრაზების საშუალებით აშორებენ კონკრეტულ ისტორიულ ამოცანას — გაათავისუფლოს პრესა კაპიტალის მიერ მისი დამონებისაგან. ნამდვილი თავისუფლება და თანასწორობა იქნება ისეთი წესწყობილება, რომელსაც კომუნისტები აშენებენ და რომელშიც არ იქნება

სხვის ხარჯზე გამდიდრების შესაძლებლობა, არ იქნება ობიექტური შესაძლებლობა, რომ არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ დაუმორჩილონ პრესა ფულის ბატონობას, ხელი არ შეეშლება იმას, რომ ყოველ მშრომელს (ან მშრომელთა ჯგუფს, დამოუკიდებლად მისი რიცხობრივი შემადგენლობისა) ჰქონდეს თანასწორი უფლება საზოგადოებრივი სტამბებითა და საზოგადოებრივი ქალალდით სარგებლობის მხრივ და რომ იგი ამ უფლებას ახორციელებდეს.

9. XIX და XX საუკუნეთა ისტორიაში ჯერ კიდევ ომამდე გვიჩვენა, თუ რას წარმოადგენს ნამდვილად ყბადალებული «წმინდა დემოკრატია» კაპიტალიზმის დროს. მარქსისტები ყოველთვის ამბობდნენ, რომ რაც უფრო განვითარებულია. რაც უფრო «წმინდაა» დემოკრატია, მით უფრო გაშიშვლებული, მით უფრო მძაფრი, მით უფრო ულმობელი ხდება ქლასობრივი ბრძოლა, მით უფრო «წმინდად» ვლინდება ჩაგრა კაპიტალის მხრივ და ბურჟუაზიის დიქტატურა. დრუიფუსის საქმე რესპუბლიკურ საფრანგეთში, კაპიტალისტების დაჭირავებული და შეიარაღებული რაზმების მიერ გაფიცულთა ხოცვა-ულეტა ამერიკის თავისუფალ და დემოკრატიულ რესპუბლიკაში, — ეს და ათასობით ამის მსგავსი ფაქტები გვიჩვენებენ იმ სიმართლეს, რომლის დამალვასაც ამაოდ ცდილობს ბურჟუაზია, სახელდობრ, რომ ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც ნამდვილად ბატონობს ბურჟუაზიის ტერორი და დიქტატურა, რაც აშეარად იჩენს თავს ყოველთვის, როდესაც ექსპლოატატორებს ეჩვენებათ, რომ კაპიტალის ძალაუფლება ირყევა.

10. 1914—1918 წლების იმპერიალისტურმა ომმა საბოლოოდ გამოააშეარავა ჩამორჩენილი მუშების წინაშეც კი ბურჟუაზიული დემოკრატიის, როგორც ბურჟუაზიის დიქტატურის, ეს კეშმარიტი ხასიათი თვით ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკებში. მილიონერთა და მილიარდერთა გრძმანული თუ ინგლისური ჯგუფის გამდიდრებისათვის ათეული მილიონები გაიულიტა, და თვით ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკებში ბურჟუაზიის სამხედრო დიქტატურა დამყარდა. ეს სამხედრო დიქტატურა გრძმანის განადგურების შემდეგაც

გრძელდება ანტანტის ქვეყნებში. სწორედ ომია ყველაზე
მეტად აუხილა თვალი მშრომელებს, ჩამოაგლიჯა ყალბი ყვა-
ვილები ბურუუაზიულ დემოკრატიას, დაანახვა ხალხს მთელი
უფსკრული სპექულაციისა და გამდიდრებისა ომის დროს და
ომის გამო. «თავისუფლებისა და თანასწორობის» სახელით
აწარმოებდა ბურუუაზია ამ ომს, «თავისუფლებისა და თა-
ნასწორობის» სახელით გაუგონრად მდიდრდებოდნენ სამ-
ხედრო მასალის მიმწოდებელნი. ბერნის ყვითელი ინტერნა-
ციონალის ვერავითარი ღონისძიება ვერ დაუფარავს მასებს
ბურუუაზიული თავისუფლების, ბურუუაზიული თანასწორო-
ბის, ბურუუაზიული დემოკრატიის ახლა უკვე ბოლომდე მხი-
ლებულ ექსპლოატატორულ ხასიათს.

11. ევროპის კონტინენტის ყველაზე განვითარებულ კაპი-
ტალისტურ ქვეყანაში, გერმანიაში, იმპერიალისტური გერმა-
ნიის განადგურების შედეგად შექმნილი სრული რესპუბლი-
კური თავისუფლების პირველსავე თვეებმა დაანახვეს გერმა-
ნელ შუშებს და მთელ მსოფლიოს, თუ რა არის ბურუუაზიული
დემოკრატიული რესპუბლიკის ნამდვილი კლასობრივი არსი.
კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მკვლელობა
მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო
იმიტომ, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ ჰეშმარიტი პროლე-
ტარული, კომუნისტური ინტერნაციონალის საუკეთესო ადა-
მიანები და ბელადები, არამედ იმიტომაც, რომ ევროპის მო-
წინავე — გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას: მსოფლიო მას-
შტაბით მოწინავე — სახელმწიფოს კლასობრივი არსი ბო-
ლომდე გაშიშვლდა. თუ დაპატიმრებული, ე. ი. სახელმწიფო
ხელისუფლების მიერ თავის დაცვის ქვეშ აყვანილი ადამია-
ნები შეიძლებოდა დაუსჯელად მოეკლათ ოფიციებსა და კა-
პიტალისტებს, სოციალ-პატრიოტების მთავრობის დროს,
მაშასადამე, დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც ასეთი
რამ შესაძლებელი იყო, ბურუუაზიის დიქტატურას წარმოად-
გენს. ადამიანები, რომლებიც თავიანთ აღშევოთებას გამოთ-
ქვამენ კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის მკვლე-
ლობის გამო, მაგრამ რომლებსაც ეს ჰეშმარიტება არ ესმით,
ამით მხოლოდ ამჟღავნებენ ან თავიანთ გონებრივ სიჩლუნებს,

ან თავიანთ თეალთმაქცობას. «თავისუფლება» მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალ და მოწინავე რესპუბლიკაში, გერმანიის რესპუბლიკაში, არის პროლეტარიატის დაბატიმ-რებული ბელადების დაუსჯელად მოკვლის თავისუფლება. და ეს არც შეიძლება სხვაგვარად იყოს, ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, ვინაიდან დემოკრატიზმის განვითარება კი არ ანელებს, არამედ ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას, რომელიც, ომის მთელი შედეგებისა და გავლენის გამო, დუღილის უკანასკნელ წერტილამდეა მიყვანილი.

ახლა მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში აძევებენ ბოლ-შევიკებს, დევნიან მათ, ამწყვდევენ საპატიმროებში, როგორც, მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, შევიცარიაში, არბევენ ბოლშევიკებს ამერიკაში და სხვ.. «საერთოდ დემოკრატიის» ან «წმინდა დემოკრატიის» თვალსაზრისით პირდაპირ სასაცილოა, რომ მოწინავე, ცივილიზებულ, დემოკრატიულ, თავიდან ფეხამდე შეიარაღებულ ქვეყნებს ეშინიათ იმისა, რომ იქ იმყოფება რამდენიმე ათეული ადამიანი ჩამორჩენილი, დამშეული, გაჩანაგებული რუსეთიდან, რომელსაც ბურჟუაზიული გაზეთები ათეულ მილიონობით ეგზემპლარებში უწოდებენ ველურს, დანაშაულებრივს და ა. შ.. ცხადია, რომ ის საზოგადოებრივი კითარება, რომელსაც შეეძლო ასეთი აშეარა წინააღმდეგობა წარმოეშვა, ნამდვილად ბურჟუაზიის დიქტატურას წარმოადგენს.

12. ასეთ კითარებაში პროლეტარიატის დიქტატურა არათუ სავსებით კანონიერია, როგორც ექსპლოატატორთა დამხობისა და მათი წინააღმდეგობის დათრგუნვის საშუალება, არამედ აბსოლუტურად აუცილებელიცაა მმრომელთა მთელი მასისათვის, როგორც ერთადერთი დაცვა ბურჟუაზიის დიქტატურის წინააღმდეგ, რომელმაც ომი გამოიწვია და რომელიც ახალ ომებს ამზადებს.

მთავარი, რაც სოციალისტებს არ ესმით და რაც მათ თეორიულ სიბეჭეს შეადგენს, რაც მათ ამყოფებს ბურჟუაზიულ ცრურწმენათა ტყვეობაში და წარმოადგენს მათ პოლიტიკურ ლალატს პროლეტარიატის მიმართ, არის ის, რომ კაპიტალის-

ტურ საზოგადოებაში, როდესაც რამდენადმე მაინც სერიოზულად მწეველება მის საფუძველში ჩაქსოვილი კლასობრივი ბრძოლა, არ შეიძლება იყოს არაფერი შუათანა, გარდა ბურუჟაზის დიქტატურისა ან პროლეტარიატის დიქტატურისა. ყოველგვარი ოცნება რაიმე მესამეზე წერილი ბურუჟის რეაქციული ლამენტაციაა. ამას მოწმობს ყველა მოწინავე ქვეყანაში ბურუჟაზიული დემოკრატიისა და მუშათა მოძრაობის განვითარების ას წელზე მეტი ხნის გამოცდილებაც და განსაკუთრებით უკანასკნელი ხუთეული წლის გამოცდილება. ამას მეტყველებს აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის მთელი მეცნიერება, მთელი შინაარსი მარქსიზმისა, რომელიც არქვევს, რომ ყოველგვარი სასაქონლო მეურნეობის დროს გარდუვალია ბურუჟაზის დიქტატურა, რომელსაც ვერავინ შეცვლის, გარდა იმ კლასისა, რომელსაც აყითარებს, ამრავლებს, რაზმავს, განამტკიცებს თვით კაპიტალიზმის განვითარება, ე. ი. გარდა პროლეტარების კლასისა.

13. სოციალისტების მეორე თეორიული და პოლიტიკური შეცდომა იმის გაუგებლობაა, რომ დემოკრატიის ფორმები გარდუვალად იცვლებოდა ათასეული წლების მანძილზე, დაწყებული მისი ჩანასახებიდან შორეულ წარსულში, იმისდა მიხედვით, როგორც ცვლილა ერთ გაბატონებულ კლასს მეორე კლასი. საბერძნეთის ძველ რესპუბლიკებში, შუასაუკუნეობრიობის ქალაქებში, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში დემოკრატიას სხვადასხვა ფორმა და გამოყენების სხვადასხვა ფარგლები აქვს. უდიდესი სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ყველაზე ღრმა რევოლუცია კაცობრიობის ისტორიაში, ქვენად ძალაუფლების პირველი გადასვლა ექსპლოატატორთა უმცირესობისაგან ექსპლოატირებულთა უმრავლესობის ხელში შეიძლება მოხდეს ძველი, ბურუჟაზიული, პარლამენტური დემოკრატიის ძველი ჩარჩოების შიგნით, შეიძლება მოხდეს ისე, რომ არ ექნეს ადგილი უაღრესად მძაფრ გარდატეხებს, რომ არ შეიქმნას დემოკრატიის ახალი ფორმები, ახალი დაწესებულებანი, რომლებიც ასახიერებენ მისი გამოყენების ახალ პირობებს და ა. შ.

14. პროლეტარიატის დიქტატურა იმით გავს სხვა კლასე-

ბის დიქტატურას, რომ იგი, ისევე როგორც ყოველგვარი დიქტატურა, გამოწვეულია აუცილებლობით, რომ ძალატანებით დათრგუნვილ იქნეს იმ კლასის წინააღმდეგობა, რომელიც პოლიტიკურ ბატონობას კარგავს. პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი განსხვავება სხვა კლასების დიქტატურისაგან, — მემამულეთა დიქტატურისაგან შეა საუკუნეებში, ბურჟუაზიის დიქტატურისაგან ყველა ცივილიზებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, — ის არის, რომ მემამულეებისა და ბურჟუაზიის დიქტატურა მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის, სახელდობრ მშრომელების წინააღმდეგობის ძალატანებითი დათრგუნვა იყო. პირიქით, პროლეტარიატის დიქტატურა არის ექსპლოატატორთა, ე. ი. მოსახლეობის უნიშვნელო უმცირესობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგობის ძალატანებითი დათრგუნვა.

აქედან, თავის მხრივ, გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ გარდუვალად უნდა გამოიწვიოს, ზოგადად თუ ვიტყვით, არა მარტო დემოკრატიის ფორმებისა და დაწესებულებების ცვლილება, არამედ მათი სწორედ ისეთი ცვლილება, რომელიც იძლევა კაპიტალიზმის მიერ ჩაგრულთა მხრივ, მშრომელი კლასების მხრივ დემოკრატიზმის ფაქტიური გამოყენების ისეთ გაფართოებას, როგორიც მსოფლიოში ჯერ კიდევ არ ნახულა.

და მართლაც, პროლეტარიატის დიქტატურის ის ფორმა, რომელიც ფაქტიურად უკვე შემუშავდა, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში, Räte-System* გერმანიაში, Shop Stewards Committees და სხვა ანალოგიური საბჭოთა დაწესებულებანი სხვა ქვეყნებში, ყველანი ისინი მოასწავებენ და ახორციელებენ სწორედ მშრომელი კლასებისათვის, ე. ი. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის, დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის ისეთ ფაქტიურ შესაძლებლობას, როგორიც არასოდეს არ ყოფილა, დაახლოებითაც კი, თვით ყველაზე უკეთეს და დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში.

* — საბჭოების სისტემა. რედ.

საბჭოთა ხელისუფლების არსი ის პრისტომ მთელი სახელმწიფო ხელისუფლების, მთელი სახელმწიფო აპარატის მუდმივსა და ერთადერთ საფუძველს შეადგენს სწორედ იმ კლასების მასობრივი ორგანიზაცია, რომლებიც დაჩაგრული იყვნენ კაპიტალიზმის მიერ, ე. ი. მუშებისა და ნახევრად-პროლეტარებისა (გლეხებისა, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწევიან და მუდმივად ყიდიან თავიანთი სამუშაო ძალის თუნდაც ნაწილს). სწორედ ის მასები, რომლებსაც თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში, თუმცა ისინი კანონით თანასწორუფლებიანნი იყვნენ, ნამდვილად ათასგვარი ხრიკებითა და ხერხებით უსპოდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, ახლა მუდმივ და უცილობელ, ამასთან გადამწყვეტ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს დემოკრატიულ მმართველობაში.

15. მოქალაქეთა იმ თანასწორობას, დამოუკიდებლად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა, რომლის დაპირებასაც ბურჟუაზიული დემოკრატია ყოველთვის და ყველგან იძლეოდა, მაგრამ რომელიც მას არასოდეს არ განუხორციელებია და, კაპიტალიზმის ბატონობის გამო, არც შეეძლო განეხორციელებინა, საბჭოთა ხელისუფლება, ანუ პროლეტარიატის დიქტატურა, ერთბაშად და მთლიანად ახორციელებს. ვინაიდან ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მუშების ხელისუფლებას, რომლებიც დაინტერესებული არ არიან წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებით და მათი გაყოფისა და ხელახალი გაყოფისათვის ბრძოლით.

16. ძველი, ე. ი. ბურჟუაზიული, დემოკრატია და პარლამენტარიზმი ისე იყო მოწყობილი, რომ მმართველობის აპარატისაგან ყველაზე მეტად სწორედ შშრომელთა მასები იყვნენ ჩამოცილებულნი. საბჭოთა ხელისუფლება, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურა, პირიქით, სწორედ ისეა აგებული, რომ შშრომელი მასები მმართველობის აპარატს დაუახლოოს. ამავე მიზანს ემსახურება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შეერთება სახელმწიფოს საბჭოთა ორგანი-

ზაციის დროს და ტერიტორიული საარჩევნო ოლქების შეცვლა საჭარმოო ერთეულებით, როგორიცაა: ქარხანა, ფაბრიკა.

17. ჯარი ჩაგვრის აპარატი იყო არა მარტო მონარქიის დროს. იგი ასეთად დარჩა აგრეთვე ყველა ბურჟუაზიულ, თვით ყველაზე დემოკრატიულ, რესპუბლიკებში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც სწორედ კაპიტალიზმის მიერ ჩაგრული კლასების მუდმივ სახელმწიფო ორგანიზაციას, ძალუბს მოსპოს ჯარის დამორჩილება ბურჟუაზიული სარდლობისადმი და ნამდვილად შეუერთოს პროლეტარიატი ჯარს, ნამდვილად განახორციელოს პროლეტარიატის შეიარაღება და ბურჟუაზიის განიარაღება, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალიზმის გამარჯვება.

18. სახელმწიფოს საბჭოთა ორგანიზაცია მოწყობილია პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისათვის, როგორც ისეთი კლასისა, რომელიც ყველაზე მეტად კონცენტრირებული და გათვითცნობიერებულია კაპიტალიზმის მიერ. ყველა რევოლუციისა და ჩაგრული კლასების ყველა მოძრაობის გამოცდილება, მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის გამოცდილება გვასწავლის, რომ მხოლოდ პროლეტარიატს ძალუბს გაერთიანოს და თან გაიყოლიოს მშრომელი და ექსპლოატირებული მოსახლეობის დაქსაქსული და ჩამორჩენილი ფენები.

19. მხოლოდ სახელმწიფოს საბჭოთა ორგანიზაციას ძალუბს ნამდვილად დაამსხვრიოს ერთბაშად და დაანგრიოს საბოლოოდ ძველი, ე. ი. ბურჟუაზიული, მოხელური და სასამართლო აპარატი, რომელიც რჩებოდა და გარდუვალად უნდა დარჩენილიყო კაპიტალიზმის დროს ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც კი, წარმოადგენდა რა ფაქტიურად ყველაზე დიდ დაბრკოლებას მუშებისა და მშრომელებისათვის დემოკრატიზმის განხორციელების საქმეში. პარიზის კომუნამ გადადგა პირველი მსოფლიო-ისტორიული ნაბიჯი ამ გზაზე, საბჭოთა ხელისუფლებამ — მეორე ნაბიჯი.

20. სახელმწიფო ხელისუფლების მოსპობა. არის მიზანი, რომელსაც ისახავდა ყველა სოციალისტი, მათ შორის და მათ

სათავეში მარქსი. ამ მიზნის შესასრულებლად ჰეშმარიტი დემოკრატიზმი, ე. ი. თანასწორობა და თავისუფლება, განუხორციელებელია. ამ მიზნისაკენ კი პრაქტიკულად მიყვავართ მხოლოდ საბჭოთა, ანუ პროლეტარულ, დემოკრატიას, რადგან იგი, მუდმივ და აუცილებელ მონაწილეობას აღებინებს რა მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს სახელმწიფოს შმართველობაში, იწყებს ყოველგვარი სახელმწიფოს სრული კვლემის დაუყოვნებლივ მომზადებას.

21. ბერნში შეკრებილ სოციალისტების სრული გაერტოება, მათ მიერ ახალი, ე. ი. პროლეტარული, დემოკრატიის სრული გაუგებლობა განსაკუთრებით ჩანს შემდეგიდან. 1919 წლის 10 თებერვალს ბრანტინგმა ბერნში დახურა ყვითელი ინტერნაციონალის საერთაშორისო კონფერენცია. 1919 წლის 11 თებერვალს ბერლინში, ამ ინტერნაციონალის მონაწილეთა გაზეთ «Die Freiheit-ში¹⁷, დაბეჭდილია «დამოუკიდებელთა»¹⁸ პარტიის მიმართვა პროლეტარიატისადმი. ამ მიმართვაში ალიარებულია შეიდემანის მთავრობის ბურჟუაზიული ხასიათი. მას უსაყვედურებენ სურვილს — გააუქმოს საბჭოები, რომლებსაც ეწოდება *Träger und Schützer der Revolution* — რევოლუციის მატარებლები და მცველები, და წინადაღებას იძლევიან — მოახდინონ საბჭოების ლეგალიზება, მიენიჭოს მათ სახელმწიფო უფლებები, მიენიჭოს მათ უფლება — შეაჩერონ ეროვნული კრების გადაწყვეტილებანი და ჩატარდეს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა საქმის გადასაწყვეტად.

ასეთი წინადაღება სრული იდეური კრახია იმ თეორეტიკოსებისა, რომლებიც დემოკრატიას იცავდნენ და რომლებსაც არ ესმოდათ მისი ბურჟუაზიული ხასიათი. სასაკილო ცდა — შეაერთონ საბჭოების სისტემა, ე. ი. პროლეტარიატის დიქტატურა, ეროვნულ კრებასთან, ე. ი. ბურჟუაზიის დიქტატურასთან, ბოლომდე ამხელს ყვითელი სოციალისტებისა და სოციალ-დემოკრატების აზროვნების უბადრუკობასაც, მათი — წვრილი ბურჟუების — პოლიტიკურ რეაქციულობასაც და მათ ლაჩრულ დათმობებასაც ახალი, პროლეტარული დემოკრატიის შეუჩერებლივ მზარდი ძალისადმი.

22. გმობდა რა ბოლშევიზმს, ბერნის ყვითელი ინტერნაციის რა არის საბჭოთა ხელს სუდოება? 65

ციონალის უმრავლესობა, რომელმაც ვერ გაბედა ფორმალურად კენჭი ეყარა სათანადო რეზოლუციისათვის მუშათა მასების წინაშე შიშის გამო, სწორად იქცეოდა ქლასობრივი თვალსაზრისით. სწორედ ეს უმრავლესობა სავსებით სოლიდურულია რუსი მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერებისა, გერმანიაში კი — შეიდემანებისა. რუსი მენშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები, ჩივიან რა, რომ მათ დევნიან ბოლშევიკები, ცდილობენ დამალონ ის ფაქტი, რომ ეს დევნა გამოწვეულია მენშევიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების მონაწილეობით სამოქალაქო ომში ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. სწორედ ასევე შეიდემანებმა და მათმა პარტიამ უკვე დაამტკიცეს გერმანიაში, რომ ისინი ასეთსავე მონაწილეობას იღებენ სამოქალაქო ომში ბურჟუაზიის მხარეზე მუშების წინააღმდეგ.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ბერნის ყვითელი ინტერნაციონალის მონაწილეთა უმრავლესობაში მხარი დაუჭირა ბოლშევიკების დაგმობას. ამით გამოიხატა არა «წმინდა დემოკრატიის» დაცვა, არამედ იმ აღამიანთა თავდაცვა, რომლებმაც იციან და გრძნობენ, რომ სამოქალაქო ომში ისინი დგანან ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ.

აი რატომ არ შეიძლება ქლასობრივი თვალსაზრისით სწორად არ ვალიაროთ ყვითელი ინტერნაციონალის უმრავლესობის გადაწყვეტილება. პროლეტარიატი სიმართლეს არ უნდა შეუშინდეს; მან პირდაპირ უნდა გაუსწოროს მას თვალი და აქედან გამოიტანოს ყველა პოლიტიკური დასკვნა.

ამხანაგებო! მე მინდა ზოგი რამ დაუუმატო ორ უკანასკნელ პუნქტს. ვფიქრობ, რომ ამხანაგები, რომლებმაც უნდა გაგვიკეთონ მოხსენება ბერნის კონფერენციის შესახებ, უფრო დაწვრილებით ილაპარაკებენ ამაზე.

მთელი ბერნის კონფერენციის განმავლობაში ერთი სიტყვაც კი არ თქმულა საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობის შესახებ. უკვე ორი წელია ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს რუსეთში. 1917 წლის აპრილში პარტიულ კონფერენციაზე ჩვენ უკვე თეორიულად და პოლიტიკურად დავაყენოთ საკითხი: «რა არის საბჭოთა ხელისუფლება, როგორია მისი შინაარსი,

რაშია მისი ისტორიული მნიშვნელობა?». უკვე თითქმის ორი წელია, რაც ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს, და ჩვენს პარტიულ ყრილობაზე მივიღეთ რეზოლუციაც ამის შესახებ¹⁹.

ბერლინის «Freiheit»-მა 11 თებერვალს დაბეჭდა მოწოდება გერმანიის პროლეტარიატისადმი, რომელსაც ხელს აწერენ არა მარტო გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების ბელადები, არამედ დამოუკიდებელთა ფრაქციის ცველა წევრიც. 1918 წლის აგვისტოში ამ დამოუკიდებელთა უდიდესი თეორეტიკოსი, კაუცი, თავის ბროშურაში «პროლეტარიატის დიქტატურა» წერდა, რომ ის დემოკრატიისა და საბჭოთა ორგანოების მომხრეა, მაგრამ რომ საბჭოებს მხოლოდ სამეურნეო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ და რომ ისინი სრულიადაც არ უნდა იქნენ ალიარებულნი სახელმწიფო ორგანიზაციებადო. კაუცი ამასევ იმეორებს «Freiheit»-ის 11 წემბრისა და 12 იანვრის ნომრებში. 9 თებერვალს ქვეყნდება სტატია რუდოლფ პილფერდინგისა, რომელიც აგრეთვე ითვლება 11 ინტერნაციონალის ერთ-ერთ უდიდეს ავტორიტეტულ თეორეტიკოსად. ის წინადაღებას იძლევა, რომ იურიდიულად, სახელმწიფო კანონმდებლობის გზით, გაერთიანებულ იქნეს. საბჭოების სისტემა ეროვნულ კრებასთან. ეს იყო 9 თებერვალს. 11-ს ამ წინადაღებას იღებს დამოუკიდებელთა მთელი პარტია და იგი მოწოდების სახით ქვეყნდება.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კრება უკვე არსებობს, იმის შემდეგაც კი, რაც «წმინდა დემოკრატია» სინამდვილედ იქცა, იმის შემდეგ, რაც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების ცველაზე დიდმა თეორეტიკოსებმა გამოაცხადეს, რომ საბჭოთა ორგანიზაციები არ უნდა იყვნენ სახელმწიფო ორგანიზაციებით, მიუხედავად ყოველივე ამისა — ისევ მერყეობა! ეს ამტკიცებს, რომ ამ ვაუბატონებს მართლაც ვერაფერი გაუგიათ ახალი მოძრაობისა და მისი ბრძოლის პირობებისა. მაგრამ ეს სხვა რამესაც ამტკიცებს, სახელდობრ: უნდა არსებობდეს პირობები, მიზეზები, რომლებიც ამ შერყეობას იწვევენ! ცველა ამ მოვლენათა შემდეგ, რუსთის ამ თითქმის ორი წლის ძლევამოსილი რევოლუციის შემდეგ, როდესაც ჩვენ გვთავაზობენ ისეთ რეზოლუციებს, როგორიც

არის ბერნის კონფერენციაზე მიღებული რესოლუციები, რომ-ლებშიც არაფერი არ არის ნათქვაში საბჭოებზე და მათ მნიშვნელობაზე, სადაც არც ერთ დელეგატს არც ერთ სიტყვაში კრინტიც კი არ დაუძრავს ამის შესახებ, ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ყველა ეს ვაჟაბატონი, როგორც სოციალისტი და თეორეტიკოსი, ჩვენთვის მოქვდა.

მაგრამ პრაქტიკულად, პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს, ამხანაგებო, იმის დამამტკიცებელია, რომ მასებში დიდი ძერა ხდება, — რაკი ეს დამოუკიდებელი, რომელნიც თეორიულად და პრინციპულად ამ სახელმწიფო ორგანიზაციების წინააღმდეგი იყვნენ, უცებ გვთავაზობენ ისეთ სისულეელეს, როგორიცაა ეროვნული კრების «მშვიდობიანი» შეერთება საბჭოების სისტემასთან, ე. ი. ბურუუზის დიქტატურის შეერთება პროლეტარიატის დიქტატურასთან. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაკოტრდნენ ყველა ისინი სოციალისტური და თეორიული მხრივ და თუ რა უზარმაზარი ცვლილება ხდება მასებში. გერმანიის პროლეტარიატის ჩამორჩენილი მასები ჩვენებ მოდიან, ჩვენთან მოვიდნენ! ამრიგად, გერმანელი სოციალ-დემოკრატების დამოუკიდებელი პარტიის, ბერნის კონფერენციის ამ საუკეთესო ნაწილის, მნიშვნელობა თეორიული და სოციალისტური თვალსაზრისით ნულს უდრის; მაგრამ ერთგვარი მნიშვნელობა მას ჩეხება, და ეს მნიშვნელობა ის არის, რომ ეს მერყევი ელემენტები ჩვენთვის წარმოადგენენ პროლეტარიატის ჩამორჩენილი ნაწილების განწყობილების მაჩვენებელს. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ამ კონფერენციის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. ჩვენც რაღაც ამის მსგავსი განვიცადეთ ჩვენს რევოლუციაში. ჩვენმა მენშევიკებმა თითქმის ზუსტად გაიარეს განვითარების იგივე გზა, როგორც გერმანიაში — დამოუკიდებელთა თეორეტიკოსებმა. პირველად, როდესაც მათ უმრავლესობა ჰყავდათ საბჭოებში, ისინი საბჭოების მომხრენი იყვნენ. მაშინ მხოლოდ ესლა გაისმოდა: «გაუმარჯოს საბჭოებს!», «საბჭოებისათვის!», «საბჭოები რევოლუციური დემოკრატიაა!». ხოლო როცა საბჭოებში უმრავლესობა ჩვენ, ბოლშევიკებმა, მივიღეთ, მაშინ მათ სხვანაირად დაიწყეს მღერა: საბჭოები არ უნდა არსებობდნენ

დამუჯდნებელი კრების გეერდითო; ხოლო სხვადასხვა მენშევიკური თეორეტიკოსი თითქმის ისეთსავე წინადადებებს იძლეოდა, როგორიცაა საბჭოების სისტემის შეერთება დამფუძნებელ კრებასთან და მათი მოქცევა სახელმწიფო ორგანიზაციაში. აქ ერთხელ კიდევ აშკარავდება, რომ პროლეტარული რევოლუციის საერთო მსვლელობა მთელ მსოფლიოში ერთნაირია. ჯერ საბჭოების სტიტიურად გაჩენა, შემდეგ მათი გაერცელება და განვითარება, მერე პრაქტიკულად წარმოშობა საკითხისა: საბჭოები თუ ეროვნული კრება, ანუ დამფუძნებელი კრება, ანუ ბურჯუაზიული პარლამენტარიზმი; სრული დაბნეულობა წინამძღვრლებს შორის და, ბოლოს, — პროლეტარული რევოლუცია. მაგრამ მე ვთიქრობ, რომ რევოლუციის თითქმის ორი წლის შემდეგ ჩეენ ასე კი არ უნდა დავაყენოთ საკითხი, არამედ უნდა გამოვიტანოთ კონკრეტული გადაწყვეტილებანი, რადგან საბჭოების სისტემის გაერცელება ჩვენთვის, განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობისათვის, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მე მინდოდა აქ მომეყვანა მენშევიკების მხოლოდ ერთი რეზოლუცია. მე ვახოვდე ამხ. ობოლენსკის გადაეთარგმნა იგი გერმანულ ენაზე. ის დამპირდა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არ არის. მე შევეცდები ალვადგინო ეს რეზოლუცია მეხსიერებით, რადგანაც ამ რეზოლუციის სრული ტექსტი არა მაქვს.

უცხოელისათვის, რომელსაც ბოლშევიზმის შესახებ არაფერი სმენია, ძალიან ძნელია შეიმუშაოს საკუთარი აზრი ჩვენს სადაც საკითხებზე. ყველაფერს, რასაც ბოლშევეიკები ამტკიცებენ, მენშევიკები სადაცოდ აცხადებენ, და პირიქით. ორ თქმა უნდა, ბრძოლის დროს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მენშევიკების უკანასკნელმა, 1918 წლის დეკემბრის კონფერენციამ მიიღო გრძელი, დაწვრილებითი რეზოლუცია, რომელიც მთლიანად დაიბეჭდა მენშევიკურ «გაზეტა პეჩატნიკოვა»-ში ²⁰. ამ რეზოლუციაში თვითონ მენშევიკები მოქლედ გადმოგვცემენ კლასობრივი ბრძოლისა და სამოქალაქო ომის ისტორიას. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ისინი გმობენ თავიანთი პარტიის იმ ჯგუფებს, რომლებსაც კავშირი აქვთ მქონებელ

კლასებთან ურალში, სამხრეთში, ყირიმსა და საქართველოში, — და ჩამოთვლილია ყველა ეს ოლქი. მენშევიქური პარტიის ის ჯგუფები, რომლებიც მქონებელ კლასებთან შეკავშირებულნი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, ახლა დაგმობილი არიან რეზოლუციაში, ხოლო უკანასკნელი პუნქტი გმობს იმათაც, ვინც კომუნისტების მხარეზე გადავიდა. აქედან გამომდინარეობს: მენშევიქები იძულებული არიან აღიარონ, რომ მათ პარტიაში არ არის ერთიანობა და რომ ისინი დგანან ან ბურჟუაზიის მხარეზე, ან პროლეტარიატის მხარეზე. მენშევიქების მეტი ნაწილი ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა და სამოქალაქო ომის დროს ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვდევნით მენშევიქებს, ჩვენ მათ ვხვრეტო კიდეც, როდესაც ისინი ჩვენს წინააღმდეგ ომში იბრძვიან ჩვენი წითელი არმიის წინააღმდეგ და ხვრეტენ ჩვენს წითელ მეთაურებს. ბურჟუაზიის ომს ჩვენ პროლეტარიატის ომით ვუპასუხეთ, — სხვა გამოსავალი არ შეიძლება იყოს. ამრიგად, პოლიტიკური თვალსაზრისით ყოველივე ეს მხოლოდ მენშევიქური თვალთმაქცობაა. ისტორიულად გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ადამიანებს, რომლებიც ოფიციალურად გიყებად არ არიან გამოცხადებულნი, ბერნის კონფერენციაზე, მენშევიქებისა და ესერების დავალებით შეეძლოთ ელაპარაკნათ ბოლშევიქების ბრძოლაზე მათ წინააღმდეგ, მაგრამ არაფერი ეთქვათ თავიანთ ბრძოლაზე ბურჟუაზიასთან შეკავშირებით პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ყველა ისინი გააფორმებით ილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგ, რადგან ჩვენ მათ ვდევნით. ეს მართალია. მაგრამ ისინი კრინტსაც არ ძრავენ იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ თვითონ ისინი სამოქალაქო ომში! მე ვფიქრობ, რომ ოქმისათვის უნდა წარმოვადგინო რეზოლუციის სრული ტექსტი, ხოლო უცხოელ ამხანაგებს ვთხოვ ყურადღება მიაქციონ ამ რეზოლუციას, რადგან იგი ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელშიც საკითხი სწორად არის დასმული და რომელიც საუკეთესო მასალას იძლევა რუსეთის «სოციალისტურ მიმართულებათა ურთიერთდავის შესაფასებლად. პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შუა არსებობს კიდევ ისეთ ადამი-

ანთა კლასი, რომლებიც ხან ერთი, ხან მეორე მხრისაკენ იხრებიან; ასე იყო ყოველთვის და ყველა რევოლუციაში, და აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც პროლეტარიატი და ბურჟუაზია ორ მტრულ ბანაკს წარმოადგენენ, მათ შორის შუათანა ფენები არ არსებობდნენ. ამ მერყევი ელემენტების არსებობა ისტორიულად გარდუგალია, და, სამწუხაროდ, ასეთი ელემენტები, რომლებმაც თვითონ არ იციან, თუ ვის მხარეზე იბრძოლებენ ისინი ხვალ, ჯერ კიდევ საკმაოდ დიდხანს იარსებებენ.

მე მინდა შემოვიტანო პრაქტიკული წინაღადება, რომ მივიღოთ რეზოლუცია, რომელშიც სპეციალურად აღნიშნულ უნდა იქნეს სამი პუნქტი.

პირველი: დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მომუშავე ამხანაგებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა განუმარტონ მასებს საბჭოების სისტემის მნიშვნელობა, სიდიადე და აუცილებლობა. ამ საკითხში საკმაო გაეგებულობა არ ჩანს. თუ კაუცი და პილფერდინგი, როგორც თეორეტიკოსები, გაკოტრდნენ, «Freiheits-»-ში უკანასკნელად მოთავსებული სტატიები მაინც ამტკიცებენ, რომ ისინი სწორად გვიხატავენ გერმანიის პროლეტარიატის ჩამორჩენილი ნაწილების განწყობილებას. ჩვენშიც იგივე ხდებოდა: რუსეთის რევოლუციის პირველი რვა თვის განმავლობაში საკითხი საბჭოთა ორგანიზაციის შესახებ ძალიან ბევრჯერ იყო განხილული, და მუშებისათვის ნათელი არ იყო, თუ რაში მდგომარეობს ახალი სისტემა და შეიძლება თუ არა საბჭოებიდან სახელმწიფო აპარატის შექმნა. ჩვენს რევოლუციაში ჩვენ წინ მივდიოდით არა თეორიული გზით, არამედ პრაქტიკული გზით. მაგალითად, დამფუძნებელი კრების საკითხს ჩვენ წინათ თეორიულად არ ვაყენებდით და არ ვამბობდით, რომ დამფუძნებელ კრებას არ ვცნობთ. მხოლოდ უფრო გვიან, როდესაც საბჭოთა ორგანიზაციები გავრცელდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში და როდესაც მათ დაიბყრეს პოლიტიკური ძალაუფლება, მხოლოდ მაშინ გადავწყვიტეთ ჩვენ დამფუძნებელი კრების გარეკვა. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ უნგრეთსა და შეეიცარიაში საკითხი გაცილებით უფრო მწვავედ დგას. ერთი

მხრივ, ეს ძალიან კარგია: ჩვენ აქედან ვიღებთ იმის მტკიცე აწყენას, რომ რევოლუცია დასავლეთ ევროპის სახელმწიფო-ებში უფრო სწრაფად ვითარდება და დიდ გამარჯვებას მოგვიტანს. მეორე მხრივ კი, ამაში არის ერთგვარი საფრთხე, სახელდობრ ის საფრთხე, რომ ბრძოლა იმდენად სწრაფი იქნება, რომ მუშათა მასების შეგნება ასეთ განვითარებას ვერ მიჰყება. საბჭოების სისტემის მნიშვნელობა ახლაც ჯერ კიდევ არ არის ნათელი პოლიტიკურად განათლებული გერმანელი მუშების დიდი მასებისათვის, რადგან ისინი პარლამენტარიზმის სულისკვეთებისა და ბურუუაზიულ ცრურწმენათა პირობებში არიან აღზრდილნი.

მეორე: საბჭოების სისტემის გავრცელების შესახებ. როდესაც ჩვენ გვესმის, თუ რა სწრაფად ვრცელდება საბჭოების იდეა გერმანიაში და ინგლისშიც კი, ჩვენთვის ეს უმნიშვნელოვანესი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებს. მისი მსვლელობის შეჩერება მხოლოდ მოქლე ხნით შეიძლება. სხვა საქმეა, როდესაც ამხანაგები ალბერტი და პლატენი ჩვენ გვეუბნებიან, რომ მათ სოფლებში სოფლის მუშებსა და წერილ გლეხობას მორის თითქმის არ არსებობენ საბჭოები. მე წავიკითხე «Rote Fahne»-ში სტატია გლეხთა საბჭოების წინააღმდეგ, მაგრამ, სავსებით სწორად, მოჯამაგირეთა და სოფლის ლარიბთა საბჭოების სასარგებლოდ ²¹. ბურუუაზიამ და მისმა ლაქიებმა, როგორიც არიან შეიღებანი და მისი კომპანია, უკვე წამოაყენეს ლოზუნგი: გლეხთა საბჭოები. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება მხოლოდ მოჯამაგირეთა და სოფლის ლარიბთა საბჭოები. სამწუხაროდ, ამხანაგების ალბერტის, პლატენის და სხვათა მოხსენებებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ, უნგრეთის გამოკლებით, სოფლად საბჭოთა სისტემის გასავრცელებლად ძალიან ცოტა კეთდება. შეიძლება, ამაში მდგომარეობს კიდეც პრაქტიკული და საკმაოდ დიდი საფრთხე იმისათვის, რომ გერმანიის პროლეტარიატმა უტყუარ გამარჯვებას მიაღწიოს. გამარჯვება მხოლოდ მაშინ შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს, როდესაც ორგანიზებული იქნებიან არა მარტო ქალაქის მუშები, არამედ სოფლის პროლეტარებიც, და ამასთან ორგანი-

ჰებული იქნებიან არა ისე, როგორც წინათ იყვნენ — პროფესიულებში და კომპერატივებში, — არამედ საბჭოებში. ჩვენ უფრო ადვილად იმიტომ მოვიპოვეთ გამარჯვება, რომ 1917 წლის ოქტომბერში ჩვენ მივდიოდით გლეხობასთან ერთად, მთელ გლეხობასთან ერთად. ამ აზრით ჩვენი რევოლუცია მაშინ ბურუუაზიული იყო. ჩვენი პროლეტარული მთავრობის პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ მთელი გლეხობის ძველი მოთხოვნები, რაც ჯერ კიდევ კერძნსკის დროს გამოთქვეს გლეხთა საბჭოებმა და ყრილობებმა, აღიარებულ იქნა კანონით, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გამოსცა 1917 წლის 26 ოქტომბერს (ძველი სტილით), რევოლუციის მეორე დღეს. ეს შეადგენდა ჩვენს ძალას, ამიტომ იყო ჩვენთვის ასე ადვილი უდიდესი უმრავლესობის მოპოვება. სოფლისათვის ჩვენი რევოლუცია ისევ ბურუუაზიული რჩებოდა, და მხოლოდ უფრო გვიან, ნახევარი წლის შემდეგ, ჩვენ იძულებული ვიყავით სახელმწიფო ორგანიზაციის ფარგლებში დასაწყისი მიგვეცა კლასობრივი ბრძოლისათვის სოფლად, შეგვექმნა ყოველ სოფელში დარიბთა, ნახევრად ბრძოლებართა კომიტეტები და სისტემატურად გვებრძოლნა სოფლის ბურუუაზიის წინააღმდეგ. ჩვენში ეს გარდუგალი იყო რუსეთის ჩამორჩენილობის გაშო. დასავლეთ ევროპაში საქმე სხვანაირად მოხდება, ამიტომაც ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ საბჭოების სისტემის გავრცელება სოფლის მოსახლეობაზეც სათანადო, იქნება ახალ, ფორმებში აბსოლუტურად აუცილებელია.

მესამე: ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ საბჭოებში კომუნისტური უმრავლესობის მოპოვება მთავარი ამოცანაა ყველა ქვეყანაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გაუმარჯვნია. ჩვენმა რეზოლუციების კომისიამ გუშინ განიხილა ეს საკითხი. იქნება, სხვა ამხანაგები კიდევ გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამის შესახებ, მაგრამ მე მინდა შემოვიტანო წინადადება, რომ მივიღოთ ეს სამი პუნქტი, როგორც განსაკუთრებული რეზოლუცია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია ვუკარნახოთ გზა განვითარებას. ძალიან შესაძლებელია, რომ დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში რევოლუცია მეტად მაღლ მოხდეს, მაგრამ ჩვენ, როგორც მუშათა კლასის ორგა-

ნიზებული ნაწილი, როგორც პარტია, მივისწრაფვით და უნდა მივისწრაფვოდეთ, რომ მოვიპოვოთ უმრავლესობა საბჭოებში. მაშინ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია, და ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს რაიმე გააწყოს კომუნისტური რევოლუციის წინააღმდეგ. გამარჯვებას სხვაგვარად არც ისე იოლად მივაღწევთ და იგი ხანგრძლივი არ იქნება. ამრიგად, მე მინდა შემოვიტანო წინადადება — მივიღოთ ეს სამი პუნქტი სპეციალური რეზოლუციის სახით.

თვესისები დაიბეჭდა 1919 წ. 6 მარტს
განეთ «პრავდაში» № 51; მოხსენება
პირველად დაიბეჭდა 1920 წელს კომუ-
ნისტური ინტერნაციონალის პირველი
კონგრესის ოქმების გერმანულ გამო-
ცემაში და 1921 წელს — ოქმების რუ-
სულ გამოცემაში

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხუ-
ლებათა ტექსტის მიხედვით,
მე-4 გამოც., ტ. 28, გვ.
576—598.

**რეზოლუცია
თეზისებისათვის გურულაზიული დემოკრატიისა
და პროლეტარიატის დიდთატურის შესახებ**

ამ თეზისებისა და სხვადასხვა ქვეყნის დელეგატების მოხსენებათა საფუძველზე კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი აცხადებს, რომ კომუნისტური პარტიების მთავარი ამოცანა ყველა ქვეყანაში, სადაც კი საბჭოთა ხელისუფლება აქტ კიდევ არ არსებობს, შემდეგია:

1) განუმარტონ მუშათა ქლასის ფართო მასებს ახალი, პროლეტარული, დემოკრატიის პოლიტიკური და ისტორიული აუცილებლობის ისტორიული მნიშვნელობა, პროლეტარული დემოკრატიისა, რომელმაც უნდა შეცვალოს ბურჟუაზიული ფრმოკრატია და პარლამენტარიზმი.

2) გაავრცელონ და მოაწყონ საბჭოები მრეწველობის ყველა დარგის მუშებს შორის და არმიისა და ფლოტის ჯარისკაცთა შორის, აგრეთვე მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა შორის.

3) შექმნან საბჭოების შიგნით მტკიცე კომუნისტური უმრავლესობა.

«პრავდა» № 54, 1919 წ. 11 მარტი

იბეჭდება ვ. ი. ლენინის
თხულებათა ტექსტის
მიხედვით, მე-4 გამოც.
ტ. 28, გვ. 599.

საბოლოო სიტყვა ქონგრესის დახურვისას 6 მარტს

თუ ჩეენ, ყოველგვარი პოლიციური სიძნელისა და დევნის შიუხედავად, შევძლით შეგვრებილიყავით, თუ ჩეენ შევძლით არსებით უთანხმოებათა გარეშე მოკლე ხანში გამოგვეტანა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი თანამედროვე რევოლუციური ქპოქის ყველა საჭირობოროტო საკითხზე, ეს იმის გამო, რომ მთელი მსოფლიოს პროლეტარულმა მასებმა თავიანთი გამოსვლებით პრაქტიკულად დასვეს ეს საკითხები დღის წესრიგში და დაიწყეს მათი პრაქტიკულად გადაჭრა.

ჩეენ აქ მოგვიხდა მხოლოდ იმის ჩაწერა, რაც მასებმა უკვე მოიპოვეს თავიანთი რევოლუციური ბრძოლით.

არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, არა მარტო დამარცხებულ ქვეყნებში, არამედ გამარჯვებულ ქვეყნებშიც, როგორც, მაგალითად, ინგლისში, — სულ უფრო და უფრო ვრცელდება მოძრაობა საბჭოების სასარგებლოდ, და ეს მოძრაობა სხვა არა არის რა, თუ არა მოძრაობა, რომლის მიზანია ახალი, პროლეტარული, დემოკრატიის შექმნა, — ეს მოძრაობა ყველაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

დე მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია განაგრძობდეს მძვინვარებას, დე იგი დევნიდეს, საჭირობილებში ამწყვდევდეს,

თუნდაც კლავდეს სპარტაკელებსა და ბოლშევიკებს, — ყოველივე ეს მას ველარ უშველის. ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს მასების გათვითცნობიერებას, ძველ ბურუუაზიულ-დემოკრატიულ ცრურწმენათაგან მათ განთავისუფლებას და მათ გამოწრობას ბრძოლაში. პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება მთელ მსოფლიოში უზრუნველყოფილია. შეიქმნება საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკა. (მ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი).

პირველად დაიბეჭდა 1920 წელს
კომუნისტური ინტერნაციონალის
პირველი კონგრესის ოქტომბრის გერ-
მანულ გამოცემაში და 1921
წელს — ოქტომბრის რუსულ გამო-
ცემაში

იბეჭდება გ. ი. ლენინის თხზულე-
ბათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გა-
მოც., ტ. 28, გვ. 600—601.

რა არის საბჭოთა ხელისუფლება?

ციფრა, ჩაწერილი ტქანიზმის ფიქციტაზე ”

რა არის საბჭოთა ხელისუფლება? რა არის არსი ამ ახალი ხელისუფლებისა, რომლის გაგება არ სურთ ან ჯერ კიდევ არ შეუძლიათ უმრავლეს ქვეყნებში? მისი არსი, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად იზიდავს ყოველი ქვეყნის მუშებს, ის არის, რომ წინათ სახელმწიფოს ასე თუ ისე მართავდნენ მდიდრები ანუ კაპიტალისტები, ახლა კი სახელმწიფოს პირველად მართავენ, ამასთან მასობრივი რაოდენობით, სწორედ ის კლასები, რომელთაც კაპიტალიზმი ჩაგრავდა. თვით ყველაზე დემოკრატიულ, თვით ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკაში, ვიღრე კაპიტალის ბატონობა რჩება, ვიღრე მიწა კერძო საკუთრებად რჩება, სახელმწიფოს ყოველთვის მართავს უმნიშვნელო უმცირესობა, რომლის ცხრა მეათედი კაპიტალისტებიდან ანუ მდიდრებიდან არის გამოსული.

სახელმწიფო ხელისუფლება ჩვენში, რუსეთში, პირველად არის მსოფლიოში იმგვარად აგებული, რომ მხოლოდ მუშები, მხოლოდ მშრომელი გლეხები, ექსპლოატატორების გამოკლებით, შეადგენენ მასობრივ ორგანიზაციებს — საბჭოებს, და ამ საბჭოებს აქვთ გადაცემული მოელი სახელმწიფო ძალაუფლება. აი რატომაა, რომ თუმცა ბურჟუაზიის წარმომადგენლები ყველა ქვეყანაში ცილს სწამებენ რუსეთს, მაგრამ ყველგან მსოფლიოში სიტყვა «საბჭო» არათუ

გასაგები გახდა, არამედ გახდა პოპულარული, საყვარელი მუშებისათვის, ყველა მშრომელისათვის. და აი ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც არ უნდა სდევნიდნენ კომუნიზმის მომხრეებს სხვადასხვა ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლება გარდუგალად, აუცილებლად და ახლო მომავალში მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის საქმეში. საბჭოთა ხელისუფლება სასწაულებრივი თილისმა როდია. ის ერთბაშად როდი ჰკურნავს წარსულის ნაკლოვანებათაგან, უცოდინარობისაგან, უკულტურობისაგან, მხეცური ომის მემკვიდრეობისაგან, მძარცველური კაპიტალიზმის მემკვიდრეობისაგან. მაგრამ სამაგიეროდ ის სოციალიზმზე გადასვლის შესაძლებლობას იძლევა. ის შესაძლებლობას აძლევს იმათ, ვისაც ჩაგრავდნენ, ამაღლდნენ და თვითვე სულ უფრო და უფრო აიღონ ხელში სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგეობა, მეურნეობის მთელი მართვა-გამგეობა, წარმოების მთელი მართვა-გამგეობა.

საბჭოთა ხელისუფლება ეს არის მშრომელი მასების მიერ ნახული გზა სოციალიზმისაკენ და ამიტომ — უტყუარი და ამიტომ — უძლეველი გზაა.

წარმოთქმულია 1919 წ.

მარტის დამლევს.

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულტბათა ტექსტის მიხედვით, მე-4 გამოკ.,
ტ. 29, გვ. 283—284.

სახელმწიფოს შესახებ

ლეგცია სვერდლოვის უნივერსიტეტი
1919 წ. 11 ივლის ۲۰

ამხანაგებო, დლევანდელი ჩვენი საუბრის საგანს, იმ გეგ-
მით, რომელიც აქ მიიღეს და მე მაცნობეს, წარმოადგენს.
სახელმწიფოს საკითხი. მე არ ვიცი, უკვე რამდენად იცნობთ ამ
საკითხს. თუ არ ვცდები, თქვენი კურსები ახლახან გაიხსნა,
და თქვენ გიხდებათ ამ საკითხს სისტემატურად პირველად
მიუდგეთ. თუ ეს ასეა, ადვილად შესაძლებელია პირველ
ლექციაში ვერ მოვახერხო ბევრი მსმენელისათვის ამ ძნელი
საკითხის საკმაო სიცხადით და გასაგებად გადმოცემა. და თუ
ასე მოხდა, გთხოვთ ეს ნუ შეგაფიქრიანებთ, იმიტომ რომ
სახელმწიფოს საკითხი ერთ-ერთი ურთულესი და უძნელესი
საკითხია და თითქმის ყველაზე უფრო დახლართულია ბურ-
უაზიულ მეცნიერთა, მწერალთა და ფილოსოფოსთა მიერ.
ამიტომ არასოდეს არ უნდა გვეგონოს, რომ ერთ მოკლე საუ-
ბარში შეიძლებოდეს მივაღწიოთ ამ საკითხის სრულ გარკვე-
ვას. ამ საგანზე პირველი საუბრის შემდეგ საჭიროა აღვნიშ-
ნოთ გაუგებარი ან ბუნდოვანი ადგილები, რათა დაუბრუნ-
დეთ მათ მეორედ, მესამედ და მეოთხედ, რომ ის რაც გაუ-
გებარი დარჩა, შევავსოთ და გავარკვიოთ შემდგომ, როგორც
კითხვით, ისე ცალკეული ლექციებითა და საუბრებით. იმედი
მაქს, ჩვენ კიდევ მოვახერხებთ შეკრებას, და მაშინ შევძ-
ლებთ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ყველა დამატებითს საკითხ-

ჲე და იმის შემოწმებას, რაც უფრო ბუნდოვანი დარჩა. აგრეთვე იმედი მაქეს, რომ საუბრებისა და ლექციების შესავსებად განსაზღვრულ დროს დაუთმობთ მარქსისა და ენგელსის თუნდაც ზოგიერთ უმთავრეს ნაწარმოებთა წაკითხვას. ეჭვი არ არის, ლიტერატურის საძიებელსა და სახელმძღვანელოებში, რაც საბჭოთა და პარტიული სკოლის მოსწავლეებს მოეპიფებათ ბიბლიოთეკაში, რომელიც თქვენ გაქვთ, — უეჭველად იპოვით ამ მთავარ ნაწარმოებებს, და თუმცა შესაძლებელია ამ შემთხვევაშიც ზოგიერთი მსმენელი ნაწარმოების გადმოცემის სიძნელემ დააფრთხოს, — მაგრამ ისევ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამან არ უნდა შეგაკრთოთ, რომ პირ ველი წაკითხვისას გაუგებარი — გასაგები გახდება ხელშეორედ წაკითხვისას, ან შემდეგ, როცა საკითხს ცოტა სხვამხრივ მიუდევბით, რადგან კიდევ ვიმეორებ, საკითხი იმდენად რთულია და ისეა დახლართული ბურუუაზიულ მეცნიერთა და მწერალთა მიერ, რომ ყოველი ადამიანი, რომელსაც სურს ამ საკითხს სერიოზულად ჩაუფიქრდეს და დამოუკიდებლად შეითვისოს, აუცილებლად რამდენჯერმე უნდა მიუდგეს მას, ისევ და ისევ დაუბრუნდეს, მოისაზროს საკითხი სხვადასხვა მხრივ, რომ იგი ნათლად და მტკიცედ გაიგოს. ხოლო ამ საკითხს თქვენ მით უფრო ადვილად დაუბრუნდებით. რომ იგი მთელი პოლიტიკის იმდენად ძირითადი, იმდენად მთავარი საკითხია, რომ არათუ ასეთ მშეოთვარე, რევოლუციურ დროს, როგორსაც ჩვენ ახლა განვიცდით, არამედ უაღრესად მშვიდობიან დროსაც ყოველ გაზეთში ყოველი ეკონომიური თუ პოლიტიკური საკითხის გარშემო თქვენ მუდამ წააწყდებით კითხვას: რა არის სახელმწიფო, რაშია მისი დედაარსი, მისი მნიშვნელობა და როგორია ჩვენი პარტიის დამოკიდებულება, კაპიტალიზმის დამთხობისათვის მებრძოლი პარტიის, კომუნისტების პარტიის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, — ამ საკითხს თქვენ ყოველდღე დაუბრუნდებით ამა თუ იმ საბაბის გამო. უმთავრესი კი ის არის, რომ წიგნების კითხვამ, საუბრებმა და ლექციებმა, რასაც თქვენ სახელმწიფოს შესახებ მოისმენთ, შეგძინოთ უნარი ამ საკითხისადმი დამოუკიდებელი მიდგომისა, რადგან ეს საკითხი

თქვენ შეგხედებათ სულ სხვადასხვაგვარი საბაბის გამო, ყოველი წერილმანი საკითხის გამო, სრულიად მოულოდნელ გარემოებაში, მოწინააღმდეგებთან საუბრებსა და კამათში. მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ისწავლით დამოუკიდებლად გაერკვეთ ამ საკითხში, — მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ რომ საკმაოდ მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლიათ საკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის.

ამ მცირე შენიშვნების შემდეგ გადავალ თვით საკითხზე— რა არის სახელმწიფო, როგორ წარმოიშვა იგი და ძირითადად როგორი უნდა იყოს დამოუკიდებულება სახელმწიფო-სადმი მუშათა კლასის პარტიისა, კომუნისტური პარტიისა, რომელიც იბრძვის კაპიტალიზმის სრული დამხობისათვის.

მე ყველა აღვნიშნე, რომ ძნელია მოინახოს სხვა საკითხი. რომელიც განხრას და განუზრახველად ისე იყოს დახლართული ბურუჟაზიული მეცნიერების, ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, პოლიტიკური ეკონომიკისა და პუბლიცისტიკის წარმომადგენლების მიერ, როგორც სახელმწიფოს საკითხი. ძალიან ხშირად ამ საკითხს დღემდე რელიგიურ საკითხებში ურევენ, ძალიან ხშირად არა მარტო რელიგიურ მოძღვრებათა წარმომადგენლები (სწორედ მათგან სავსებით ბუნებრივია ამას მოველოდეთ), არამედ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავიანთ თავს რელიგიური ცრურწმენისაგან თავისუფლად თვლიან, რელიგიის საკითხებში ურევენ სახელმწიფოს სპეციალურ საკითხს და ტრილობენ ააგონ, — ძალიან ხშირად რთული, იდეური ფილოსოფიური მიღვომით და დასაბუთებით, — მოძღვრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო არის რაღაც ღვთაებრივი, ზებუნებრივი რამ, რომ ეს არის ერთგვარი ძალა, რომლითაც ცხოვრობდა კაცობრიობა და რომელიც აძლევს ან აქვს რომ მისცეს ადამიანებს, შეიცავს ისეთ რამეს, რაც ადამიანისაგან კი არ წარმოსდგება, არამედ მიეცა მას გარედან, რომ ეს არის ღვთაებრივი წარმოშობის ძალა. და უნდა ითქვას, რომ ეს მოძღვრება ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ექსპლოატატორული კლასების — მემამულეებისა და კაპიტალისტების — ინტერესებთან, ისე ემსახურება მათს ინტე-

რესებს, ისე ლრმად გამსჭვალა მან ბატონ ბურუუაზიულ წარმომადგენელთა ყველა ჩვეულება, ყველა შეხედულება, მთელი მეცნიერება, რომ მის ნაშთებს თქვენ შეხვდებით ყოველ ნაბიჯზე, თვით მენშევიკებისა და ესერების შეხედულებაში სახელმწიფოზე, რომლებიც აღშფოთებით უარყოფენ იმ აზრს, რომ ისინი რელიგიური ცრურწმენის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, და დარწმუნებული არიან, რომ შეუძლიათ ფხიზლად შეხედონ სახელმწიფოს. ეს საკითხი ასე აბნეული და გართულებულია იმიტომ, რომ იგი (ჩამორჩება რა ამ მხრივ მხოლოდ ეკონომიური მეცნიერების საფუძვლებს) გაბატონებული კლასების ინტერესებს უფრო მეტად ეხება. ვიდრე რომელიმე სხვა საკითხი. მოძღვრება სახელმწიფოზე ემსახურება საზოგადოებრივი პრივილეგიების გამართლებას, ექსპლოატაციის არსებობის გამართლებას, კაპიტალიზმის არსებობის გამართლებას, — და სწორედ ამიტომ უდიდესი შეცდომა იქნება, რომ ამ საკითხში მიუდგომლობას მოველდეთ, ამ საკითხში საქმეს ისე მიეუდგეთ, თითქოს იმ ადამიანებს, რომლებიც მეცნიერულობას ჩემულობენ, შეუძლიათ აქ მოგვცენ წმინდა მეცნიერების თეალსაზრისი. სახელმწიფოს საკითხში, სახელმწიფოს მოძღვრებაში, სახელმწიფოს თეორიაში, როცა საკითხს გაეცნობით და მას საკმაოდ ჩასწედებით, ყოველთვის დაინახავთ სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან ბრძოლას, ბრძოლას, რომელიც იხატება ან თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფოზე არსებულ შეხედულებათა ბრძოლაში, სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის შეფასებაში.

ამ საკითხს რომ ყველაზე უფრო მეცნიერულად მივუდგეთ, საჭიროა ოდნავ მაინც გადავავლოთ თვალი ისტორიას და ენახოთ, როგორ წარმოიშვა სახელმწიფო და როგორ ვითარდებოდა იგი. ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად მევიძინოთ ჩვევა ამ საკითხისადმი სწორად მიღდგომისა და არ დავიძნეთ უამრავ წვრილმანებში ან ერთმანეთთან მებრძოლ შეხედულებათა უდიდეს სხვადასხვაობაში, — ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიე-

რული თვალსაზრისით მიუღებეთ,—არის ის, რომ არ დავი-
ვიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს
შეეხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტო-
რიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპე-
ბი განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ
განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს
მოვლენა ამჟამად.

იმედი მაქვს, რომ სახელმწიფოს საკითხზე თქვენ გაეც-
ნობით ენგელსის თხზულებას — „ოჯახის, კერძო საკუთრე-
ბისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. ეს არის თანამედროვე
სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თხზულება, რომელშიც
შეგვიძლია ვენდოთ ყოველ ფრაზას, ვენდოთ, რომ თვითეუ-
ლი ფრაზა იქ მოუფიქრებლად კი არ არის ნათქვამი, არა-
მედ დაწერილია უდიდესი ისტორიული და პოლიტიკური
მასალის საფუძველზე. უეჭველია, რომ ამ თხზულებაში ყვე-
ლა ნაწილი ერთნაირად მისაწვდომი და გასაგები არ არის:
ზოგიერთი ნაწილი გულისხმობს ისეთ მქითხველს, რომელსაც
უკვე განსაზღვრული ისტორიული და ეკონომიკური ცოდნა
აქვს. მაგრამ კვლავ ვიტყვი: არ უნდა შექროეთ, თუ ამ ნაწარ-
მოებს წაკითხვის შემდეგ ერთბაშად ვერ გაიგებთ. ასეთი
რამ თითქმის ყველას ემართება. მაგრამ, როცა მას დაუბ-
რუნდებით შემდეგ, როდესაც ინტერესი გაგელვიძებათ, თქვენ
მიაღწევთ იმას, რომ მთლად თუ არა, მომეტებული ნაწილი
მაინც გასაგები გახდება თქვენთვის. ამ წიგნს იმიტომ
მოგაგონებთ, რომ იგი გვაძლევს საკითხისაღმი სწორ
მიღეოდას ამ მხრივ. იგი იწყება ისტორიული ნარკვევით, თუ
როგორ წარმოიშვა სახელმწიფო.

სწორად რომ მიუღებეთ ამ საკითხს, როგორც ყოველ-
გვარ საკითხს, მაგალითად, კაპიტალიზმის წარმოშობის, აღა-
მიანთა შორის ექსპლოატაციის, სოციალიზმის საკითხს, იმას,
თუ როგორ გაჩნდა სოციალიზმი, რა პირობებში წარმოშვეს
იგი,— ყოველ, ასეთ საკითხს საფუძვლიანად და რწმენით
შეგვიძლია მიუღებეთ მხოლოდ მაშინ, თუ თვალს გადავავ-
ლებთ მის ისტორიულ განვითარებას მთლიანად. ამ საკითხში
უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ

სახელმწიფო ყოველთვის როდი არსებობდა. იყო დრო, რო-
დესაც სახელმწიფო არ იყო. სახელმწიფო ჩნდება იქ და
მაშინ, სადაც და როდესაც ჩნდება საზოგადოების დაყოფა
კლასებად, როდესაც ჩნდებიან ექსპლოატატორები და ექს-
პლოატირებულნი.

ვიდრე წარმოიშობოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექს-
პლოატაციის პირებითი ფორმა, კლასებად დაყოფის პირებითი
ფორმა — მონათმფლობელები და მონები, — მანამდე არსებობ-
და კიდევ პატრიარქალური, ანუ — როგორც მას ზოგჯერ
უწოდებენ — კლანი — თაობა, გვარი, როცა ადა-
მიანები ცხოვრობდნენ გვარებად, თაობებად) ოჯახი; ამ პირ-
ველყოფილი ხანის კვალი საკმაო სიცხადით დარჩა ბევრი
პირველყოფილი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, და თუ აიღებთ
რომელიმე თხზულებას პირველყოფილ კულტურაზე, ყო-
ველთვის წააწყდებით ცოტად თუ ბევრად გარევეულ აღწე-
რას, მითითებებს და მოგონებებს იმაზე, რომ იყო დრო, რო-
მელიც მეტნაკლებად გავდა პირველყოფილ კომუნიზმს, როცა
არ არსებობდა საზოგადოების დაყოფა მონათმფლობელებად
და მონებად. და მაშინ არ არსებობდა სახელმწიფო, არ არ-
სებობდა საგანგებო აპარატი ძალმომრეობის სისტემატურად
გამოსაყენებლად და ძალმომრეობისადმი ადამიანების დასა-
მორჩილებლად. სწორედ ასეთ აპარატს ეწოდება სახელმწიფო.

პირველყოფილ საზოგადოებაში, როცა ადამიანები ჯერ
კიდევ პატარ-პატარა გვარებად ცხოვრობდნენ, როცა ისინი
ჯერ კიდევ განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იდგნენ
და ველურ მდგომარეობას უახლოვდებოდნენ; იმ ეპოქაში,
რომლისაგანაც თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობა
რამდენიმე ათასი წლით არის დაშორებული, — იმ ხანაში
სახელმწიფოს არსებობის ნიშნები ჯერ კიდევ არ ჩანს. ჩვენ ვხე-
დავთ ზნე-ჩვეულებათა ბატონობას, ავტორიტეტს, პატივის-
ცემას, ძალაუფლებას, რომლითაც სარგებლობდნენ გვარის
უხუცესნი, ვხედავთ, რომ ეს ძალაუფლება ზოგჯერ ქალებს
ეკუთვნოდა, — ქალის მდგომარეობა მაშინ არ ჰავდა მის
ახლანდელ უფლებო, ჩაგრულ მდგომარეობას, — მაგრამ ვერ-
სად ვერ ვხედავთ განსაკუთრებული თანრიგის ადამიანებს,

რომლებიც გამოიყოფიან, რომ სხვები გაიაგონ და ამ მიზნისთვის მათ სისტემატურად, მუდინივად ჰქონდეთ იძულების განსაზღვრული აპარატი, ძალმომრეობის აპარატი, რომელიც ამჟამად არსებობს და რომელიც თქვენ ყველამ იცით — ჯარის შეიარაღებული რაზმები, საპყრობილები და ძალმომრეობისადმი სხვისი ნების დამორჩილების სხვა საშუალებანი, — ის, რაც სახელმწიფოს დედაარსს შეადგენს.

თუ თავს დავანებებთ ეგრეთწოდებულ რელიგიურ მოძღვრებებს, ყალთაბანდობას, ფილოსოფიურ კონსტრუქციებს, იმ სხვადასხვაგარ შეხედულებებს, რასაც ბურუუზიული მეცნიერები ქმნიან, და საქმის ნამდვილ არსს მოვძებნით, დავინახავთ, რომ სახელმწიფო წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოებიდან გამოყოფილ მართვა-გამგეობის სწორედ ასეთ აპარატს. როდესაც ჩნდება ადამიანთა ისეთი განსაკუთრებული ჯგუფი, რომლის საქმესაც მხოლოდ და მხოლოდ მართვა-გამგეობა შეადგენს, და რომელსაც ამ მართვა-გამგეობისათვის ესაჭიროება იძულებისა და ძალმომრეობისადმი სხვისი ნების დამორჩილების განსაკუთრებული აპარატი — საპყრობილები ადამიანთა განსაკუთრებული რაზმები, ჯარი და სხვ., — მაშინ ჩნდება სახელმწიფო.

ჩავრამ იყო დრო, როცა სახელმწიფო არ არსებობდა, როცა საერთო კავშირი, თვით საზოგადოება, დისკიპლინა და შრომის გაწესრიგება ემყარებოდა ჩვეულების, ტრადიციების ძალას, ავტორიტეტს ან პატივისცემას, რითაც სარგებლობდნენ გვარის უხუცესნი ან ქალებთ, რომელთაც იმ დროს არამცთუ მამაკაცების თანაბარი უფლებები ჰქონდათ, არამედ ხშირად უფრო შალალი მდგომარეობაც ეჭირათ, და როცა არ არსებობდა ადამიანთა განსაკუთრებული რაზმი მართვა-გამგეობის სპეციალისტები. ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო, როგორც ადამიანთა იძულების განსაკუთრებული აპარატი, ჩნდებოდა მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ჩნდებოდა საზოგადოების დაყოფა კლასებად — მაშინადემ, ადამიანთა დაყოფა ისეთ ჯგუფებად, რომელთაგან ერთ ნაწილს მუდამ შეუძლია მიითვისოს სხვების შრომა, სადაც ექსპლოატაციას უწევს მეორეს.

და ისტორიაში საზოგადოების ეს დაყოფა კლასებად ყოველთვის ნათლად უნდა იღეს ჩენიაშე, როგორც ძირითადი ფაქტი. ადამიანთა ყველა საზოგადოების განვითარება მრავალი ათასი წლის მანძილზე, გამოუკლებლივ ყველა ქვეყანაში, გვიჩვენებს ამ განვითარების საერთო კანონზომიერებას, სისწორეს და თანამიმდევრობას ისე, რომ პირველად ჩვენ გვაქვს უკლასო საზოგადოება — პირვანდელი პატრიარქალური, პირველყოფილი საზოგადოება, სადაც არ იყვნენ არისტოკრატები; შემდეგ — მონობაზე დამყარებული საზოგადოება, მონათმთლობელური საზოგადოება. ეს გზა განვლო მთელმა თანამედროვე ცივილიზებულმა ევროპამ — მონობა სავსებით გაბატონებული იყო ორი ათასი წლის წინათ. ეს გზა განვლო ქვეყნის დანარჩენი მხარეების ხალხთა დიდმა უმეტესობამ. ყველაზე ნაკლებ განვითარებულ ხალხებში მონობის კვალი ახლაც არის დარჩენილი, და მონობის დაწესებულებებს ახლაც ნახავთ, მაგალითად, აფრიკაში. მონათმფლობელნი და მონები — ეს არის პირველი დიდი დაყოფა კლასებად. პირველი ჯგუფი ფლობდა არა მარტო წარმოების ყველა საშუალებას — მიწას, იარაღებს, თუმცა მაშინ ეს იარაღები სუსტი, პრიმიტიული იყო, — იგი ფლობდა აგრეთვე ადამიანებსაც. ამ ჯგუფს ეწოდებოდა მონათმფლობელნი, ხოლო იმათ, ვინც შრომობდა და თავის შრომას სხვას აძლევდა, ეწოდებოდა მონები.

ამ ფორმას ისტორიაში მოყვა მეორე ფორმა — ბატონყმობა. ქვეყნების დიდ უმეტესობაში მონობა თავისი განვითარების პროცესში ბატონყმობად გადაიქცა. საზოგადოების ძირითადი დაყოფა — მებატონე-მემამულები და ყმა-გლეხები. ადამიანთა ურთიერთობის ფორმა შეიცვალა. მონათმფლობელნი მონებს თავიანთ საკუთრებად სთვლიდნენ, კანონი ამ შეხედულებას განამტკიცებდა და მონებს სთვლიდა ნივთად, რომელიც სავსებით მონათმფლობელს ექუთვნოდა. ყმა-გლეხი დარჩა კლასობრივიად ჩაგრული, დამოკიდებული, მაგრამ მებატონე-მემამულე არ ითვლებოდა გლეხის, როგორც ნივთის, მფლობელად; მას ჰქონდა უფლება მხოლოდ მის შრომაზე და განსაზღვრული ბეგარის შესრულების იძულებაზე.

სინამდვილეში, როგორც თქვენ ყველამ იცით, ბატონყმობა, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც იგი ყველაზე უფრო დიდ-ხანს არსებობდა და სადაც მან ყველაზე მეტად მიიღო უხეში ფორმები, არაფრით არ განირჩეოდა მონობისაგან.

შემდეგ, — ბატონყმურ საზოგადოებაში, ვაჭრობის განვითარების, მსოფლიო ბაზრის წარმოშობისა და ფულის ტრიალის განვითარებასთან ერთად ჩნდებოდა ახალი კლასი — კაპიტალისტების კლასი. საქონლიდან, საქონლის გაცვლა-გამოცვლიდან, ფულის ბატონობის წარმოშობიდან იბადებოდა კაპიტალის ბატონობა. XVIII საუკუნის მანძილზე, უკეთ — XVIII საუკუნის დასასრულიდან, და XIX საუკუნის განმავლობაში მოხდა რევოლუციები მთელ მსოფლიოში. ბატონყმობა განიდევნა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნიდან. ყველაზე გვიან ეს რუსეთში მოხდა. 1861 წელს რუსეთშიც მოხდა გადატრიალება, რასაც შედეგად მოყვა საზოგადოების ერთი ფორმის შეცვლა მეორე ფორმით — ბატონყმობის შეცვლა კაპიტალიზმით, რომლის დროსაც კლასებად დაყოფა დარჩა, დარჩა ბატონყმობის სხვადასხვა კვალი და ნაშთი, მაგრამ ძირითადად კლასებად დაყოფამ სხვაგვარი ფორმა მიიღო.

კაპიტალის მფლობელნი, მიწის მფლობელნი, ფაბრიკებისა და ქარხნების მფლობელნი ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში წარმოადგენდნენ და წარმოადგენდნენ მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას, რომელიც საკეთო განაგებს ხალხის მთელ შრომას და რომელიც, მაშასადამე, იმორჩილებს, ჩაგრავს და ექსპლოატირის უწევს მშრომელთა მთელ მასას; ამ მშრომელთა უმრავლესობას შეაღენენ პროლეტარები, დაქირავებული მუშები, რომლებიც წარმოების პროცესში საარსებო სახსარს მხოლოდ თავისი მუშური ხელის, სამუშაო ძალის გაყიდვით იღებენ. გლეხები, დაქსაქსულნი და შევიწროებულნი ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს, კაპიტალიზმზე გადასვლის შემდეგ ხდებოდნენ ნაწილობრივ (უმრავლესობა) პროლეტარებად, ნაწილობრივ (უმცირესობა) — შეძლებულ გლეხობად, რომელიც თვითონ ქირაობდა მუშებს და სოფლის ბურჟუაზიას წარმოადგენდა.

თქვენ ყოველთვის მხედველობაში უნდა იქონიოთ ეს ძირითადი ფაქტი — საზოგადოების გადასცვლა მონობის პირველყოფილი ფორმებიდან ბატონიყმობაზე და, ბოლოს, კაპიტალიზმზე, რადგან მხოლოდ მაშინ, როცა მოიგონებთ ამ ძირითად ფაქტს, როცა ამ მთავარ ჩარჩოში მოაქციეთ ყველა პოლიტიკურ მოძღვრებას, მხოლოდ მაშინ შესძლებთ სწორად შეაფასოთ ეს მოძღვრებანი და გაერკვეთ, რას ეხებიან ისინი, რადგან კაცობრიობის ისტორიის თვითეული ეს დიდი პერიოდი — მონათმფლობელური, ბატონიყმური და კაპიტალისტური — მოიცავს ათეულ და ასეულ საუკუნეებს და წარმოადგენს ისეთ უამრავ პოლიტიკურ ფორმას, სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ მოძღვრებას, შეხედულებას, რევოლუციას, რომ ყველა ამ უდიდეს სიჭრელესა და უაღრეს მრავალფეროვნებაში გარკვევა, — რაც განსაკუთრებით დაკავშირებულია ბურუუაზიულ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და სხვ. მოძღვრებასთან, — მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ სახელმძღვანელო ძირითად გეზად მტკიცედ აიღებთ საზოგადოების ამ დაყოფას კლასებად, კლასობრივი ბატონობის ფორმების შეცვლას და ამ თვალსაზრისით გაერკვევით ყველა საზოგადოებრივ საკითხში — ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერ, რელიგიურ და სხვ. საკითხებში.

თუ ამ ძირითადი დაყოფის თვალსაზრისით შეხედავთ სახელმწიფოს, დაინახავთ, რომ საზოგადოების კლასებად დაყოფამდე, როგორც უკვე ვთქვი, არც სახელმწიფო არსებობდა. მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ ჩნდება და მტკიცდება საზოგადოების კლასებად დაყოფა, იმის მიხედვით, თუ როგორ ჩნდება კლასობრივი საზოგადოება, — ამის მიხედვით ჩნდება და მტკიცდება სახელმწიფოც. კაცობრიობის ისტორიაში ჩვენ ეხედავთ ათეულ და ასეულ ქვეყნებს, რომლებიც განიცდიდნენ და დღესაც განიცდიან მონობას, ბატონიყმობას და კაპიტალიზმს. თვითეულ ბათგანში, მიუხედავად მომხდარი უდიდესი ისტორიული ცვლილებებისა, მიუხედავად ყველა პოლიტიკური პერიოდისა და ყველა რევოლუციისა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ კაცობრიობის ამ განვითა-

რებასთან, მონობიდან ბატონიშვილის გაცლით კაპიტალიზმზე გადასცლასთან და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ახლანდელ მსოფლიო ბრძოლაზე გადასცლასთან, — თქვენ ყოველთვის ხედავთ სახელმწიფოს აღმოცენებას. სახელმწიფო ყოველთვის წარმოადგენდა გარკვეულ აპარატს, რომელიც გამოყოფილი იყო საზოგადოებიდან და შედგებოდა იმ ადამიანთა ჯგუფისაგან, რომელთა საქმეც მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ, ანდა უმთავრესად ის იყო, რომ ისინი მართავდნენ. ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად — ვისაც მართავენ და მართვა-გამგეობის სპეციალისტებად, რომლებიც საზოგადოებაზე მაღლა დგებიან და რომლებსაც მმართველებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებს უწოდებენ. ამ აპარატს, ამ ჯგუფს ადამიანებისას, რომლებიც სხვებს მართავენ, ყოველთვის ხელთ უპყრია იძულების, ფიზიკური ძალის განსაზღვრული აპარატი, — სულ ერთია, ამ ძალმომრეობას ადამიანების მიმართ გამოხატავს პირველყოფილი კეტი, თუ მონობის ეპოქაში — უფრო გაუმჯობესებული ტიპის შეიარაღება, თუ ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც შუასაუკუნეებში გაჩნდა, თუ, ბოლოს, თანამედროვე იარაღი, რომელმაც XX საუკუნეში ტექნიკურ სასწაულებს მიაღწია და რომელიც სავსებით თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს ემყარება. ძალმომრეობის ხერხები იცვლებოდა, მაგრამ ყოველთვის, როცა სახელმწიფო არსებობდა, თვითეულ საზოგადოებაში იყო ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მართავდნენ, ბრძანებლობდნენ, ბატონიბდნენ და რომლებსაც ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელთ ჰქონდათ ფიზიკური იძულების აპარატი, ძალმომრეობის აპარატი, ის შეიარაღება, რომელიც შეეფერებოდა თვითეული ეპოქის ტექნიკურ დონეს. როცა ეუკვირდებით ამ საერთო მოვლენებს და ვკითხულობთ, რატომ არ არსებობდა სახელმწიფო მაშინ, როცა არ იყვნენ კლასები, როცა არ იყვნენ ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები, და რატომ წარმოიშვა იგი მაშინ, როცა კლასები წარმოიშვნენ, — მხოლოდ მაშინ ვპოულობთ გარკვეულ პასუხს კითხვაზე სახელმწიფოს დედაარსისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

სახელმწიფო — ეს არის მანქანა: ერთი კლასის ბატონო-

ბის შესანარჩუნებლად მეორე კლასის მიმართ. როცა საზო გადოებაში კლასები არ იყო, როცა აღამიანები არსებობის მონურ ეპოქამდე შრომობდნენ უფრო მეტი თანასწორობის პირველყოფილ პირობებში, შრომის ჯერ კიდევ უაღრესად დაბალი ნაყოფიერების პირობებში, როცა პირველყოფილი აღამიანი ძლივძლივობით შოულობდა მეტად ტლანქი პირველყოფილი არსებობისათვის საჭირო სახსარს, მაშინაც წარმოშობილა და არც შეიძლებოდა წარმოშობილიყო იმ აღამიანთა განსაკუთრებული ჯგუფიც, რომლებიც სპეციალურად გამოყოფილი იქნებოდნენ. მართვა-გამგეობისათვის და გაბატონებული მთელ დანარჩენ საზოგადოებაზე. მხოლოდ მაშინ, როცა გაჩნდა საზოგადოების კლასებად დაყოფის პირველი ფორმა, როცა გაჩნდა მონობა, როცა აღამიანთა განსაზღვრულ კლასს საშუალება მიეცა, სამიწათმოქმედო შრომის უაღრესად უხეშ ფორმებზე დაყრდნობით, შეექმნა ერთგვარი ნაჭარბი, როცა ეს ნაჭარბი მონობის უაღრესად ღატაკური არსებობისათვის აბსოლუტურ საჭიროებას არ წარმოადგენდა და იგი მონათმფლობელის ხელში გადადიოდა, როცა, ამრიგად, მონათმფლობელთა ამ კლასის არსებობა განმტკიცდა, — და მისი არსებობა რომ განმტკიცებულიყო, — მაშინ საჭირო გახდა სახელმწიფო გაჩენილიყო.

და იგი გაჩნდა — მონათმფლობელური სახელმწიფო, — აპარატი, რომელიც მონათმფლობელებს აძლევდა ძალაუფლებას და ყველა მონის მართვის შესაძლებლობას, საზოგადოებაც და სახელმწიფოც მაშინ გაცილებით უფრო პატარა იყო, ვიდრე ახლა, მის განკარგულებაში კავშირის ბევრად უფრო სუსტი აპარატი იყო, — მაშინ არ იყო მიმოსვლის ახლანდელი საშუალებანი. მთები, მდინარეები და ზღვები განუზომლად უფრო დიდ დაბრკოლებებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ახლა, და სახელმწიფოც გაცილებით უფრო ვიწრო გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში ყალიბდებოდა. ტექნიკურად სუსტი სახელმწიფო აპარატი ემსახურებოდა სახელმწიფოს, რომლის საზღვრები და მოქმედების არე შედარებით უფრო ვიწრო იყო. მაგრამ მაინც იყო აპარატი, რომელიც მონებს აიძულებდა მონობაში დარჩენილიყვნენ, საზოგადოე-

ბის ერთ ნაწილს ამყოფებდა მეორე ნაწილის იძულებასა და ჩაგვრაში. საზოგადოების ერთი, უმეტესი ნაწილი რომ აიძულო სისტემატურად იმუშაოს მეორე ნაწილისათვის, ამისათვის აუცილებელია არსებობდეს იძულების მუდმივი აპარატი. ვიდრე არ არსებობდნენ კლასები, ასეთი აპარატიც არ იყო. როცა კლასები გაჩნდნენ, უველგან და ყოველთვის ამ დაყოფის ზრდასა და განმტკიცებასთან ერთად ჩნდებოდა განსაკუთრებული ინსტიტუტიც — სახელმწიფო. სახელმწიფოს ფორმები მეტისმეტად მრავალფეროვანი იყო. მონათმფლობელურ ხანაში მაშინდელი დროის მიხედვით უველაზე უფრო მოწინავე, კულტურულ და ცივილიზებულ ქვეყნებში, მაგალითად, ძველ საბერძნეთსა და რომში, რომლებიც მთლიანად მონობას ემყარებოდნენ, ჩვენ უკვე ვხედავთ სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმას. მაშინ უკვე ჩნდება განსხვავება მონარქიასა და რესპუბლიკას შორის, არისტოკრატიასა და დემოკრატიას შორის. მონარქია — როგორც ერთი პიროვნების ძალაუფლება, რესპუბლიკა — როცა რაიმე აურჩეველი ხელისუფლება არ არსებობს; არისტოკრატია — როგორც შედარებით უმნიშვნელო უმცირესობის ძალაუფლება, დემოკრატია — როგორც ხალხის ძალაუფლება (დემოკრატია, ბერძნულიდან რომ სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ, სწორედ ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს). უველა ეს განსხვავება წარმოიშვა მონობის ეპოქაში. ამ განსხვავებათა მიუხედავად მონათმფლობელური ეპოქის სახელმწიფო მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, სულ ერთია — მონარქია იყო ის თუ არისტოკრატიული ან დემოკრატიული რესპუბლიკა.

ჰველი დროის ისტორიის ყველა კურსში, ამ საგანზე რომ ლექცია მოისმინოთ, გაიგონებთ იმ ბრძოლის ამბავს, რომელიც მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოებს შორის წარმოებდა. მაგრამ ძირითადი ის იყო, რომ მონები ადამიანებად არ ითვლებოდნენ; არათუ მოქალაქეებად, არამედ ადამიანებადაც კი არ ითვლებოდნენ. რომაული კანონი მონას ნივთად სთვლიდა. კანონი მკველელობის შესახებ, ადამიანის პიროვნების დამცულ სხვა კანონებზე რომ არაფერი ვთქვათ,

მონებს არ ეხებოდა. იგი იცავდა მხოლოდ მონათმფლობელებს, რადგან მხოლოდ ისინი ითვლებოდნენ ერთადერთ სრულუფლებიან მოქალაქეებად. მაგრამ თუ მონარქია დამყარდებოდა, ეს იყო მონათმფლობელური მონარქია, თუ რესპუბლიკა — ეს მონათმფლობელური რესპუბლიკა იყო. ორივეში ყოველგვარი უფლებებით მონათმფლობელები სარგებლობდნენ, მონები კი კანონის მიხედვით ნივთს წარმოადგენდნენ, და მათ მიმართ შეიძლებოდა არა მარტო ყოველგვარი ძალმომრეობის ხმარება, არამედ მონის მოკვლაც კი დანაშაულად არ ითვლებოდა. მონათმფლობელური რესპუბლიკები განსხვავდებოდნენ თავიანთი შინაგანი ორგანიზაციის მიხედვით: იყო რესპუბლიკები არისტოკრატიული და დემოკრატიული. არისტოკრატიულ რესპუბლიკაში არჩევნებში მონაწილეობას იღებდა პრივილეგირებულთა მცირე რაოდენობა, დემოკრატიულ რესპუბლიკაში — მონაწილეობას იღებდა ყველა. მაგრამ აქაც ყველა მონათმფლობელი, ყველანი, გარდა მონებისა. ეს ძირითადი გარემოება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, იმიტომ რომ ის ყველაზე უფრო მეტად ჰავენს შუქს სახელმწიფოს საკითხს და ნათლად გვიჩვენებს სახელმწიფოს დედაარსს.

სახელმწიფო არის მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის ჩაგვრისათვის, მანქანა, რომლის საშუალებითაც ერთი კლასი ყველა დანარჩენ დაქვემდებარებულ კლასს იმორჩილებს. ამ მანქანის ფორმა სხვადასხვაგვარია. მონათმფლობელურ სახელმწიფოში გვაქვს მონარქია, არისტოკრატიული რესპუბლიკა, ანდა დემოკრატიული რესპუბლიკაც კი. სინამდვილეში მართვა-გამგეობის ფორმები მეტისმეტად სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ დედაარსი ერთი და იგივე რჩებოდა: მონებს არავითარი უფლებები არ ჰქონდათ და ჩაგრულ კლასად რჩებოდნენ, მათ აღამიანებად არ სცნობდნენ. ამასვე ვხედავთ ბატონიყმურ სახელმწიფოშიც.

ექსპლოატაციის ფორმის შეცვლამ მონათმფლობელური სახელმწიფო ბატონიყმურ სახელმწიფოდ აქცია. ამას უდიდესი შინაგანი ჰქონდა. მონათმფლობელურ საზოგადოებაში მონა სრულიად უუფლებოა, მას აღამიანად არ სცნობდნენ;

ბატონიშვილ საზოგადოებაში — გლეხი მიმაგრებულია მიწაზე. ბატონიშვილის ძირითადი ნიშანი ის არის, რომ გლეხობა (მაშინ კი გლეხები უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო ქალაქის მოსახლეობა მეტად სუსტად იყო განვითარებული) მიმაგრებული იყო მიწაზე, — აქედან წარმოიშვა სწორედ თვით ცნებაც — ბატონიშვილისა. გლეხს განსაზღვრულ დღეებში შეეძლო ემუშავნა თავისთვის მიწის იმ ნაკვეთზე, რომელსაც მას მემამულე აძლევდა, ხოლო დანარჩენ დღეებში ყმა-გლეხი ბატონისთვის მუშაობდა. კლასობრივი საზოგადოების დედა-არსი რჩებოდა: საზოგადოება კლასობრივ ექსპლოატაციას ეყრდნობოდა. სრულუფლებიანი მხოლოდ მემამულები იყვნენ, გლეხები მოკლებული იყვნენ ყოველგვარ უფლებას. გლეხების მდგომარეობა სინამდევილეში ძალიან მცირედ განსხვავდებოდა მონათმფლობელური სახელმწიფოს დროის მონების მდგომარეობისაგან. მაგრამ მაინც მათ განთავისუფლებას, გლეხთა განთავისუფლებას, უფრო ფართო გზა ეხსნებოდა, რადგან ყმა-გლეხი მემამულის უშუალო საკუთრებად არ ითვლებოდა. მას შეეძლო დროის ერთი ნაწილი თავის ნაკვეთზე გაეტარებინა, შეეძლო, ასე ვთქვათ, რამდენადმე თავისი თავის პატრონი ყოფილიყო, და ბატონიშვილისა გაცვლა-გამოცვლისა და სავაჭრო ქავშირურთიერთობის განვითარების უფრო ფართო შესაძლებლობის გამო სულ უფრო და უფრო იშლებოდა, და სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა გლეხობის განთავისუფლების არეც. ბატონიშვილი საზოგადოება ყოველთვის უფრო რთული იყო, ვიდრე მონათმფლობელური საზოგადოება. მასში დიდი იყო ვაჭრობის, მრეწველობის განვითარების ელემენტი, რასაც ჯერ კიდევ მაშინ განვითარება კაპიტალიზმისაკენ მიყავდა. შუასაუკუნეებში ბატონიშვილისა სჭარბობდა. სახელმწიფოს ფორმები აქაც სხვადასხვანაირი იყო, აქაც გვაჭვს მონარქიაც და რესპუბლიკაც, თუმცა გაცილებით უფრო სუსტად გამოსახული; მაგრამ გაბატონებული ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ მებატონე-მემამულები ითვლებოდნენ. ყმა-გლეხები აბსოლუტურად მოკლებული იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს. როგორც მონობის, ისე ბატონიშვილის დროს ადამიანთა

უმნიშვნელო უმცირესობის ბატონობა უდიდეს უმრავლესობაზე შეუძლებელია იძულების გარეშე. მთელი ისტორიის მანძილზე ჩაგრული კლასები განუწყვეტლივ ცდილობენ ჩაგვრის დამხობას. მონობის ისტორიამ იცის ბევრი ისეთი ომი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა მონობისაგან განთავისუფლებისათვის. სხვათა შორის, სახელი «სპარტაკელები», რომელიც ახლა დაირქვეს გერმანიის კომუნისტებმა, — გერმანიის ამ ერთადერთმა პარტიამ, რომელიც ნამდვილად იბრძვის კაპიტალიზმის. ულლის წინააღმდეგ, — იმიტომ დაირქვეს, რომ სპარტაკი იყო ერთერთი დიდად გამოჩენილი გმირი მონების ერთ-ერთი უდიდესი აჯანყებისა, რომელიც მოხდა დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ. თითქოს ყოვლისშემძლე რომის იმპერია, რომელიც მთლიანად მონობაზე იყო დამყარებული, მთელი რიგი წლების განმავლობაში ირყეოდა და დარტყმებს განიცდიდა მონების უდიდესი აჯანყების გამო; მონები შეიარაღდნენ და შეერთდნენ სპარტაკის წინამძლოლობით, მათ შექმნეს უდიდესი არმია. ბოლოს და ბოლოს ისინი მონათმფლობელებმა ამოწყვიტეს, შეიპყრეს და აწამეს. ეს სამოქალაქო ომები წარმოებდა კლასობრივი საზოგადოების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. მე ახლა დაგისახელეთ მონათმფლობელობის ეპოქის ყველაზე უდიდესი სამოქალაქო ომის მაგალითი. ბატონყმობის მთელი ეპოქა ამგვარადვე აღსავსეა გლეხთა მუდმივი აჯანყებებით. მაგალითად, გერმანიაში შუასაუკუნეებში ეს ბრძოლა ორ კლასს შორის, მემამულეებსა და ყმებს შორის, მეტად გაფართოვდა და გადაიქცა გლეხების სამოქალაქო ომად მემამულეების წინააღმდეგ. თქვენ ყველას მოგეხსენებათ, რომ გლეხების ასეთივე აჯანყებები მებატონე მემამულეების წინააღმდეგ ბევრჯერ ყოფილა რუსეთშიც.

თავისი ბატონობისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად მემამულეს ესაჭიროებოდა ისეთი აპარატი, რომელიც გააერთიანებდა და მას დაუმორჩილებდა აღამიანთა უდიდეს რაოდენობას, დაუმორჩილებდა განსაზღვრულ კანონებს, წესებს, — და ყველა ამ კანონს ერთი ძირითადი დანიშნულება ჰქონდა —

განემტკიცებინა მემამულის ბატონობა ყმა-გლეხის მიმართ. იყო სწორედ ბატონყმური სახელმწიფო, რომელიც რუსეთში, მაგალითად, ან აზიის სრულიად ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც ბატონყმობა დღემდე გაბატონებულია — ფორმით განსხვავდებოდა — იყო რესპუბლიკური ან მონარქიული. როდესაც სახელმწიფო მონარქიული იყო — ერთი პირის ძალაუფლებას სცნობდნენ; როდესაც იგი რესპუბლიკური იყო — მართვა-გამგეობაში მეტ-ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ მემამულური საზოგადოების არჩეული წარმომადგენლები — ასე იყო ბატონყმურ საზოგადოებაში. ბატონყმური საზოგადოება წარმომადგენდა ქლასთა ისეთ დაყოფას, როდესაც უდიდესი უმრავლესობა — ყმა-გლეხობა — სავსებით დამოკიდებული იყო უმნიშვნელო უმცირესობაზე — მემამულებზე, რომლებიც მიწას ფლობდნენ.

გაჭრობის, საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ გამოიწვია ახალი კლასის — კაპიტალისტების გამოყოფა. კაპიტალი წარმოიშვა შუა საუკუნეების დამლევს, როდესაც მსოფლიო ვაჭრობა ამერიკის აღმოჩენის შემდეგ უალრეგად განვითარდა, როდესაც გადიდდა ძვირფასი ლითონების რაოდენობა, როდესაც ვერცხლი და ოქრო გაცვლა-გამოცვლის იარაღად გადაიქცა, როდესაც ფულის ბრუნვამ შესაძლებელი გახადა უდიდესი სიმდიდრის ერთ ხელში მოქცევა. ვერცხლსა და ოქროს სიმდიდრედ სცნობდნენ მთელს მსოფლიოში. ეცემოდა მემამულეთა კლასის ეკონომიკური ძალა, და ვითარდებოდა ახალი კლასის — კაპიტალის წარმომადგენლების ძალა. საზოგადოების გარდაქმნა წარმოებდა იმგვარად, რომ ყველა მოქალაქე ერთგვარად თანასწორი გამხდარიყო, რომ მოსპობილიყო წინანდელი დაყოფა მონათმფლობელებად და მონებად, რომ ყველა ყოფილიყო თანასწორი კანონის წინაშე, მიუხედავად იმისა, თუ ვის რა კაპიტალი ექნებოდა — მიწის მფლობელი იქნებოდა კერძო საკუთრების უფლებით, თუ არაფერი ებადებოდა, გარდა საკუთარი სამუშაო ძალისა, ყველანი თანასწორი ყოფილიყვნენ კანონის წინაშე. კანონი თანაბრად იცავს ყველას, იცავს საკუთრებას, ვისაც იგი აქვს, იმ მასის მხრივ ხელყოფისაგან, რომელსაც არა აქვს საკუთ-

რება, არაფერი აბადია, გარდა თავისი ხელებისა; ეს მასა თანდათან ლატაკდება, ჩანაცდება და პროლეტარებად იქცევა. ასეთია კაპიტალისტური საზოგადოება.

ამაზე დაწვრილებით ვერ შევჩერდები. ამ საკითხს თქვენ კიდევ დაუბრუნდებით, როდესაც საუბარი გექნებათ პარტიის პროგრამაზე, - იქ მოისმენთ კაპიტალისტური საზოგადოების დახასიათებას. ამ საზოგადოებამ გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ, ძველი ბატონყმური წესების წინააღმდეგ თავისუფლების ლოზუნგით. მაგრამ ეს იყო თავისუფლება იმის-თვის, ვინც საკუთრებას ფლობს. და როდესაც ბატონყმობა დაინგრა, რაც მოხდა XVIII საუკუნის დამლევს — XIX საუკუნის დამდეგს რუსეთში ეს სხვა ქვეყნებზე უფრო გვიან მოხდა, 1861 წელს, — მაშინ ბატონყმური სახელმწიფო შესცვალა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ, რომელიც თავის ლოზუნგად აყენებს საყოველთაო-სახალხო თავისუფლებას, ამბობს, რომ ის მთელი ხალხის ნებას გამოხატავს, უარყოფს, რომ ის კლასობრივი სახელმწიფოა, და აი აქ სოციალისტებსა. რომლებიც მთელი ხალხის თავისუფლებისათვის იბრძვიან, და კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის ვითარდება ბრძოლა, რომელსაც ახლა შედეგად მოყვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა და რომელიც მთელ მსოფლიოს ედება.

მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ გაჩილებული ბრძოლის გასაგებად, კაპიტალისტური სახელმწიფოს დედაარსის გასაგებად საჭიროა გვასსოდეს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფო, როცა ბატონყმური სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრებდა, ბრძოლას იწყებდა თავისუფლების ლოზუნგით ბატონყმობის გაუქმება კაპიტალისტური სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის მოასწავებდა თავისუფლებას და სამსახურს უწევდა მათ იმდენად, რამდენადც ბატონყმობა ირლეოდა და გლეხებს საშუალება ეოლეოდათ სრულ საკუთრებად ჰქონოდათ ის მიწა, რომელიც შეიძინეს გამოსყიდვით, ან ნაწილობრივ ლალით, — ამას სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევდა: იგი იცავდა საკუთრებას, რა გზითაც უნდა ყოფილიყ ის წარმოშობილი, რადგან სახელმწიფო კერძო საკუთრებას ემყარებოდა. გლეხები კერძო მესაკუთრეები ხდებო-

ღნენ ყველა თანამედროვე ცივილიზაციულ სახელმწიფოში. სახელმწიფო კერძო საკუთრებას იცავდა იქაც, სადაც მემამულე მიწის ნაწილს გლეხს აძლევდა, სახელმწიფო უნაზლაურებდა მას გამოსყიდვით, ფულზე გაყიდვით. სახელმწიფო თითქოს აცხადებდა: სრულ კერძო საკუთრებას დავიცავო, და ყოველნაირად მხარს უჭერდა და ესარჩევებოდა მას. სახელმწიფო სკონბდა ამ საკუთრებას ყოველი გაჭრისათვის, მრეწველისა და მეფაბრივისათვის. და ეს საზოგადოება, დამყარებული კერძო საკუთრებაზე, კაპიტალის ბატონობაზე, ყველა უქონელი მუშისა და გლეხობის მშრომელი მასების სრულ დამორჩილებაზე, — ეს საზოგადოება თავის თავს გაბატონებულად აცხადებდა თავისუფლების საფუძველზე. იბრძოდა რა ბატონყმობის წინააღმდეგ, მან საკუთრების თავისუფლება გამოაცხადა და განსაკუთრებით ამაყობდა იმით, თითქოს სახელმწიფო კლასობრივი ალარ იყო.

ამავე დროს სახელმწიფო წინანდებურად რჩებოდა მანქანად, რომელიც ეხმარება კაპიტალისტებს მორჩილებაში იყოლონ ულარიბესი გლეხობა და მუშათა კლასი, მაგრამ გარეგნულად იგი თავისუფალი იყო. სახელმწიფო აღიარებს საყველთაო საარჩევნო უფლებას და თავის მომხრეთა, მქადაგებელთა, მუკნიერთა და ფილოსოფიისთა პირით აცხადებს, რომ ეს არ არის კლასობრივი სახელმწიფოო. ახლაც კი, როცა მის წინააღმდეგ დაიწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ბრძოლა, ისინი ბრალს გვდებენ, თითქოს ჩვენ ვარღვევთ თავისუფლებას, თითქოს ჩვენ ვაშენებთ იძულებაზე, ერთის მიერ მეორის დათრგუნვაზე დამყარებულ სახელმწიფოს, ხოლო ისინი საყველთაო-სახალხო, დემოკრატიულ სახელმწიფოს წარმოადგენენ. აი ამ საკითხმა სახელმწიფოს შესახებ — ახლა, როცა შთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, და სწორედ ახლა, როცა რევოლუციამ ზოგიერთ ქვეყანაში გაიმარჯვა, როცა განსაკუთრებით გამწვევდა ბრძოლა მსოფლიო კაპიტალთან, — სახელმწიფოს საკითხმა უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა და, შეიძლება ითქვას, ის თანამედროვეობის უაღრესად საჭირბოროტო საკითხად,

ყველა პოლიტიკური საკითხისა და ყველა პოლიტიკური და-
ვის ფოკუსად გადაიქცა.

რომელი პარტიაც უნდა ავიღოთ რუსეთში ან რომელიმე
უფრო ცივილიზებულ ქვეყანაში, — თითქმის ყველა პოლი-
ტიკური დავა, აწრთა სცეადასხვაობა, შეხედულება ამჟამად
ტრიალებს სახელმწიფოს ცნების ირგვლივ. არის თუ არა სა-
ხელმწიფო კაპიტალისტურ ქვეყანაში, დემოკრატიულ რეს-
პუბლიკაში, — განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა
შვეიცარია ან ამერიკა, — ყველაზე თავისუფალ დემოკრატიულ
რესპუბლიკებში, არის თუ არა სახელმწიფო ხალხის ნების
გამომხატველი, საერთო-სახალხო გადაწყვეტილების შეჯამება,
ნაციონალური ნების გამომხატველი და სხვ., — თუ სახელმწიფო
არის ისეთი მანქანა, რომლის სამუალებითაც იქაურ კაპიტა-
ლისტებს შესაძლებლობა აქვთ იბატონინ მუშათა კლასზე
და გლეხობაზე? ეს არის ძირითადი საკითხი, რომლის ირგვ-
ლივაც ამჟამად მთელ მსოფლიოში პოლიტიკური დავა წარ-
მოებს. რას ამბობენ ბოლშევიზმის შესახებ? ბურუუაზიული
პრესა აგინებს ბოლშევიკებს. ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს,
რომელიც არ იმეორებდეს იმ გაცვეთილ ბრალდებას ბოლშე-
ვიკების წინააღმდეგ, თითქოს ისინი ხალხის ბატონობის დამ-
რღვევნი არიან. თუ ჩვენებური მენშევიკები და სოციალისტ-
რევოლუციონერები გულუბრყვილოდ (შესაძლოა, არა გულუ-
ბრყვილოდაც, ან, შესასლოა, ეს ისეთი გულუბრყვილობაა, რო-
მელზეც ნათქვამია ის ქურდიბაზე უარესიათ) ფიქრობენ,
რომ ისინი არიან აღმომჩენლები და გამომგონებლები ბოლშე-
ვიკების წინააღმდეგ წამყენებული ბრალდებისა იმამი, რომ
მათ დაარღვიეს თავისუფლება და ხალხის ბატონობა, ისინი სა-
საცილოდ სცდებიან. ამჟამად არ არსებობს არც ერთი უმ-
დიდიდრესი გაზეთი უმდიდრესი ქვეყნებისა, რომლებიც ათეულ
მილიონებს არ ხარჯავდნენ მათს გასავრცელებლად და ათეულ
მილიონ ეგზემპლარებში არ ავრცელებდნენ ბურუუაზიულ სიც-
რუესა და იმპერიალისტურ პოლიტიკას, — არ არსებობს არც
ერთი ასეთი გაზეთი, რომელიც არ იმეორებდეს ბოლშევიზ-
მის წინააღმდეგ ამ ძირითად მოსაზრებებს და ბრალდებებს:
რომ აი ამერიკა, ინგლისი და შვეიცარია — ხალხის ბატო-

ნობაზე დამყარებული მოწინავე სახელმწიფოებია, ბოლშევიკური რესპუბლიკა კი ყაჩალების სახელმწიფოა, რომ იქ არ არის თავისუფლება, რომ ბოლშევიკები ხალხის ბატონობის იდეის დამრღვევნი არიან და იქამდეც კი მივიღნენ, რომ დამტუნებელი კრება გარეკესო. ამ საშინელ ბრალდებებს ბოლშევიკების მიმართ იმეორებენ მთელ მსოფლიოში. ყველა ეს ბრალდება ჩვენს წინაშე იყენებს საკითხს: რა არის სახელმწიფო? ეს ბრალდებები რომ გავიგოთ, მათში რომ გავირკვეთ, და სრულიად შეგნებულად მოვეკიდოთ მათ, გავირკვეთ არა მარტო გაგონილის მიხედვით, არამედ მტკიცე აზრი გვერდეს, საჭიროა ნათლად შევიგნოთ, თუ რა არის სახელმწიფო. ჩვენს წინაშეა ყოველგვარი კაპიტალისტური სახელმწიფოები და მათი დამცველი ყველა მოძღვრება, რომლებიც ომამდე წარმოიშვნენ. საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა კრიტიკულად მოვეპყრათ ყველა ამ მოძღვრებას და შეხედულებას.

დამხმარედ მე უკვე დაგისახელეთ ენგელსის თხზულება «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა». სწორედ ამ თხზულებაში ნათქვამია, რომ ყოველი სახელმწიფო, სადაც არსებობს მიწისა და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, სადაც ბატონობს კაპიტალი, რაც უნდა დემოკრატიული იყოს ეს სახელმწიფო, — იგი არის კაპიტალისტური სახელმწიფო, იგი არის მანქანა კაპიტალისტების ხელში, რათა პორჩილებაში იყოლიონ მუშათა კლასი და ულარიბესი გლეხობა. ხოლო საყოველთაო საპრეზიდენტო უფლება, დამტუნებელი კრება, პარლამენტი — ეს არის მხოლოდ ფორმა, ერთგვარი თამასუქი, რომელიც არსებითად საქმის ვითარებას სრულიადაც არა ცვლის.

სახელმწიფოს ბატონობის ფორმა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: კაპიტალი ერთნაირი სახით იჩენს თავის ძალას იქ. სადაც არის ერთი ფორმა, და მეორენაირი სახით იქ. სადაც არის მეორე ფორმა, მაგრამ არსებითად ძალაუფლება კაპიტალის ხელში რჩება: ცენზიანი უფლება არსებობს თუ სხვა რომელიმე, დემოკრატიულია რესპუბლიკა თუ არა, და რაც უფრო დემოკრატიულია იგი, მით უფრო უხეში, ცინი-

კურია კაპიტალიზმის ეს ბატონობა. ერთ-ერთი უალრესად დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოში — ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატებია — და არსად ისე, როგორც ამ ქვეყანაში (ვინც იქ ყოფილა 1905 წლის შემდეგ, მას უთუად აქვს წარმოდგენა ამის შესახებ), არსად კაპიტალის ბატონობა, ერთი მუჭა მილიარდერების ბატონობა მთელი საზოგადოების მიმართ არ იჩენს თავს ისე უხეშად, ისე აშეარა მოსყიდვით, როგორც ამერიკაში. რაյი კაპიტალი არსებობს, ის ბატონობს მთელ საზოგადოებაზე, და ვერავითარი დემოკრატიული რესპუბლიკა, ვერავითარი საარჩევნო უფლება საქმის ვითარებას ვერ სცელის.

დემოკრატიული რესპუბლიკა და საყოველთაო საარჩევნო უფლება ბატონყმურ წყობილებასთან შედარებით უდიდესი პროგრესი იყო: მათ შესაძლებლობა მისცეს პროლეტარიატს მიეღწია იმ გაერთიანებისათვის, იმ შემჭიდროებისათვის, რომელიც მას აქვს, შეექმნა ის მწყობრი დისციპლინირებული რიგები, რომლებიც სისტემატურ ბრძოლას ეწევიან კაპიტალთან. არაფერი ამის მსგავსი დაახლოებითაც კი არ ჰქონდა ყმა-გლეხს, რომ აღარაფერი ვთქვათ მონებზე. მონები, როგორც ვიცით, აწყობდნენ აჯანყებებს, ამბოხებებს, იწყებდნენ სამოქალაქო ომებს, მაგრამ მათ ვერასოდეს ვერ შესძლეს შეექმნათ შეგნებული უმრავლესობა, ბრძოლის ხელმძღვანელი პარტიები, ვერ შესძლეს ნათლად შეეგნოთ თავიანთი მიზანი, და ისტორიის უაღრესად რევოლუციურ მომენტებშიც კი ისინი ყოველთვის უბრალო იარაღს წარმოადგენდნენ გაბატონებული კლასების ხელში. ბურუუაზიული რესპუბლიკა, პარლამენტი, საყოველთაო საარჩევნო უფლება — ყველაფერი ეს საზოგადოების შემოფლიო განვითარების თვალსაზრისით უდიდეს პროგრესს წარმოადგენს. კაცობრიობა კაპიტალიზმისაკენ მიიმართებოდა, და მხოლოდ კაპიტალიზმია, ქალაქის კულტურის მეოქებით, საშუალება მისცა პროლეტარების დაჩაგრულ კლასს შეეცნო თავისი თავი და შეექმნა ის მსოფლიო მუშათა მიძრაობა, ის მილიონობით მუშები, რომლებიც მთელს მსოფლიოში პარტიებად არიან დარაზმულნი, ის სოციალისტური პარტიები, რომლებიც შეგნებულად ხელმძღვანელობენ მასე-

ბის ბრძოლას. პარლამენტარიზმის, არჩევითობის გარეშე მუშათა კლასის ეს განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ არის, რომ ყოველივე ამან ხალკის უფართოესი მასების თვალში ესოდენ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ამიტომ არის, რომ გარდატეხა ასეთ ინელ საქმედ გვეჩვენება. არა მარტო შეგნებული თვალთმაქცები, მეცნიერები და ხუცები უჭერენ მხარს და იცავენ იმ ბურუუაზიულ სიცრუეს, რომ საქელმწიფო თავისუფალია და მოწოდებულია დაიცვას ყველას ინტერესებით, არამედ იმ აღამიანთა მასებიც, რომლებიც გულწრფელად იმეორებენ ძველ ცრუ რწმენას და რომელთაც ვერ შეუგნიათ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებიდან სოციალიზმზე გადასვლა. არა მარტო ისინი, ვინც პირდაპირ დამოკიდებულია ბურუუაზიაზე, არა მარტო ისინი, ვისაც კაპიტალი ჩაგრავს, ან ვინც ამ კაპიტალის მიერ არის მოსყიდული (კაპიტალის სამსახურში არიან სხვადასხვა ჯურის მრავალი მეცნიერი, ხელოვანი, ხუცესი და სხვ.), არამედ ისინიც, ვინც პირდაპირ ბურუუაზიული თავისუფალების ცრურწმენის გავლენის ქვეშ იმყოფება, ყველა ეს ამხედრდა ბოლმევიზმის წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში იმის გამო, რომ საბჭოთა რესპუბლიკამ წარმოშობისთანავე უკუაგდო ეს ბურუუაზიული სიცრუე და აშკარად განაცხადა: თქვენ თქვენს სახელმწიფოს თავისუფალს უწოდებთ, ნამდვილად კი, ვიდრე კერძო საკუთრება არსებობს, ჩქვენი სახელმწიფო, თუნდაც იგი დემოკრატიული რესპუბლიკა იყოს, მხოლოდ მანქანაა კაპიტალისტების ხელმი მუშების დასათრგუნავად, და, რაც უფრო თავისუფალია სახელმწიფო, მით უფრო მკაფიოდაა ეს გამოხატული. ამის მაგალითია შვეიცარია — ევროპაში, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები — ამერიკაში. კაპიტალი ისე ცინიკურად და დაუნდობლად არსად არ ბატონობს, და ისე თვალნათლივ არსად არ ჩანს ეს, როგორც სწორედ ამ ქვეყნებში, — თუმცა ეს ქვეყნები დემოკრატიული რესპუბლიკებია — რანაირადაც უნდა იყვნენ ისინი შელამაზებული, მიუხედავად ყოველგარი სიტყვებისა მშრომელთა დემოკრატიის და ყველა მოქალაქის თანასწორობის შესახებ. სინამდვილეში შვეიცარიისა და ამერიკაში კაპიტალი ბატონობს, და მუშების ყოველგარი ცდა,

რომ რამდენადმე მაინც სერიოზულად გაიუმჯობესონ თავი-ანთი მდგომარეობა, მაშინვე სამოქალაქო ომს იწვევს. ამ ქვეყ-ნებში ნაკლები ჯარისკაცები, ნაკლები მუდმივი ჯარია, — 'შვე-იცარია'ში არსებობს მილიცია, და თვითეულ 'შვეიცარიელს თოფი აქვს შინ, ამერიკას უკანასკნელ დრომდე მუდმივი ჯარი არ ჰყავდა, — ამიტომ, როცა გაფიცვა ხდება, ბურჟუაზია ია-რალდება, ქირაობს ჯარისკაცებს და ახშობს გაფიცვას, და მუშათა მოძრაობის ეს ჩახმობა არსად ისეთი ულმობელი მივინვარებით არ ხდება, როგორც შვეიცარიასა და ამერიკაში, და არსად პარლამენტში ისე მძლავრად არა ჩანს კაპიტალის გავლენა, როგორც სწორედ იქ. კაპიტალის ძალა — ყველა-ფერია, ბირჟა — ყველაფერია, ხოლო პარლამენტი და არჩევ-ნები — სათამაშო ტიკინებია... მაგრამ, რაც დრო გადის, მით უფრო ეხილება თვალი მუშებს, და მით უფრო ფართოდ ვრცელდება საბჭოთა ძალაუფლების იღეა, მეტადრე იმ სისხ-ლისმლერელი ხოცვა-ულეტის 'შემდეგ, რომელიც ჩვენ ახლახან განვიცადეთ. მუშათა კლასისთვის სულ უფრო და უფრო ნათე-ლი ხდება დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობა კაპიტალის-ტების წინააღმდეგ.

რაგვარ ფორმებსაც უნდა ამოეფაროს რესპუბლიკა, თუნ-დაც ეს იყოს უაღრესად დემოკრატიული რესპუბლიკა, თუ იგი ბურჟუაზიულია, თუ იქ დარჩა მიწის, ქარხნების, ფაბ-რიკების კერძო საკუთრება, და კერძო კაპიტალს დაქირავე-ბულ მონობაში ყავს მთელი საზოგადოება, ე. ი., თუ იქ არ სრულდება ის, რასაც აცხადებს ჩვენი პარტიის პროგრამა და საბჭოთა კონსტიტუცია, — ეს სახელმწიფო იქნება ერთის მიერ მეორის ჩავრის მანქანა. და ამ მანქანას ხელში ავი-ლებთ ჩვენ, ის კლასი, რომელმაც კაპიტალის ბატონობა უნდა დაამხოს. ჩვენ უკუვაგდებთ ყველა ძეველ ცრურწმენას, თითქოს სახელმწიფო საყოველთაო თანასწორობა იყოს, — ეს მოტუ-ება: ვიდრე არსებობს ექსპლოატაცია, თანასწორობა 'შეუძ-ლებელია, შეუძლებელია მემამულე მუშის თანასწორი იყოს, მშიერი — მაილრისა. იმ მანქანას, რომელსაც სახელმწიფო ეწოდებოდა, რომლის წინაშე ადამიანები ცრუმორწმუნეობრივი მოკრძალებით ჩერდებიან, სჯერათ რა ძველი ზღაპარი, რომ

ეს საყოველთაო-სახალხო ბატონობა არისო, — პროლეტარიატი ამ მანქანას უკუაგდებს და ამბობს: ეს ბურუუაზიული სიცრუეა. ჩვენ ეს მანქანა კაპიტალისტებს წავართვით, ხელთ ავიღეთ. ამ მანქანით ანუ კეტით ჩვენ გავანადგურებთ ყოველგვარ ექსპლოატაციას, და, როდესაც ქვეყნად აღარ დარჩება ექსპლოატაციის შესაძლებლობა, აღარ დარჩებიან მიწათმფლობელნი, ფაბრიკების მფლობელნი, აღარ იქნება ისე, რომ ზოგნი ყელამდე მაძლარი იყვნენ, ზოგნი კი მშიერნი, — მხოლოდ მაშინ, როცა ამის შესაძლებლობა აღარ იქნება, ჩვენ ამ მანქანას დაგამსხვრევთ. მაშინ აღარ იქნება სახელმწიფო, აღარ იქნება ექსპლოატაცია. აი ჩვენი კომუნისტური პარტიის თვალსაზრისი. იმედი მაქვს, რომ ამ საკითხს შემდეგ ლექციებში არა ერთხელ დავუბრუნდებით.

პირველად დაიბეჭდა
1929 წ. 18 იანვარს
განხეთ «პრავდაში» № 15

იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ტექსტის მიხედვით. მე-4 გამოც.,
ტ. 29, გვ. 552—577.

შ ე ნ ი შ ვ ე ბ ი

- 1** «ხსნის კომიტეტი» — «საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი», კონტრარევოლუციის გაერთიანებული ორგანო; შეიქმნა მოსკოვის ქალაქის თვითმმართველობასთან 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს). 1917 წლის 2 (15) ნოემბერს საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი დანებდა სამხედრო-ჩეკოლუციურ კომიტეტს. — 3.
- 2** მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ურილობაზე წარმოდგენილი იყო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების 317 საბჭო და არმიის, კორპუსისა და დივიზიის 110 კომიტეტი. ყრილობას სულ დაესწრო 707 დელეგატი. 3 ღლის შემდეგ ყრილობას შეუერთდნენ გლეხთა დეპუტატების 250-ზე მეტი საბჭოს წარმომადგენლები — 13 (26) იანვარს გახსნილი გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობის მონაწილენი. ყრილობის 441 დელეგატი ბოლშევიკი იყო. ყრილობაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ და საბოლოო სიტყვით; დასასრულ ლენინმა წარმოთქენა სიტყვა ყრილობის დახურვის წინ. ბოლშევიკების ფრაქციის წინადაღებით ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც მთლიანად მოიწონა სრულიად რუსეთის ცაკისა და სახეომსაბჭოს პოლიტიკა.
- 1918 წლის 12 (25) იანვარს ყრილობამ დაამტკიცა ლენინის მიერ დაწერილი «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებების დეკლარაცია». 15 (28) იანვარს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი ი. ბ. სტრალინი ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე. ყრილობამ მოიწონა სახეომსაბჭოს ნაციონალური პოლიტიკა.
- ყრილობის მუშაობის განმავლობაში დელეგატების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა; უკანასკნელ სხდომას დაესწრო 1 587 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით. ყრილობამ აირჩია სრულიად რუსეთის ცაკი 306 კაცის შემაღებელობით. ყრილობის მუშაობა დამთავრდა 1918 წლის 18 (31) იანვარს. — 9.
- 3** ცენტრალური რადა — ბურუუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია, შეიქმნა კიევში 1917 წლის პრილში უკრაინის ბურუუაზიული და წვრილბურუუაზიული პარტიებისა და ჯგუფების კონგრესზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ

რადაშ თავი გამოაცხადა «უკრაინის სახალხო ჩესპუბლიკის» უმაღლეს ორგანოდ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშენარა ბრძოლის გზას დადგა.

საბჭოებისაღმი ცენტრალური რადის აშენარად მტრული დამოკიდებულების გამო, სახეომსაბჭომ 1917 წლის 3 (16) დეკემბერს დაადგინა მიმართოს ულტიმატუმით უკრაინის რადას და იმავე დროს მანიფესტით უკრაინელ ხალხს. დოკუმენტების შედგენა დაევალა კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ლენინი და სტალინი. კომისიაში დოკუმენტების შემუშავების დროს ულტიმატუმი ცენტრალური რადისაღმი და მანიფესტი უკრაინელი ხალხისაღმი გააერთიანეს ერთ დოკუმენტად სახელწოდებით «მანიფესტი უკრაინელი ხალხისაღმი ულტიმატური მოთხოვნებით უკრაინის რადისაღმი».

1918 წლის იანვარში ბოლშევიკების მოწოდებით კიევში იფეთქა მუშების აჯანყებამ კონტრარევოლუციური რადის წინააღმდეგ. კიევში შევიდა საბჭოთა ჯარები და რადა განდევნეს კიევიდან. უკრაინის რადის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 6 — 15, 16 — 19, 20 — 23. — 17.

4 ლენინს მხედველობაში აქვს მეწარმეებთან მეტყავე მუშათა სრულიად ჩასრულდა მოთხოვნების 1917 წლის პირველ ნახევარში დაწეუბული მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ. მეტყავეთა კავშირი მოითხოვდა მუშათა წარმომადგენლობის გაფართოებას ტყვიის საქმეთა მთავარ კომიტეტში და მის აეორგანიზაციას დემოკრატიულ საფუძვლებზე. ამ მოლაპარაკების შედეგი იყო აეორგანიზაცია ტყავის საქმეთა კომიტეტისა, რომელიც ხმების ორი მესამედი მუშებმა მიიღეს. 1918 წლის აპრილის დამდეგს ყველა საბჭოს დაეგზავნა დეპეშა ლენინის ხელმოწერით ტყავის საქმეთა მთავარი კომიტეტის აღილობრივი ორგანოების დემოკრატიზაციის აუცილებლობისა და ტყავის საქმეთა მთავარი კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების განკარგულების განუხრელად განხორციელების შესახებ. — 27.

5 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 291. — 28.

6 1918 წლის იანვარში იფეთქა აესტრიიელი მუშების გაფიცვებმა ბრძესტლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით. გაფიცვა მიმდინარეობდა საყოველთა ზავის დადებისა და მუშების სასურათო მდგომარეობის გაუმჯობესების ლოზუნგით.

საგაფიცვო ბრძოლის პროცესში ვენაში, ბუდაპეშტსა და სხვა ქალაქებში სტიქიურად წარმოიშვა მუშათა დეპუტატების საბჭოები. სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტუნისტულმა ლიდერებმა საბჭოები გამოიყენეს რევოლუციური საგაფიცვო მოძრაობის ჩასაქრიბად. — 29.

- 7 «ნოვაია უიზნ» — მენშევიკური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, სოციალ-დემოკრატების ჯგუფის, ეგრეთწოდებული «ინტერნაციონალისტების» ორგანო, რომელიც აერთიანებდა მენშევიკებს, მარტოვის მომზრებებს, და ნახევრადმენშევიკური ყაიდის ცალკეულ ინტელიგენტებს. გაზეთი «ნოვაია უიზნ» გამოიდიდა პეტროგრადში 1917 წლის აპრილიდან; ოქტომბრის სოციალისტური ოკულურის შემდეგ მტრული პოზიცია დაიკავა საბჭოთა ხელისუფლების მამართ და დახურეს 1918 წლის ივლისში. — 85.
- 8 «წითელი დროშა» (*«Die Rote Fahne»*) — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული კ. ლიბკენებტისა და ჩ. ლუქსემბურგის მიერ როგორც კავშირი «სპარტაკის» ცენტრალური ორგანო; შემდეგ — გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 9 ნოემბრიდან ბერლინში; არაერთხელ ყოფილა შეიძემან-ნოსკეს მთავრობის მიერ რეპრესირებული და აკრძალული. დახურულ იქნა 1933 წელს, როცა პიტლერი სათავეში ჩუღა ხელისუფლებას, მაგრამ განაგრძობდა არალეგალურად გამოსევას. 1935 წელს გამოცემა გადატანილ იქნა პრაღაში (ჩეხისლოვაკია); 1936 წლის ოქტომბრიდან 1939 წლის შემოღომმდე *«Die Rote Fahne»* გამოდიოდა ბრიუსელში (ბელგია). — 42.
- 9 «მოწიდება» (*«Der Weckruf»*) — გერმანული ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ვენაში 1918 წლის ნოემბრიდან 1919 წლის 11 იანვრამდე. — 42.
- 10 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1952, გვ. 67. — 43.
- 11 იხ. კ. მარქსი. «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან-1850 წლამდე» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ჩემული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 232—233). — 47.
- 12 კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი შედგა 1919 წლის 2—6 მარტს მოსკოვში. კონგრესს ესწრებოდა 52 დელეგატი 30 ქვეყნიდან, მათგან გადამწყვეტი ხმით — 34, სათათბირო ხმით — 18. რკპ(ბ) დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ. ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ვ. ვ. კოროვსკი და სხვები. ლენინის მოხსენება კონგრესის დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე-ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ — წაკითხულ იქნა 1919 წლის 4 მარტის დღის სხდომაზე. კონგრესმა უკამათოდ მოიწონა ლენინის მიერ შეტანილი თეზისები, გადასცა ისინი კომინტერნის აღმასკომის ბიუროს, რომელსაც დავავალა. ეზორუნა მათი უაღრესად ფართო გავრცელებისათვის და დამტკიცა ლენინის მიერ თეზისების დამატებად წარდგენილი რეზოლუცია (იხ. ეს

ბროშურა, გვ. 75). ოეზისები ლენინს მიერ დაწერილი იყო რუსულ ენაზე და შემდეგ გადათარგმნილ იქნა გერმანულად. კველა სიტყვა კონგრესზე ლენინის მიერ წარმოთქმული იყო გერმანულ ენაზე.

ლენინის წინადადებით ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება კიმერალდის გაერთიანების ლიკვიდაციის შესახებ. I კონგრესმა დამტკიცა კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა, მანიფესტი მთელი მსოფლიოს პროლეტარებისადმი და მთელი რიგი სხვა რეზოლუციები და დადგენილებანი. კონგრესმა დაადგინა შეექმნა ორი ხელმძღვანელი ორგანო: აღმასრულებელი კომიტეტი და ბიურო, რომელსაც ეს კომიტეტი იჩინევდა ხუთი კაცის შემაღებელობით. — 49.

13 1919 წლის 15 იანვარს კ. ლიბკნეხტი და რ. ლუქსემბურგი მხეცურად მოქლეს გერმანელმა თეთრგვარდიელებმა მთავრობის დავალებით, რომლის სათავეშიც იდგნენ სოციალ-გამცემლები ეპერტი და შეიძლებანი. ამასთან დაკავშირებით რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოწყობილიყო ყველგან მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები. ლენინმა სიტყვა წარმოსთვა დემონსტრაციების წინაშე მოსკოვის საბჭოების შენობის აივნიდან. — 49.

14 Shop Stewards Committees (ფაბრიკის მამასახლისთვის კომიტეტები) — არჩევითი მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც არსებობდნენ ინგლისის ბევრ წარმოებაში პირველი მსოფლიო ომის დროიდან. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში, ფაბრიკის მამასახლისთა კომიტეტები აქტიურად გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების მხარდასჭერად. ფაბრიკის მამასახლისთა კომიტეტების მთელი რიგი მოღვაწენი (ვ. გალაზერი და სხვები) შევიღნენ ინგლისის კომუნისტურ პარტიაში. — 50.

15 იხ. ფ. ენგელსის «შესავალი» კ. მარქსის შრომისადმი «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 554 — 555). — 54.

16 იხ. კ. მარქსი. «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 599 — 600). — 55.

17 «Die Freiheit» («თავისუფლება») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის ცენტრისტული დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1918 წლის ნოემბრიდან 1922 წლის ოქტომბრამდე. — 65.

18 გერმანიის «დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატის პარტია» — ცენტრისტული პარტია, რომელიც შეიქმნა 1917 წლის პრილიში.

1920 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რომელიც ჰალეში შედგა, მოხდა გათიშვა. ამ პარტიის მნიშვნელოვანი ნაწილი 1920 წლის დეკემბერში გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანდა. მემარჯვენე ელექტრებმა შეადგინეს ცალკე პარტია და მიიღეს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძველი სახელწოდება; ამ პარტიამ იარსება 1922 წლამდე. — 65.

19 ლენინს მხედველობაში აქვს ჩეკ(გ) VII ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია პარტიის სახელწოდებისა და პარტიული პროგრამის შეცვლის შესახებ (იხ. თხზულებანი, გამოც. 4, ტომი 27, გვ. 153 — 154). — 67.

20 «გაზერა პერიტი კოკო» — გამოცემა მოსკოვის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიული კავშირისა, რომელიც იმ დროს მენშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა; გამოდიოდა 1918 წლის 8 დეკემბრიდან; დახურულ იქნა 1919 წლის მარტში. — 69.

21 ლენინს მხედველობაში აქვს რ. ლუქსემბურგის სტატია «Der Anfang» («დასაწყისი»), დაბეჭდილი გაზეთ «Die Rote Fahne»-ში (წითელი ღროშა), № 3, 1918 წლის 18 ნოემბერს. — 72.

22 ლენინის სიტყვების ჩაწერა გრამოფონის ფირფიტებზე მოაწყო ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალურმა სააგენტომ (სრულიად რუსეთის ცაკის ბეჭდვითი სიტყვის მომარაგებელი და გამაცრელებელი ცენტრალური სააგენტო). 1919 — 1921 წლებში ჩაწერილ იქნა ლენინის 13 სიტყვა. — 78.

23 ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი, შეიქმნა აგიტატორთა და ინსტრუქტორთა კურსებისაგან, რომლებიც სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ჩამოყალიბდა 1918 წელს და რომლებიც შემდეგ გარდაიქმნა საბჭოთა მუშაობის სკოლად. მას შემდეგ, რაც ჩეკ(გ) VIII ყრილობამ გადასწყილა ცენტრალურ კომიტეტთან უმაღლესი სკოლის მოწყობა პარტიული კადრების მოსამართდებლად, სკოლა გადაკეთდა საბჭოთა და პარტიული მუშაობის ცენტრალურ სკოლად; 1919 წლის მეორე ნახევარში ჩეკ(გ) ც. კ-ის ორგანიზროს გადაწყვეტილებით სკოლას დაერქვა ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი.

სახელმწიფოს შესახებ ლენინმა წაიკითხა ორი ლექცია. 1919 წლის 29 აგვისტოს წაკითხული მეორე ლექციის ჩანაწერი შენახული არ არის. — 80.

მოსახლეობისადმი

მოსახლეობა უკან გაფარგვის უფლების შესახებ სრულიად
ჩატარის ცაპ-ის სხდომაზე 1917 წ. 21 ნოემბრის (4 დე-
კემბრის)

მუზათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბ-
ჭოების სრულიად ჩატარის შესახებ ყრილობა 1918 წ.
10 — 18 (23 — 31) იანვარს

1. მოსახლეობა სახალხო კომისართა საბჭოების მუ-
შაობის შესახებ 11 (24) იანვარს

2. საბოლოო სიტყვა სახალხო კომისართა საბჭოს
მოსახლეობის გამო 12 (25) იანვარს

3. საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვის შეს 18 (31)
იანვარს

«ღემოპრატიტისა» და ღიატატურის შესახებ

კომისიის მინისტრის ინტერნაციონალის I კონგრესი 1919 წ.

2 — 6 მარტი

1. სიტყვა კონგრესის გახსნისას 2 მარტს

2. თეზისები და მოსახლეობა ბურჟუაზიული ღემოპრა-
ტიტისა და პროლეტარიატის ღიატატურის შესახებ
4 მარტს

3. რეზოლუცია თეზისებისათვის ბურჟუაზიული ღი-
მოპრატიტისა და პროლეტარიატის ღიატატურის შე-
სახებ

4. საბოლოო სიტყვა კონგრესის დახურვისას 6 მარტს

რა არის საბჭოთა ხელისუფლება? სიტყვა, ჩატერილი
გრაფიკის ფირფიტაზე

სახელმწიფოს შესახებ. ლექცია სკოლის უნი-
ვერსიტეტზე 1919 წ. 11 ივლისს

შენიშვნები

ზელმოწერილია დასაბეჭდად 23/11-54 წ.
შე 00279. ტირაჟი 20,000. ქალაქის
ზომა 84 × 108^{1/3}. ნაბეჭდი ფორმათა რა-
ოდენობა 7. შეკვ. № 109.

*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთა-
ვარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი
სიტყვის კომბინატი. თბილისი,
მარჯანიშვილის ქ., № 5.

Комбинат печати Главполиграфиз-
дата Министерства культуры Гру-
зинской ССР Тбилиси. Марджа-
нишвили. № 5

В. И. Л Е Н И Н

К НАСЕЛЕНИЮ

**—
О «ДЕМОКРАТИИ»**

и ДИКТАТУРЕ

**—
ЧТО ТАКОЕ**

СОВЕТСКАЯ ВЛАСТЬ?

(На грузинском языке)

**Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1954**